

ირაკლი ბატაშური

ქართული ენის
წარმოშობის საიდუმლო



ასე წარმოიშვა ბირველად
ქართულში და მერე მსოფლიოს
მრავალ ენებში,
თითქმის ფუძეზეუცვლელად, შევიდა
ღვთაება სიტხის სახელი

ღვინო

ირაკლი პატაშური

ქართული ენის
წარმოშობის საიდუმლო

გამომცემლობა „ზენარი“
2015

უაკ (UDC) 811.353.1(09)
პ-21

სიტყვის ახსნა 2008 წლიდან დავიწყე და დღემდე ვაგრძელებ. მისი ახსნა რომ მხოლოდ ჩემი სურვილი იყოს, ბევრად უფრო დიდი იქნებოდა ეს წიგნი. მე მხოლოდ ველოდები სიტყვის მოსვლას, ეს კი ბუნების საქმეა და ამ დროს ლოდინი ტანჯვაც არის და სიხარულიც.

ამ წიგნს ვუძღვნი ქართველთა მიმავალ და მომავალ თაობებს, ვის უბრალოდ კოლექციისათვის, ვის თავშესაქცევად, ვის საკითხავად და ვის სახელმძღვანელოდ.

ავტორი

გამოცემის რედაქტორი ზურაბ ქობალია

© ირაკლი პატაშური, ტელ.: 558158984

© „ზენაარი“, თბილისი, ზანდუკელის 1.

ტელ.: 599•343•727; ელ-ფოსტა: zurkob@gmail.com

ISBN 978-9941-9440-3-1

ვისაც ბუნება ელაპარაკება

მას შემდეგ, რაც ადამიანმა სამყაროს შეცნობა დაიწყო, ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მუდმივად ცდილობდა: როგორ გაჩნდა ენა? როგორ გაჩნდა სიტყვა?

ალბათ გახსოვთ პოპულარული ამბავი: ეგვიპტის ფარაონმა ფსამეტიქმა გადაწყვიტა დაედგინა, თუ საიდან მოდიოდა მათი ენა და ბრძანა, ახალდაბადებული ბავშვი ისე აღეზარდათ, არავისთან კონტაქტი არ ჰქონოდა. მისი წარმოდგენით, რომელ ენაზეც ბავშვი ამეტყველდებოდა, წინაპარი ენაც ის იქნებოდა...

ვინ იცის, რამდენი ასეთი ექსპერიმენტი ჩატარებულა! ვინ იცის, რამდენი შორსმიმავალი ჰიპოთეზა გამოთქმულა!..

საიდუმლო კი სიევ ცხრა კლიტით არის დაკეტილი.

ერთი რამე იმთავითვე შენიშნეს პროფესიონალებმაც და მოყვარულებმაც: ზოგი სიტყვა აშკარად ბუნებაში არსებული ბგერებისა და ხმების მიხედვით არის შექმნილი.

მაგალითად, გუგულის სახელი იმდენად მსგავსია სხვადასხვა ენაში და იმდენად ჰგავს ის ყლერადობით თვით ამ სახლის მატარებელ ფრინველის ძახილს, რომ ამ სიტყვის ხმაბაძვითობა ეჭვს არ იწვევს.

ასეთი ხმაბაძვითი სიტყვები ცოტა არ არის, მაგრამ არც იმდენად ბევრია, რომ მასში ენის წარმოშობის საიდუმლო ვეძებოთ.

მაგრამ არიან ისეთი ადამიანებიც, ვინც არა მხოლოდ ჩვეულებრივი გრძნობათა ორგანოებით, არამედ მთელი გულისყურითა და შინაგანი თვალით არიან დაკავშირებული ბუნების საიდუმლოებებთან. ასეთი ადამიანები, ჩვეულებრივ, შემოქმედნი არიან და მათში ინტუიცია ბევრად ჭარბობს რაციონალიზმსა და ლოგიკას. მათ შინაგანი რწმენა აქვთ, რომ ბუნება თავად უმხელს საიდუმლოებას, ის თავის ენაზე ელაპარაკება მათ...

სწორედ ასეთი შემოქმედია ირაკლი პატაშური.

ბატონ ირაკლის თავისი დაუდეგარი ცხოვრების განმავლობაში ლამის მთელი სალარო ქართული ლექსიკისა ასე

შემოქმედებითად გაუაზრებია.

აქ არ შეგხვდებათ მეცნიერული მეთოდები და ხერხები, აქ არ არის ლოგიკური ანალიზი, არგუმენტაცია, თეზა და ანტითეზა...

მაგრამ ჩვენს წინაშე უაღრესად საინტერესო „მოთხრობები“ (ჩანახატები) ბუნებასთან მუდმივი იღუმალი დიალოგის შესახებ.

ბატონი ირაკლი ბევრ ისეთ სიტყვასაც „შიფრავს“, რომლის ხმაბაძვითობა (ექსპრესიულობა) დიდი ხანია ცნობილია; მაგალითად გუგული („გუ-გუ“), კოდალა (კოდავს), წინილა („წინი“)...

მაგრამ ხშირად სრულიად ორიგინალურია ავტორის ინტერპრეტაცია, ზოგჯერ მოულოდნელი და გამაოგნებელიც კი არის; იგი სიტყვათა წარმომავლობის ისეთ ვარაუდს გვთავაზობს ხოლმე, სხვას რომ არავის მოსვლია თავში. მაგალითად, ჯიხვს სახელი რქების „ჯახა-ჯუხის“ გამო შერქმევია; ანდა, აი, როგორია ბგერადობით მსგავსი ორი სიტყვის (თოხი და თიხა) მისეული ახსნა:

„თოხს რომ მიწაზე დავარტყამთ, „თ“ ბგერა ისმის და როცა გამოვუსვამთ, მივიღებთ „ხ“ ბგერას. აქედან – თოხი“.

„ამავე წესით მიიღება სიტყვა-სახელი თიხა. როცა თიხა მშრალია, მაშინ უფრო მკაფიოდ გამოისმის „თ“ და „ხ“ ბგერები.

ზოგჯერ კი ავტორის დაკვირვებები მართლაც ჩანახატებად გვევლინება: „ტყიდან იალალის პირზე რომ ავდიოდი კლდეებზე, მომესმა ხმა „ფსტ“. თითქოს ნადირმა ცხვირი დააცემინაო...“ (ეს ფსიტი სიტყვის წარმომავლობის მიგნების მომენტია!).

ამაო იქნებოდა ამ დაკვირვებების მეცნიერული განსჯა, ეს სულ სხვა სამყაროა და ჯობია არ ჩავერიოთ ბუნებისა და შემოქმედი ადამიანის პირდაპირ დიალოგში.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ბატონ ირაკლის ამ ხმებით გაჯერებულ ბუნების ბილიკებზე!..

პროფ. ავთო არაბული

* * *

ადამიანი ღვთის ხატების ყველაზე სრულყოფილი მატარებელია.

მის სწრაფვაშია უმთავრესი გარანტი, ოდესღაც ნანატრ მიზანთან რომ მივა.

„უფალი კაცობრიობის მიერ გავლილ ისტორიას ქვრეტს ერთ თავბრუდამხვევ ნამში“.

მისთვის ბუნება იყო ის ყველაზე დიდი ნიგნი, რომელსაც ყოველდღიურ ურთიერთობაში კითხულობდა. ის ბაძავდა გარემომცველ სინამდვილეს და დგამდა ნაბიჯს ადამიანობისაკენ.

ბატონი ირაკლი პატაშურის ცდა, რომ სათავე დაუძებნო ყოველ სიტყვას, ნამდვილად მისასალმებელია.

ადამიანი იმ ურთიერთობის კვანძია, რომელიც მას ცნობიერთან და ქვეცნობიერთან აკავშირებს. განა ჩვენი სული და გული ჩვენმა მშობლიურმა გარემომ არ ძერნა განა მანვე არ ხედნა ჩვენი ყური?

ყოველი ბგერა გზავნილი არ არის სულიერ სამყაროდან რეალურ სინამდვილეში?

ამ საკითხზე ფიქრი უამრავ კითხვას შობს, რასაც მივყავართ წინაპართა მეხსიერებასთან, ჩვენი ხალხის კოლექტიურ გამოცდილებასთან.

ავტორი მიიჩნევს, რომ ჩვენში არ უნდა მოხდეს შორეული მეხსიერების წაშლა.

ჩვენ ბუნებას გამოვეყავით ყველაზე ბუნებრივ აქტში, რამაც სავალალო მდგომარეობაში ჩაგვყენა კაცთა მოდგმა.

ადამის მოდგმის სრული ბედნიერებისათვის აუცილებელია დაუზბრუნდეთ პირველ წიაღს, ჩვენც ამ ნიგნის ავტორის მსგავსად ვუსმინოთ პირველ ხმას. სასურველია, წიგნში წარმოდგენილ ავტორისეულ შეხედულებებს არ შევხედოთ მხოლოდ, როგორც ნედლ მასალას. ჩვენ აქ ვიპოვოთ უფრო მეტს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მინდა ზურგის ქარი ვუსურვო ამ წიგნს და მისი ავტორის ამ მიმართულებით დაუცხრომელ ძიებას.

ერეკლე საღლიანი

ქართული ენის წარმოშობის საიდუმლო

შესავალი

ამ წიგნის დაწერისას ყველაზე ძალიან მანუხებდა ერთი კითხვა, დღეს რა უნდა დაწერო ისეთი, რა წიგნი უნდა შესთავაზო თაობას, რომ კომპიუტერს ჩამოაშორო და წიგნით დააინტერესო იგი. თაობას, რომლის დიდმა ნაწილმა არ იცის ვინ იყო ილია, რუსთაველი, ვაჟა, აკაკი და სხვანი და სხვანი.

დაღამდა. გავშალეთ სუფრა, ჩამოვდგით ღვინო, ყველი, პური. ვივანხშმეთ და დავიძინეთ. გათენდა და არც კი ვაკვირდებით, როგორ ჰგავს ყოველი მომდევნო დღე გუშინდელს. არ გვაინტერესებს ვინა ვართ, რანი ვართ, საიდან გავჩნდით და საით მივდივართ. რით და როგორ განვსხვავდებით ადამიანები პირუტყვებისგან, რა არის ჩვენი სიცოცხლის აზრი და მიზანი...

ბიბლიის მიხედვით ადამიანი ღმერთმა შექმნა თავისი სახის მსგავსად, „ხატად თვისად“.

შემდეგ.

„გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი და მიჰგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა. რომელ სულდგმულს რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა“. დაბადება 2, 19.

ბიბლია არც სვამს საკითხს და არც ჰასუსხობს იმაზე, თუ რა ენაზე ლაპარაკობდნენ პირველად ღმერთი და ადამი, ადამი და ევა, ევა და გველი. დღეისათვის ისიც ცნობილია, რომ გველს სმენა არა აქვს. იქნებ მათი აზრობრივი გადაცემა ტელეპათიური იყო? თუ ასეა, მაშინ ადამიანის გამოჩენა მიწაზე უკავშირდება წარმოშობის კოსმიური ანუ არქეო-ასტრონავტულ თეორიას, რომლის მიხედვითაც დედამიწური ცივილიზაცია ერთადერთი არაა კოსმოსში. არსებობდა და არსებობენ მაღალგანვითარებული ცივილიზაციები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა კოს-

მოსის სიცოცხლის ინტელექტუალური ფორმებით დასახლება.

ღმერთის მიერ შექმნილი პირველსახის – ადამის შთამომავლობას მხოლოდ ქართველებს გვაქვს საკუთრებად დარჩენილი სიტყვა – ადამიანი – ადამის მოდგმა, მისი რეალური შთამომავალი, როგორც ქრისტესგან – ქრისტიანი, ქრისტეს მიმდევარი.

ადამიანის წარმოშობასთან ერთად უნდა წარმოშობილიყო სალაპარაკო, სამეტყველო ენა. რის მიხედვით უნდა დაერქმია ადამს ცხოველებისათვის, ფრინველებისათვის, მცენარეებისათვის და ზოგადად ნებისმიერი საგნისთვის სახელი, რომლისგანაც უნდა წარმოშობილიყო ზმნები და სხვა მეტყველების ნაწილები? რა უნდა დაედო საფუძვლად და რითი უნდა ეხელმძღვანელა ადამიანს სიტყვა-სახელების შერქმევის დროს? ცხადი ხდება, რომ სიტყვა-სახელის წარმოშობის (შექმნის) საფუძველთ-საფუძველი და სახელმძღვანელო პრინციპი იყო თვითონ ცხოველი, თვითონ ფრინველი, თვითონ საგნები, რომლებიც ბუნებრივად გამოსცემდნენ ბგერებს. ასე წარმოიშვა პირველი – ადამიანური სამეტყველო ენა. ეს ენა არის ენა ქართული და იგი არის ამავე დროს პირველი ენა, მსოფლიო ენა, ხმისმიერი ენა, ბუნებრივი – ღვთაებრივი ენა. მისი განვითარება ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

ადამი – ანური ენა

იბერი-ული ენა

ქართული ენა

ამ წიგნში **იბერი, ქართული**, თავთავის ადგილზეა განმარტებული.

გვასწავლიან, რომ ბიბლია დაიწერა ებრაულ ენაზე. ადამი – ძველებრაულად მინას ნიშნავს და მისგან გავრცელდა ებრაული მოდგმა, ებრაული ენა, ებრაული ერი.

საიდან წარმოიშვა თვითონ სიტყვა – ებრაელი?

დავაკვირდეთ: იბერია – იბერიელი – ებრაელი.

ივერია – ევრეი.

იბერიელებმა ხომ პირინეიდან მოყოლებული ხმელთაშუა ზღვის სანაპირო მთლად გამოიარეს. ქართველები მხოლოდ სა-

ქართველოში დაერქვათ მათ (თუ გადაშლით წიგნს „ინგლისის ერის ისტორია“-ს, ნახავთ, რომ პირველ გვერდზევე წერია: „იბერიელები“ (თ. ალავერდაშვილის კვლევა).

იბერიელთა ერთმა ნაწილმა ისტორიის რომელიღაც ადრეულ პერიოდში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გაიჩინეს სამკვიდრო, სადაც დატოვეს ეთნიკური სახელწოდება იბერიელი, საიდანაც წარმოსდგა სიტყვა ებრაელი.

პონტოს სამეფო – ელინისტური სახელმწიფო ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიაში, დაარსებული ძვ. წ. 302-64 წ. მითრიდატე II მიერ. დასახლებული იყო ქართველური ტომებით.

დღესაც საბერძნეთში წასულ ქართველ ემიგრანტებს ბერძნები პონტოელებს უწოდებენ. ანუ ბერძნული „ენით“ ჩვენ არა გურჯები, არა ჯორჯიები, არა იბერიელები ან გრუზინები, არამედ ისევ პონტოელები ვართ.

ოცდაექვსი საუკუნის წინ, ასურეთმა და ბაბილონმა დაიპყრო ებრაელთა სამეფო და მოხდა ებრაელთა განსახლება ჩრდილოეთ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში და დასავლეთ ევროპაში. მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტებმა დაახლოებით 6 მლნ ებრაელი მოსპეს. საქართველოში კი ისინი მთელი 26 საუკუნის განმავლობაში კომფორტულად გრძნობდნენ თავს.

ღვანლმოსილი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, კლიმენტი შელიას თვალსაზრისი: „**შვეიცარიელი მკვლევარის აღმოჩენასთან დაკავშირებით რუსი მეცნიერები წერენ: „ტუტანჰამონი კავკასიელი ეროვნების პირისპირ აღმოჩნდა“, ე. ი. „სწორად დამტკიცდა – ადამიანები წარმოიშვნენ საქართველოდან“. რუსი მეცნიერები ამას ამტკიცებენ დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით (დმანისი)“.**

სამეცნიერო ჟურნალ-კრებული – ცოტნეიდელი, ტომი VI, 2013-2014 წ.წ. გვ. 345

რელიგის მიმდევრები ბიბლიის მიხედვით დასაბამიდან

დღემდე 8500 წელს ანგარიშობენ. დმანისის არქეოლოგიური გათხრები კი მოწმობენ, რომ ჩვენს მიწაზე მილიონ ექვსასი ათასი წლის წინ უცხოვრიათ ადამიანებს.

თბილისიდან 60-70 კმ-ის დაშორებით, დმანისთან, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ორი (შემდგომ მესამე), უძველესი ადამიანის თავის ქალა, რომელიც ამერიკელი ექსპერტების დასკვნით: მილიონ რვაასი ათასი წლისაა. ერთი თავის ქალა მამაკაცისაა, მეორე – ქალის. არქეოლოგებმა მათ, პირობითად, „ზეზვა“ და „მზია“ შეარქვეს. ამერიკელი სპეციალისტების აზრით: **1) ასეთი უძველესი ადამიანის თავის ქალა თანამედროვე კაცობრიობას ჯერ-ჯერობით არ გააჩნია! 2) საქართველო ადამიანის ქეშმარიტი სამშობლოა!**

აშშ-ს მეცნიერებმა, ადამიანის გენეტიკის სპეციალისტებმა (ხელმძღვანელი პროფესორი ბრაიან საიქსი), ადამიანის მითოქონდრული ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინეს, რომ **ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან არიან წამოსული (კავკასიაში მაშინ ქართველები იყვნენ). მითოქონდრული გენი მართავს ადამიანის გენეტიკას. აღნიშნული აღმოჩენა ალტაცებით მიიღო მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებამ.**

ავთანდილ სიხარულიძე „ქართული საერთაშორისო ენა ინგლისურისა და ესპერიანტოს სანაცვლოდ“, ლიტერატურული ჟურნალი ამერიმერი, 1-2, 2015, გვ. 205.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა გვიშლის ხელს ქართველებს დავიჯეროთ, რომ ღვთისმშობელი მარიამი და უფალი ჩვენი, მაცხოვარი – იესო ქროისტე იბერიელი ებრაელები იყვნენ.

დიდი ხანია მაინტერესებს როგორ წარმოიშვა ქართული ენა.

ხმა და მისი მიჯაჭოვარივი კავშირი ქართული ენის წარმოშობასთან

დიდი გააზრება არ უნდა იმას, რომ ორი სხეული ერთმანეთთან შეხებისას (დაჯახება, სრიალი, გორვა და სხვა.) წარმოშობს ხმას. ეს სხეულებია დედამიწაზე არსებული ნებისმიერი საგანი: ქვა, ხე, წყალი, ჰაერი, მიწა, კვების პროდუქტები, სითხეები და, საერთოდ, ყველაფერი, რაც კი ადამიანის თვალთა ალიქმება და რასთანაც ადამიანს თავის ცხოვრება-საქმიანობაში ჰქონია ურთიერთობა. შეიმჩნევა, რომ სხვადასხვა საგნების ერთმანეთთან ფიზიკური მოქმედებისას წარმოიქმნება ბგერები, რომლებიც, ჩემი აზრით, საფუძვლად დაედო ქართულ ენაში მრავალი სიტყვის წარმოშობას... გარდა ამისა, ქართული სიტყვა-სახელი წარმოიშობა ფრინველების, ცხოველების, ადამიანის პირიდან წამოსული ბგერების მიხედვით.

გულწრფელად ვაღიარებ და ეტყობა კიდევ ჩემს ნაცოდვილარს, რომ არა ვარ მეცნიერი, მით უფრო ენათმეცნიერი. მიღებული მაქვს სოფლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია და მთელი ჩემი სიცოცხლე, დღე და ღამე გამიტარებია მინდორში, ტყეში, ღრეში, მთა-იალალებზე და ბუნებისაგან შექმნილი ათასობით ბგერა მეხსიერებაში ჩამრჩენია.

ფრინველი - ფრინ-ველი

დღესაც და ადრეც, წარსულში, ადამიანთან ყველაზე ახლოს ბინადრობდა ბელურა ჩიტი – ჭავჭავი. ამ ფრინველების ჩხუბის დროს (ხშირად, როცა ორი ჩიტი ჩხუბობს) გამოისმის ბგერები: „ჭივ-ჭავ“, „ჭავ-ჭავ“. ამიტომ უწოდდა ადამიანმა ამ ჩიტს ჭავჭავი. ისე კი, საერთოდ, ყველა პანია ფრინველს ჩიტი ჰქვია იმიტომ, რომ თავის სახელს თვითონ იძახის – „ჩიტ“.

ეს ფრინველები ისე ახლოს მიდიან ადამიანებთან, რომ მათი აფრენა-დაფრენის დროს კარგად ისმის ბგერები – „ფრრრრ“...

ადამიანი საცხოვრებლად არჩევდა დიდ, გაშლილ და ნაყოფიერ ადგილებს. ასეთ ადგილებში ხნავდა, თესავდა, თიბავდა, მკიდა, სარჩო-საბადებელს აგროვებდა. შორ მანძილზე ერთმანეთთან მათი საურთიერთო საშუალება იყო დიდი ხმით დაძახება: „ე-ჰე-ჰე-ჰეე“. ასეა დღესაც, შორ მანძილზე რომ ვინმეს გასძახო, ვერ დაუძახებ ვერც „ააა“-ს და ვერც სხვა რომელიმე ხმოვანს, უნდა დაუძახო – „ე-ჰე-ჰეეე“. „ვ“ და „ლი“ მოსართავი მარცვლებია. აქედან წარმოსდგა სიტყვა – „ველი“. „ველი“ – რაიმე მოქმედების არე, სივრცე (ბრძოლის ველი, მაგნიტური ველი, ელექტროველი, ბიოველი). ამ ბგერა-სიტყვების მიმატებით ადამიანმა მიიღო მეტად საჭირო სიტყვა – „ფრინველი“. „ფრრრრ“+„ველი“ = ფრინველი.

ჩიტის სხეულის იმ ნაწილს, რომლის მეშვეობითაც გამოისმოდა „ფრრრრ“, ადამიანმა უწოდა „ფრთა“.

„ფრინველი“ ზოგადი სახელია ყველა იმ ფრინველისათვის, რომელთა ფრენის დროს ფრთები „ფრრრრ“ – ბგერებს გამოსცემენ. აქედანვე წარმოიშვა სიტყვები: „მფრინავი“, „თვითმფრინავი“, „გაფრინდა“, „მოფრინდა“ და სხვა.

ყუავი - ყვავი

ერთ მშვენიერ დღეს მინდორში, მწვანეზე წამოწოლილ ადამიანს თავზე გადაუფრინა ფრინველმა, რომელმაც დასჩხავლა: „ყუავ, ყუავ“. ადამიანმა იფიქრა, თუკი ფრინველის პირიდან ამოდის ბგერები „ყუავ, ყუავ“, სხვა სახელს ხომ არ დავარქმევო და დაარქვა ფრინველს „ყ უ - ა ვ ი“. სახელიც დაარქვა და დაიმახსოვრა, რომ ფრინველი შავი კი იყო, მაგრამ თეთრი ფერე-

ბიც ჰქონდა ყელსა და ფრთების ქვეშ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრ ქართულ სიტყვაში პირველად იყო „უ“ და შემდეგ გადაკეთდა „ვ“-დ. ასეთი სიტყვებია: ყუა-ვი – ყვავი, კუერცხი – კვერცხი, ლუედი – ლვედი, ლუარი – ლვარი, ქუავერი – ქვევერი, ფქუილი – ფქვილი, ჯუარი – ჯვარი და სხვ.

ასო-ბგერები ზოგი ხორხში წარმოიქმნება, ზოგი ენის წვერით, ზოგი ბაგეებით, ერთად-ერთი ასო-ბგერა არის „ვ“, რომელიც განსაკუთრებული წესით, ზედა კბილების ქვედა ტუჩზე დადებით წარმოიქმნება. ეს მაშინ ხდება, როდესაც „უ“ ხმოვნის სათქმელად ვამზადებთ ტუჩებს და როცა ყველაზე ახლოს არის ზედა კბილები ქვედა ტუჩთან. ასე გადაიქცა ბევრ სიტყვაში „უ“ ბგერა „ვ“-დ.

ყორანი

გადმოუფრინა მეორე ფრინველმა ადამიანს, ისიც ყვავი ეგონა, იფიქრა, სახელის დარქმევა აღარ დამჭიდებოა, მაგრამ მოტყუვდა: ფრინველი მთლად შავი იყო და იძახდა „ყრ, ყრ, ყრ“ და ფრინველის მიერ გამოცემული ბგერების მიხედვით მოუძებნა მას სახელი – ყორანი.

ადამიანის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დარწმუნდა, რომ ფრინველებისთვის სახელების მოძებნა-დარქმევაში თავად ფრინველი ეხმარებოდა და ნაწილობრივ მაინც წარმოთქვამდა იმ ბგერებს, რომლის მიხედვითაც დღეს უკვე სახელი აქვს ფრინველს შერქმეული; და კიდევ ერთი რამ: იმ დღიდან მოყოლებული ადამიანი ალამაზებდა, ხვენდა როგორც საკუთარ თავს, ისევე იმ სიტყვა-სახელებსაც, რომლებსაც ის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ქმნიდა. ეს მარცვლებია – „რი“, „ლი“, „ტი“, „ნი“, „ნო“ და სხვა, რომლებსაც გამოცემულ ბგერებს ან წინ უმატებდა, ან ბოლოს, ან ორივეგან, ან საერთოდ არ უმატებდა. უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა-სახელების მოსართავ დაბოლოებად უფრო მეტად უმატებდა „ლი“ და „რი“ მარცვლებს. ასე წარმოიშვა „ლი“-ანი და „რი“-ანი სიტყვები.

ხმაბაძვა არის საგნებისა და ცოცხალი არსებებისთვის სახელის დარქმევა მათ მიერ გამოცემული ბგერების მიზაძვით (მაგ. ბაყაყი, ჭრიჭინა, წრუნუნა). სრული ხმაბაძვა შეუძლებელია, ვინა-

იდან ენის დანაწევრებული ბგერები ზუსტად ვერ ასახავს საგნებისა და ცოცხალი არსებების (ფრინველების, ცხოველების) მიერ გამოცემულ დიფუზურ ბგერებს.

(თ. შარაძენიძე)

გუგული

გუგული ეკუთვნის გადამფრენი ფრინველების ჯგუფს, გაზაფხულზე თბილი ქვეყნებიდან მოფრინდება და ტყიდან მკაფიოდ ისმის ძახილი „გუგუ“. მოსართავი „ლი“ მარცვლის მიმატებით აღამიანმა ამ ფრინველს შეარქვა სახელი **გ უ გ უ ლ ი**.

იხვი

ეს ფრინველი წყალშიც დაცურავს, მიწაზეც დადის და ფრინავს კიდეც. იძახის „ხვიიი, ხვიი“. ამ ფრინველს აღამიანმა ი ხ ვ ი უწოდა. დაბალი ხმით ეს ფრინველი „კვა კვა“-საც იძახის, ამიტომ მას მეორე სახელს **კ ვ ა ტ ს ა ც** ეძახიან.

ბატი

სულხან-საბას ლექსიკონში ასე განიმარება ბატი – ლერლეტი. დღეს ლერლეთს აღარ ვხმარობთ. სინამდვილეში ბატები ერთად ახმაურდებიან, გამოსცემენ ბგერებს: „ლერ-ლერ“, „ლი-ლი“, „ყი-ყი“ და შეარქვა ამ ფრინველს აღამიანმა **ლ ე რ ლ ე ტ ი**.

კვირიონი

ეს ფრინველიც გადამფრენია, ჩვენთან უფრო შუა ზაფხულში შეინიშნება, ფუტკრის მტერია. გამოსცემს ბგერებს „კვირი-კვირი“. „ნი“ მარცვლის მიმატებით აღამიანმა მას შეარქვა **კ ვ ი რ ი ო ნ ი**.

მწყარი

მოფრინდება ზაფხულში, მინდორში იცის ბუდობა ყანებში და მაღალ ბალახებში. ხშირად ღამეც კი ქვითინებს და იძახის „ქვით-კირი, ქვით-კირი“, მაგრამ აღამიანმა არ დაარქვა მას სახელი ქვით-კირი შემდეგი მოსაზრების გამო: ქვა და კირი თავთავის

ადგილზე იქნება განმარტებული. ეს საგნები წარმოადგენდა ადამიანისთვის მეტად საჭირო საშენ მასალას, რომლითაც აშენებდნენ ნაგებობებს და მიეცათ საერთო სახელწოდება ქვეთვირი. ზაფხულში თუ დავაკვირებით, ყანიდან ისმის ხმა-ბგერები – „მწლ-ლ-ლ“, ადამიანმა მიუმატა მოსართავი მარცვალი – „რი“ და მივიღეთ სახელი **მ წ ყ ე რ ი**.

ჩხართვი

ეს ფრინველი მარტოც დაფრინავს და გუნდიც დადის, გა-მოსცემს ბგერებს „ჩხა-ჩხა-ჩხა“. აქედან დაერქვა ამ ფრინველს **ჩ ხ ა რ თ ვ ი**.

მერცხალი

ეს ფრინველი მოფრინდება გაზაფხულზე, ჩამოჯდება ხის ხმელ ტოტზე (დღეს – დენის მავთულებზე), არ გააჩერებს ენას, მისი პირიდან უფრო მეტად ისმის ბგერები „ჭ“ და „რ“ (ჭორიკანა), მაგრამ ჭიკჭიკის დამთავრებისას ყოველთვის „რ“-თი „ცხ“-თი ამთავრებს. ადამიანმა ამ ბგერებს თავსა და ბოლოში მიუმატა მოსართავი მარცვლები (თავსართი, ბოლოსართი) და მიიღო ამ ჩიტის სახელი – **მ ე რ ც ხ ა ლ ი**.

მოლალური

თუთა-ბალის დამწიფებისას მოფრინდება ეს ფრინველი, ძალიან ლამაზი, ყვითელი გულით და გალობს: „ბიჭო-გოგიაო, ბიჭო-გოგიაო“, მაგრამ ისე ლალად გალობს და ისე მკაფიოდ გამოსცემს სხვადასხვა სასიამოვნო ბგერებს, რომ ადამიანმა ამ ფრინველს ლალად მღერისათვის **მ ო ლ ა ლ უ რ ი** შეარქვა. ჩვენთან ამ ფრინველს ხშირად მაინც **ბ ი ჭ ო გ ო გ ი ა ს** ვეძახით.

ყაყაპი

მინდორში იშვიათად გამოჩნდება ხოლმე ლამაზი მწვანე ფრინველი, რომელიც გამოსცემს ბგერებს: „ყა-ყა-ყაპ“. ადამიანმა მას **ყ ა პ ყ ა პ ი** შეარქვა.

ჩხიკვი

ეს ძალიან ეშმაკუნა ფრინველია. ზოგიერთ ფრინველს (მინო, კაჭკაჭი, ჩხართვი) ისე ბაძავს ბგერების გამოცემაში, რომ თითქმის ვერც გაარჩევ მათგან, მაგრამ მაინც ყველაზე ხშირად და მკაფიოდ მისგან გამოისმის ბგერები: „**ჩხიი-ჩხიი**“ და მას შეარქვა ადამინმა სახელი **ჩ ხ ი კ ვ ი**.

კოდალა

ხე პატარ-პატარა ფულუროებს იკეთებს გამხმარ ნაწილებში, სადაც იზუდებენ ჭია-ლუები. ეს ფრინველი ამ ადგილებზე ნისკარტით უკაკუნებს, კოდავს, ამიტომ მას ადამიანმა **კოდალა** უწოდა.

შროშანი

არიან ფრინველები, რომლებიც დაფრინავენ მარტონი, ერთი-ორი ერთად ან გუნდ-გუნდად. შროშნები გუნდად დაფრინავენ. ადამიანს არც ისე შორს, თავზე გადაუფრენენ და ამ დროს გამოისმის ბგერები „**შრი-შრი**“, ეს ბგერები მათი ფრთებიდან მოდის. ამ ბგერების გამო ადამიანმა მათ უწოდა **შ რ ო შ ა ნ ი**.

კრუხი-წინილი

ეს მართლაც ულამაზესი სანახაობაა, ეზოში კრუხს წინილები რომ დასდევენ: კრუხი იძახის: „**კრუხ-კრუხ**“ და წინილებიც „**წი-წი**“-თი მისდევენ დედას. აქედან **კ რ უ ხ ი** და **წ ი ნ ი ლ ი**.

ქორი

ქორი ზოგადი სახელია მტაცებელი ფრინველებისა. ნადირობის დროს დიდი სიჩქარით ფრინველის ჰაერთან შეხებისას გამოიცემა ბგერა „**ქ**“ – „**ქ**“ – ჩამოიქროლებს. აქედან მოსართავი „**რი**“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **ქ ო რ ი**.

მიმინო

ცაში ფრენისას და ხეზე ჯდომისას ფრინველი კვივის „**მია**, **მია**“; აქედან დაერქვა ამ ფრინველს **მ ი მ ი ნ ო**.

ბუ

ამ ფრინველს ვერ ვხედავთ იმიტომ, რომ ღამე დაფრინავს, იძახის „ბუუ, ბუუ“. რალა თქმა უნდა, ამ ფრინველს ადამიანი ბუს დაარქმევდა. ალბათ არ იყო ღირსი და მოსართავი მარცვლები მისთვის ადამიანმა ვერ გაიმეტა. სინამდვილეში ამ ფრინველს დაჭყეტილი თვალეები აქვს, დიდი თავი და მოხრილი ნისკარტი. მართლაც ულამაზო და შეუხედავია. „ყვავს შვილი მოუკვდა და ბუს მიუგდო, დიდი თავი გაქვს და იტირეო“ – ხალხური ანდაზა.

ჭოტი

ესეც ღამის ფრინველია, ყველაფრით ბუს ჰგავს, მაგრამ ცოტა პატარაა და იძახის „ჭოო, ჭოო“. ადამიანმა მას **ჭოტი** შეარქვა.

ქათამი

შინაური ფრინველია, კვერცხის დადება რომ მოუხდება, დაინყებს „კა-კა-კა“ ან „ქა-ქა-ქა“. ესენი ერთმანეთის მსგავსი ბგერებია და ადამიანმა შეურჩია მას სახელი **ქათამი**.

ყარანა

ეს ჩიტიც დრო და დრო გამოჩნდება ხოლმე. აფრენისას და ტოტზე ჯდომისას იძახის „ყარ, ყარ“. ადამიანმა ამ ჩიტს **ყარანა** უწოდა.

ჩიტების სახელებში ისიც შეიმჩნევა, რომ ზოგიერთ ჩიტს სახელები აქვთ შერჩეული მათი თვისებების ან გარეგნული სახის გამო. ასეთი ჩიტებია:

ზამთარა – უმეტესად ზამთარში იცის გამოჩენა, თანაც გუნდ-გუნდად.

გულყვითელი – გული აქვს ყვითელი.

კვირტიჭამია – რამდენიმე წელიწადში ერთხელ გამოჩნდებიან ხოლმე, გაზაფხულზე კვირტის გამოსვლის დროს, კირკნის ხილის კვირტებს.

ლობემძვრალა – ლობე-ლობე დაძვრება.

თოხისტარა – ბოლო გაგრძელებული აქვს თოხის ტარივით.
წინკანა – „წინკ-წინკ“ – იძახის.

ბვრიტი

ეს ფრინველი ფრენის დროს არა ხმიანობს, მისი ხმა „გრრ, გრრ“ შორი მანძილიდანაც შეგვიძლია გავიგოთ ხეზე ჯდომისას. აქედან – **გ ვ რ ი ტ ი**.

როჭო

მთა-იალალების ფრინველია, ჯგუფ-ჯგუფად იცინან ბალახებში მალვა. ახლოს მისვლისას უცებ წამოფრინდებიან და გამოსცემენ ბგერებს: „ჭ“, „რ“, „ტ“, „ლ“. მაგრამ გუნდი რომ ამოფრინდება, ამ ბგერების თანმიმდევრობა ერთნაირი არ არის, ერთმანეთშია არეული ეს ბგერები. ადამიანმა ამ ფრინველს უწოდა **როჭო**, ხოლო იმ ბალახ-მცენარეებს, რომლებშიც იმალებიან როჭოები, კუთხურად ვეძახით **ჭირტლებს**. **ჭირტალილოლო**. დიახ, უმეტესად ლოლოებში იცინან როჭოებმა განაბვა.

სოსობი

აღბათ არ არსებობს ჩვენში იმისთანა ლამაზი ფრინველი, როგორც ხოსობია, უფრო მეტად – მამალი ხოსობი. თავის სახელს არც იძახის და ისე ამოიყვივლებს ბარდებიდან (მამალი ხოსობი), რომ ოდნავადაც არ უახლოვდება ეს ბგერები მის სახელს. ჩემი ვარაუდით, მისი სილამაზით გამოწვეული გაკვირვებით არის წამოძახილი ეს სახელი: „**ო-ხო-ხო**“, რა ლამაზი ფრინველიაო. აქედან მიიღება სიტყვა-სახელი **ხოხობი**.

ცხოველები

გოჭი, გურვაკი, ღორი

გოჭი, თუ მაძღარია, ხმასაც არ ამოიღებს, ნევს ან თავისთვის ჩიჩქნარაობს, მაგრამ თუ მოშივდა ან თუ ხელში გვიჭირავს ფეხებით, მაშინ გოჭი ჭყივის – „გო-გო-ჭი-ჭი“ ბგერებს გამოსცემს. ამიტომაც დაარქვა მას ადამიანმა **გოჭი**.

როცა გოჭი უკვე წამოიზრდება, გახდება რამდენიმე თვისა, მაშინ „გ“ და „ჭ“ ბგერების მაგიერ გამოისმის ბგერები – „ბ“ და „რ“; აქედან – **ბურვაკი**.

კიდევ უფრო დიდი რომ გახდება, ხმა დაუბოხდება და ღრუტუნებს და გამოისმის „ლ“ ბგერა. მოსართავი „რი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **ღორი**.

ცხენი

ხეივანის დროს პერიოდულად გამოსცემს ბგერას „ხ“. ამ ბგერის გამო შეერქვა ამ ცხოველს **ცხენი**.

ძალი

ამ სიტყვის წარმოქმნაშიც უნდა გავითვალისწინოთ ღორის მაგალითი. ასაკის მიხედვით ძალი არის პატარა, საშუალო ასაკის, დიდი ძალი, ბებერი ძალი. მისი ძირითადი დანიშნულება იყო ყეფა. ხშირ შემთხვევაში ძალის ყეფას შორიდან ვისმენთ. ისიც შეიმჩნევა, რომ ბგერა ხმას იცვლის მანძილის მიხედვით. შორი მანძილიდან ძალის ყეფა ისმის ბგერებით: „ძალ, ძალ“ – მოსართავი „ლი“ მარცვლის მიმატებით მივიღეთ სიტყვა **ძალი**.

ზროხა – ძროხა

დღეს სალაპარაკო ენაში შემოსულია სიტყვა ძროხა, უწინ ყოფილა ზროხა. სინამდვილეში ძროხის ყვირილის დროს ნაკ-

ლები მიმსგავსებით ვიგებთ ბგერებს „ზოო“ ან „ძოო“. ამ ყვირილის დროს „ხ“ ბგერა არ ისმის, მაგრამ ძროხა ხშირად თითქოსდა ახველებსო, გამოსცემს ბგერას „ხ“, აქედან მიიღება მისი სახელი **ძ რ ო ხ ა**.

მგელი-ტურა

ცნობილია, რომ ტურა და მგელი ორივე ყმუის. ტურას „უ-უუუ“ – გაბმული და მკაფიო გამოძახილისთვის ჰქვია **ტ უ რ ა**.

მგე-ფუძის მოსაძებნად ჩავიხედოთ საბას ლექსიკონში – მგე – თვისსა ზედა თვისებასა მოუკლებელი“ – წერს საბა. გავხსნათ ეს ორი სიტყვა – თვისება, მოუკლებელი.

ცნობილია, რომ როდესაც დათვი შევარდება ცხვრის ფარაში (ეს ხდება უფრო ხშირად ღამით), ის ერთ ცხვარს დასცემს პირსა და გაიტაცებს. ეგ არის და ეგ. ეს არის დათვის თვისება, ფარიდან ერთი ცხვარი იკმაროს. მგელი რომ ფარაში შევარდება (არის შემთხვევა – დღისითაც), ერთ ცხვარს კი არ იკმარებს, რასაც მოასწრებს, ყველას გამოუღადრავს ყელს, გაძლება მათი სისხლით, ხორციით და სანამ მეცხვარე და ძაღლები არ ასტეხენ ყეფასა და წივილ-კივილს, მანამ მგელი ფარიდან არ გაიქცევა. ეს არის მისი თვისება – ვერ ითვისებს იმდენს, რამდენსაც აფუჭებს. „ლი“ მოსართავი მარცვლის მიმატებით მივიღეთ სიტყვა **მ გ ე ლ ი**. დღეს ამ სიტყვამ მიიღო ზედსართავი სიტყვის მნიშვნელობაც: **მგელი – დაუნდობელი, გაუმაძღარი, მფლანგველი, შეუბრალებელი**. შევადაროთ სიტყვები: **გა-მგე, გამგებელი, გამგელებული**.

ფსიტი

არც დიდ მონადირე ვყოფილვარ როდისმე და არც ძაღლით მინადირია. მარტოკას მიყვარდა ხეტიალი ტყე-ღრეში. ტყიდან იალალის პირზე რომ ავდიოდი კლდეებზე, მომესმა ხმა „ფსტ“. თითქოს ნადირმა ცხვირი დააცემინაო, გაიქცა და წავიდა, დამიზნება ვერ მოვასწარი. მისი სახელის დასაზუსტებლად გამოცდილ მონადირეებს გამოვკითხე. ყველა ერთნაირ პასუხს მაძლევს: ფსიტი უსტვენს ანუ „ს“ და „ტ“ ბგერებს გამოსცემს. ამ ნადირს ჩვენთან **ფ ს ი ტ ი** ეწოდება.

ჯიხვი

„ჯიხვსა თოფ დაჰკრა ბერხენსა, ჭალას ჯახ იქნენ რქისანი“ – ხალხური ბალადა. „ჯახ“ ან „ჯ“ და „ხ“ ბგერებიდან არის ამ სახელის წარმომავლობა. თუ ჯიხვები არ გვინახავს მორქვენალ-მოჯახუნენი, ყოჩები ხომ მაინც გვინახავს? დაინევენ უკან-უკან, გამოქანდებიან, თავებით ეჯახებიან ერთმანეთს და გააქვთ **ჯახა-ჯუხი**. რა საოცარი სანახაობაა ამ დროს – დედლებს ეპრანჭებიან ყოჩებიცა და ხარჯიხვებიც რქების ჯანა-ჯუხში. აქედან მიიღება სახელი **ჯიხვი**.

ცხვარი

ცნობილია, რომ ცხვარიც და ძროხაც მცოხნავი საქონელია, რადგან საჭმელს ჯერ მთლიანად ჭამს, ათავსებს კუჭში და შემდეგ ღამით, წოლის დროს მუცლიდან საჭმელი ამოაქვს პირში. ცოხნის და გამოსცემს ბგერას „**ცხ, ცხ**“; აქედან მოსართავი „**რი**“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **ცხვარი** (ცოხნა – კბლით დაწვლილება – საბა).

კატა

საოჯახო შინაური ცხოველია, არც კი მინდა ცხოველი ვუწოდო, რადგან დიდი და პატარა ეფერება და გულში იხუტებს, თავისი სილამაზისა და მოხდენილობის გამო. მართალია, კატა კნავის, მაგრამ „**კ**“ და „**ნ**“ ბგერებს არ გამოსცემს. კატისგან გვესმის ხმები: „**მიაუ, მიაუ**“, რაც მიახლოებულიც კი არ არის მის სახელთან. თუ ამ ღამაზე და მართლაც საყვარელ არსებას გულთან ახლოს მივიყვანთ, შევნიშნავთ, რომ ის სუნთქვის დროს გამოსცემს ბგერებს „**კ**“, „**რ**“, „**ტ**“-ს, ანუ კატა კრუტუნებს. შესაძლოა ამ ბგერების მიხედვით უწოდა ადამიანმა მას **კატა**. სულხან-საბა განმარტავს: კატა ფრანგულია, ქართულად **ციცა** ჰქვიაო.

მწეპარი

თუ ყოველ სიტყვას არა, ზოგიერთ სიტყვას მაინც ეტყობა, ის ძველია თუ ახალი წარმოშობისაა. ასეთი სიტყ-

ვაა „მწევარი“, რომელიც მისი თვისებებიდან ამოდის. მწევარი – სანადირო ძაღლის ჯიშია, რომელიც ისევე იყვებება, როგორც სხვა ძაღლი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ნადირობისას ყველა ძაღლი ნადირს ვერ ეწევა და ნადირი გაურბის, სამშვიდობოს გადის. მწევარი კი ის ძაღლია, რომელიც ეწევა ნადირს. ეს სიტყვა – **მწევარი** ძველი წარმოშობის არ არის.

ტახი

ეს ცხოველი იგივე მამალი ღორია, გამოუყვერავი და საგანგებოდ დატოვებული ნეზვის გასანერბად და როდესაც მასთან მიდის, პირი აუქაფდება, გამოსცემს ბგერებს „ახ, ახ“. ადამიანმა მას **ტახი** შეარქვა.

წრუნუნა

პატარა თავის სახელია. კატა მას დაიჭერს, ჯერ არ შეჭამს, ათამაშებს, გაუშვებს – დაიჭერს, გაუშვებს – დაიჭერს. ამ დროს თავი წრიპინებს – „წრუ, წრუ“, კატა თავს **წრუნუნებს**, ტანჯავს. აქედან წარმოდგა სიტყვა **წრუნუნა**.

კვიცი

„კვიცი-ჰი-ჰი“ – ასე აღიქმება ადამიანის ყურით ამ ცხოველის პირით გამოცემული ბგერები. აქედან არის წარმომდგარი ეს სიტყვა-სახელი **კვიცი**.

ირემი

მხოლოდ ერთხელ მქონდა შემთხვევა, როცა სხვებთან ერთად ვნადირობდი მთაში. ფსიტი გვყავდა მოკლული და ღამე ცეცხლის პირს არყის გამოცლამდე ვფხიზლობდით და ვქეიფობდით. ეს იყო ოქტომბრის ბოლო დღეები. ღამით ტყიდან ისმოდა მაღალი ხმით გაბმული ყვირილი. მონადირეებმა ამისხნეს – ეგ ირემია, მამალი ირემი დედალს ეძებსო. „იიი“ და „ეეე“ გაბმული ბგერები ისმოდა ტყეში. ამიტომ დაერქვა მას **ირემი**.

შველი – უშველა, ეშველა

აქ „ლი“ მოსართავი მარცვალა და „ვ“ შუა დანამატი. „შ“ ბგერაზეა აგებული ეს სიტყვა. შველის პირიდან არის წამოსული „შ“ ბგერა. ყველა გამოცდილი მონადირე ამბობს შველი ხავისო.

„ცოტა ხნის შემდეგ ხავილი შემომესმა, დედაჩემის ხმასა „ჰგვანდა“ – ვაჟა, „შელის ნუკრის ნაამბობი“.

მეც მქონია ასეთი შემთხვევა. „შშშ“ გაბმულ ბგერები ისმის შველის პირიდან, მაგრამ მაინც ხავილს ვეძახით ამ ხმებს.

დაზამთრებამდე ღათვი ბუნაგს პოულობს და შიგ აფარებს თავს – სძინავს. ღორს არ ეშინია დიდთოვლობისა, დინგით თხრის თოვლსა და მიწას და საკვებს მაინც პოულობს. მგელი მთასა და ბარში დანანწალებს და საკბილოს ეძებს. საბრალოა მხოლოდ შველი. ხშირად იმხელა თოვლი მოდის, რომ შველს მთლიანად ფარავს. ამ დროს შველი იწევს დაბლა, ბარში, რომ თავი გადაირჩინოს. მას ხომ შეწევნა და დახმარება უნდა. გავითვალისწინოთ ისიც, რომ შველი ძალიან ადვილად უშინაურდება ადამიანს. სავარაუდოა, რომ სიტყვები „შველა“, „უშველა“, „მიეშველა“ ამ უმწეო ცხოველ-შველთან არის დაკავშირებული.

ჯორი

ეს ცხოველი ყვირილის დროს გამოსცემს ბგერებს: „ყრ-ო-ყრ-ო“, თანაც ძალიან მაღალი ხმით, ამიტომ ჰქვია მის ყვირილს „ყროყინი“, მაგრამ მისი ხმა „ჯო“ ბგერად აღიქმება შორი მანძილიდან. მისი ჯიუტი თვისებიდან გამომდინარე მივიღეთ სახელი **ჯორი**.

„ხ“ ბგერის ბუნებრივი წარმოქმნა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი სიტყვა-სახელი

„ხ“ აქტიური ბგერაა და ბუნებრივად ორი სახით წარმოიქმნება:

1. ჰაერისა და სითხის (წყლის) სწრაფი შეჯახებით მაგარ საგნებთან. მაგალითად, **ისხარი** – საბას განმარტებით აღნიშნავს ჩქარ წვიმას, უფრო ზუსტად ქარიან ამინდში წვიმის წვეთების შეხლას ხეებთან, კლდეებთან, მიწასთან. **ქარიშხალი** – მისივე განმარტებით – ძლიერი ქარიანი წვიმა.

ონკანში წყალი დაწყდა, აღარ მოდის, როდესაც ონკანში წყალი უნდა წამოვიდეს, პირველად ჰაერის ნაკადი გამოდის და შიშინებს ანუ „შ“ ბგერას გამოსცემს, მაგრამ როგორც კი თუნდაც მცირეოდენი სითხე გამოერევა, ჰაერთან ერთად თითქოს ახველებს და „ხ“ ბგერას გამოსცემს. ამავე წესით შეიქმნა სიტყვა **შხეფი**.

„ხ“ ბგერის ბუნებრივი წარმოქმნის თვალსაჩინო მაგალითია მთის სწრაფად მოძრავი მდინარისა და ჰაერის შეჯახება ქვებთან და კლდეებთან. ამ დროს წარმოიქმნება „ხ“ ბგერა და მისგან შემდგარი სიტყვა-სახელები: **ხევი**, **ხეობა**, ხოლო ამ ხეობის მკვიდრი მაცხოვრებლების სადაურობის განმსაზღვრელი ცნებები – **მოხევე**, **ხევსური**.

ვაჟა-ფშაველა პოემა სტუმარ-მასპინძელს ასე ამთავრებს:

„მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,
დაბლა მიქანავს ხველითა“.

ბუნების ეს სტიქიური სახე კარგად აქვს გადმოცემული რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“:

„ჩემი ან ესე ნათქვამი მათი სახე და დარია:
რა ზედა წვიმდეს ღრუბელნი და მათათა ატყდეს ღვარია,
მოვა და ხევთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია,
მაგრა რა ზღვასა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნარია“.

(სტრ. 1418-ე).

აუცილებელი არ არის ხევი ზღვას შეუერთდეს, როგორც კი გაივაკებს, მაშინვე შეწყდება „ხ“ ბგერის გამოცემა და ცნება „ხევიც“ კარგავს თავის შინაარსს, მთის მდინარე იქცევა ვაკის მდინარედ და უკვე ნელად მოლეღავს, მოდუღუნებს.

ხევთან არის დაკავშირებული სიტყვა ნა-ხევა-რი. ნა-სიმინდ-არი – ვიტყვით იმ ადგილზე, სადაც სიმინდი გვექონდა დათესილი, ნა-ქერ-ალი – ვიტყვით იმ ადგილზე, სადაც ქერი გვექონდა მოყვანილი, ნა-ხანჯლა-რი ვიტყვით იმ ადგილზე, სადაც ადამიანს მიყენებული ჰქონდა ხანჯლით ჭრილობა, მორჩენილი აქვს, მაგრამ ხანჯლით მიყენებული ჭრილობის კვალი მაინც ეტყობა. ნა-ხევ-არი ვიტყვით იმ ადგილს, სადაც ხევმა ჩამოიარა ადიღების დროს, ადგილი შუაზე გაყო. ზუსტად შუაზე ხომ არ გაყოფს, მაგრამ ზოგადად ასე ითქმება. „ნახევარი“ – შუას იქით (საბა).

2. „ხ“ ბგერა წარმოიქმნება მშრალ მიწასთან მაგარი საგნის მოქმედებით, ხესა და მასთან მაგარი საგნის ურთიერთქმედებით.

გუთნით მიწის დამუშავების დროს წარმოიქმნება „ხ“ ბგერა და ამ პროცესს ვეძახით ხვნას. რაც უფრო მშრალია ნიადაგი, მით უფრო მკაფიოდ გამოისმის „ხ“ ბგერა, ხოლო რაც უფრო ქვიანია სახნავი, მით უფრო ხშირია „ხ“ ბგერის წარმოქმნა და ასეთ ნიადაგს ხირხატს ვეძახით.

შიშველი ფეხით სიარულის დროს „ფ“ და „ხ“ ბგერა არ ისმის, მაგრამ როგორც კი ქალამნით გავივლით, მიწასთან შეხება-ხახუნის დროს გამოისმის ბგერები „ფ“ და „ხ“ (აფხაკუნებს). აქედან მივიღეთ სიტყვა-სახელი ფეხი.

ოთხი

დაუნალავი ცხენის ნელ სვლას ვეძახით ნაბიჯით სიარულს; თუ ცოტა ფეხს აუჩქარებს ცხენი, ამას ჩაქ-ჩაქ-ით სვლას ვეძახით. ჩლიქების მიწასთან შეხებისას „ჩ“ და „ქ“ გამოცემული ბგერების მიხედვით. როდესაც ცხენი ძალიან გაიქცევა, დიდი სისწრაფითა და დიდი ძალით ფეხების მიწასთან შეხების დროს, თითქმის თხრის მიწას, გამოიცემა „თ“ და „ხ“ თანმიმდევრული ბგერები და ვიტყვით ცხენი და-ოთხი-ლი მიდისო. აქ სიტყვა ოთხი ცხენის ფეხების რაოდენობისა და გამოცემული „თ“ და „ხ“ ბგერების ნაზავია.

„ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა.“

ვეფხისტყაოსანის, სტრ. 178

ცხენების დანალვის პერიოდიდან (ნალი და საჭედური ერთი და იგივეა), რკინის მშრალ მინასთან შეხების დროს უფრო მჭახე ხმა გამოიციემა და ამას ცხენის ჭენებას ვეძახით: **გაა-ჭ-ენა**.

თხა

თხა ხეზე ე-**თოთ**-ხე-ბა და ხშირად მისი ფოთლებით იკვებება. ამიტომ იტყვიან ხოლმე: როგორი ზამთარიც უნდა იყოს, თხა ადვილი შესანახია, ხეზე აეთო**თხე**ბა და საკვებს ადვილად შოულობსო. ეს „**თხ**“ ბგერა მაგარი ჩლიქების ხეზე თოთხვისას (წინა ფეხებით) გამოიციემა და ქართველმა ამ ცხოველს მოსართავი მარცვლის მიუმატებლად უწოდა **თ ხ ა**.

თოხი

თოხს რომ მინაზე დავარტყამთ, „**თ**“ ბგერა ისმის და როცა გამოუხვამთ, მივიღებთ „**ხ**“ ბგერას. აქედან – **თ ხ ი**.

თიხა

ამავე წესით მიიღება სიტყვა-სახელი **თ ი ხ ა**. როცა თიხა მშრალია, მაშინ უფრო მკაფიოდ გამოისმის „**თ**“ და „**ხ**“ ბგერები.

სახვეტელი

სულხან-საბას განმარტებით: ნიჩაბი – სახვეტელი ხისა, და მიწის შეხებისას, ხვეტისას წარმოშობილი „**ხ**“ ბგერის მიხედვით წარმოიშვა ფუძე „**ხვეტა**“.

ხმა

„**ხ**“ ბგერა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და ბუნებრივი წარმოშობის ბგერაა. სიტყვა **ხმა** ამ ბგერიდან არის შემდგარი. „**მ**“ – უხმო, შუა მოსართავი მარცვალია, როგორც კი სიტყვაში ასო „**ვ**“ და შესაძლო იყო

„ხმის“ მაგიერი გვექონოდა სიტყვა „ხვა“. ეს კი ქართველის არჩევანი იყო. როცა ადამიანს დიდი გაჭირვება აქვს, შეიძლება პრაქტიკულად ვერ დაეხმარო, არ გქონდეს ამის საშუალება, მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ გვერდით დაუდგე და შენი ხმა შეანიო, დაე-ხმა-რო. მხარი – მხარში ამოდგომა, მხარის მიცემა, თუნდაც პირდაპირი მნიშვნელობით, აღნიშნავს ვინმესთან მყარი საყრდენის შექმნას, ყველაზე დიდი ღონე ხომ მხარში აქვს ადამიანს?! სიტყვა მხარი ხმიდან არის წარმოშობილი „ხ“ და „მ“ ბგერების გადანაცვლების შედეგად.

ხარხი

როდესაც ხეს ვხერხავთ ბირდაბირით, ან სხვა სახის ხელის ხერხით, გასმა-გამოსმის დროს ისმის ბგერები „ხერ-ხერ, ხერ-ხერ“. აქედან დაერქვა ამ იარაღს ხერხი და წარმოიშვა სიტყვები: ნახერხი, სახერხი, უხერხული, მოხერხებული, ხერხემალი, სახეხი, ეხება, ეხეხება და სხვა.

ხელი

გულადი – გულით ძლიერი, უშიშარი.

პურადი – კაცთმოყვარე, სტუმართმოყვარე.

ხელი – აქ „დი“ მარცვალ სიტყვის განმაზოგადებელია. ბევრი ხეების გროვა, მათი დანახვა, დანახვის შესაძლებლობა.

ხეიხირო

ნერგს რომ დარგავ, მას აქვს ის აზრი და მიზანი, რომ მან უნდა გააგრძელოს სიცოცხლე ანუ გაიზარდოს, ანუ ხედ იქცეს, იხეიროს.

ხანხირი

მსხვილფეხა საქონლის ჯოგი მიდის მშრალ მიწაზე, დიდი წონისა და მაგარი ჩლიქების მიწასთან შეხებისას ისმის ბგერები „ხ“. აქედან – ნა-ხი-რი, მენახირე და მისი შეძახილი „ხი“, „ხი-მო“.

ხარი

სიტყვების ახსნის დროს ადამიანს ხანდახან ძველ დროში ჭირდება მოგზაურობა, რომ ნათლად წარმოიდგინოს ხალხთა იმდროინდელი ყოფა-ცხოვრება. ეს ადამიანს დიდად დაეხმარება სახელების აღმოჩენასა და დარქმევაში.

ძველდაც და ახლაც თანაბარი ალბათობაა იმისა, ძროხა მამალი დაიბადება თუ დედალი. აზრი ერთია: დედალი ძროხა გვაძლევს ნამატს – ხბოს და ინველება. ადამიანს კი ესაჭიროებოდა კვების პროდუქტები: რძე, ყველი, ხაჭო, კარაქი, შრატი. ამიტომ ადამიანი დედალ ძროხას დასაკლავად ასე იოლად ვერ იმეტებდა, როგორც მამალს. ეს ერთი, მეორეც ის არის, რომ ნახირში დედალი ძროხების დასაგრილებლად არ იყო იმდენი მამალი ძროხა საჭირო, რამდენიც დაიბადებოდა. პირიქით, ბევრი მამალი ძროხა ერთ ახურებულ ძროხას ანუხებდა კიდეც, ძროხა ნახირიდან გარბოდა და ხდებოდა მენახირის საძებნი და სანვალეული. ეს გარემოება დღეისათვისაც კარგად შეიმჩნევა. ორმოც-ორმოცდაათსულიან ნახირში საკმარისია ერთი ან ორი მამალი ძროხა დედალი ძროხის დასაგრილებლად.

სალოცავის კარზე საკლავის დაკვლა იყო ძველად, ეხლაც არის და მომავალშიც იქნება მსხვერპლად შეწირვის პოპულარული სიმბოლო. აი, ეს სურათიც: წამოაქციეს მამალი ძროხა და გამოჭრეს ყელი. გამარჯვებულებს ბადრი გადასდით სახეზე, რადგან იციან, რომ ხორცი უნდა გამრავლდეს. მამალი ძროხა ჯერ კიდეც არ არის მკვდარი, სისხლად იცლება და დიდი და ძლიერი ფილტვების შეკუმშვა-გაფართოების გამო გამოჭრილი ყელიდან ისმის ბგერები – „ჰაა“ და არა „ხაა“, მაგრამ როგორც კი სასულეში მოხვდება თუნდაც მცირეოდენი სისხლის ნაწილი, სითხისა და ჰაერის ძლიერი ნაკადი წარმოქმნის ბგერას „ხაა“. დიახ, ძროხა ყელში ხრიალებს და იძახის „ხხააა“. ეს პროცესი განმეორდა ათჯერ, ასჯერ, მრავალჯერ და ბუნებრივია, რომ მოსართავი „რი“ მარცვლის მიმატებით ამ უბედურ საქონელს დაერქვა ხ ა რ ი.

სავარაუდოა, რომ თავი „მოიხარა“, ქედი „მოიხარა“ და საერთოდ სიტყვა „მოხრა“ ამ პროცესთან არის დაკავშირებული. მაგრამ ეს საქმე ამით არ დამთავრებულა. ნახირში, ამ დაკ-

ლული ხარის გარდა, კიდევ იყვნენ ბევრი მამალი ძროხები, რომლებიც, როგორც უკვე ითქვა, ანუხებდნენ გასანერ დედალ ძროხას თავიანთი სიმრავლის გამო, მენახირეს კი სულ ერთი ან ორი მამალი ძროხა სჭირდებოდა ნახირში. საჭირო იყო ადამიანის მიერ გონების გამოყენება და გამოიყენა კიდევ.

ჩემი საქმე არ არის ვიკვლიო, მამაკაცი უფრო წინ დაასაჭურისეს თუ მამალი ძროხა პირველად დაყვერეს. აზრი და მიზანი კი ორივე შემთხვევაში ერთი იყო: მდედრთან მამრის ხორციელი სურვილისა და სიახლოვის ერთხელ და სამუდამოდ ჩაკვლა, ეს იყო უმძიმესი ცოდვა.

ამ საქმიანობით ადამიანი დიდად კმაყოფილი დარჩა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ნახირში მწყემსობის დროს თავისი საქმე გაიმარტივა, მეორეც იმიტომ, რომ დაკოდილი მამალი ძროხა, ანუ უკვე ხარი, არა მარტო აღარ ანუხებდა ძროხებს, არამედ სუქდებოდა კიდევ, როგორც დაკოდილი. მსუქანი ხორცი კი რომ მჭლეზე უფრო გემრიელია, ადრეც და ახლაც სადაო არ არის. დღეს ჩვენთან დაკოდილ მამალ ძროხას ჰქვია ხარი.

კურო – ბულა

კურო – ხარი გამოუყვერავე (საბა).

დღეს ქართულ ენაში უფრო იხმარება სიტყვა „ბულა“ და არა „კურო“. ორივე ტერმინი გამოუყვერავე მამალი საქონლის მოქმედებასთან არის დაკავშირებული. ბულა ჩლიქებითა და რქით სჩხვერს მინას და ღმუის – „უ“, „ბუ“, „კუ“, თითქოს ბგერა „ო“-ც ისმის, ამის გამო შეუურჩია ადამიანმა სახელი კურო. საბას განმარტებით, ბულრაობა – რა ხარი რქით მინას ბრდღვნიდეს.

ფური

ფური – დედალი ზროხა – განმარტავს სულხან-საბა. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ფური მენველ ძროხად განიმარტებოდა. დედალი და მამალი ძროხაც სუნთქვის დროს „ფუ“ ბგერას გამოსცემს და ამას გავიგონებთ მაშინ, როცა მასთან ახლოს ვიმყოფებით. ყველაზე ხშირად კი წველის დროსა ვართ ძროხასთან ახლოს და კარგად გვესმის „ფუ“ ბგერა. „რი“ მოსართავი მარცვალაია, ფური.

აღამიანი

ბიჭი

მჭახე და ჭიჭყინა ხმა აქვს. ეს სახელიც ჭ ბგერაზე არის აგებული.

პერი

თუ ბიჭს მჭახე და ჭიჭყინა ხმა აქვს, ხანში შესულ კაცს ხმა უბობდება, ბუბუნებს, ბუხუნებს, „ბე“ და „ბუ“, ბგერებს გამოსცემს. „რი“ მოსართავი მარცვალაია. ბე – რი.

აქედან წარმოსდგა სიტყვა **იბერი, იბერია**.

ბრმა

ღრმად მოხუცებულ ბერს რომელსაც თვალთაგან ხედვა აღარ ჰქონდა, ბრმას ეძახდნენ.

ვინ გატეხა ეს დოქი? – ბერმა.

ვინ დაღვარა რძე? – ბერმა.

ვინ დაადგა კატას ფეხი? – ბერმა.

რატომ? იმიტომ, რომ თვალთაგან უსინათლო იყო და ამ სიტყვიდან წარმოსდგა სიტყვა „ბრმა“.

ბერი – ბერიმ, – ბერმა-ბრმა.

ბერიკაცი, ბერ-ბიჭა, ბერი-ძა, ბერ-ღეღა, ბერ-კვიცი, ბერ-მუხა...

ამ სიტყვებში ბერი მარტო ხანმრავლობას არ ნიშნავს. ბერი კიდევ ნიშნავს მოხუცებულს, რომელსაც შენარჩუნებული აქვს სიმხნე, გონიერება, სიძლიერე და იერსახე-შეხედულება.

„მოაყვანინა ბერი-კვიცი, შეჯდა,

მიეშურება სადაც ომია,

სიბერე ახლავს მაგრამ ჯერ მაინც,

სიმხნით ჭაბუკი, გულით ლომია.“

აკაკი, „თორნიკე ერისთავი“.

„ოჰ, ბერო კომშო ვიყოთ, ვიმღეროთ, ვუძლოთ,
შენი ის მიყვარს, რაც საკუთარი თავის.
ეს გაუმარჯოს, ვინც არ დაბერდა უშნოდ,
და ვინც სიკვდილის წინ ყმანვილკაცივით ჰყვავის“.

მურმან ლებანიძე.

ყმანვილკაცი, ბერი-კაცი, ბერ-ბიჭა, ბერ-დედა, სიტყვები-დან ბერი-ძე-ც იღებს ღირს მნიშვნელობას და იგი უნდა განიმარტოს.

ბერი-ძე – ამ სიტყვაში „ბერი“ – „ძე“-ს სახით აყვანილია ბერ-ობის მაღალ ხარისხში. აქ საქმე გვაქვს კაცთან, რომელიც არის ცოდნით სავსე, გამოცდილებით, სიბრძნით, გონებით, ფიზიკური ძლიერებით ჯერ კიდევ ამაღლებული, მაგრამ მაინც ასაკიანია. ასეთი კაცი დაფასებული იყო მთაში და მას ირჩევდნენ **ხევისბერად**.

ბერი-ძე – სიტყვის ორივე ნაწილის მნიშვნელობა, ცნობილია, საჭიროა მისართავი მარცვალი.

გონიერმა ქართველმა „ნი“ მარცვლით მორთო ეს სიტყვა და მიიღო – ბერიძე-ნი, აქდან ბერიძე-ნი – ბრძენი, მრავლის მცოდნე, გამოცდილი, ძლიერი, მოხუცებული.

ბერი-ძე-ნი – ბრძენი – ბერძენი

ბრძენი – ბერძენი, რატომ ჰგავს ეს სიტყვები ერთმანეთს? ხომ არ წარმოიშვა სიტყვა „ბერძენი“ „ბრძენი“-დან? რა გვაძლევს ასეთი ვარაუდის შექმნის საფუძველს?

გადავხედოთ ისტორიას: ძვ. ბერძნების ჩამოყალიბება დაიწყო ძვ. წ. II ათასწ. დასაწყისში.

რომაელებმა ელინებს (ბერძნებს) უწოდეს „გრეკო“, რაც შემდეგ ევროპის ხალხებმა შეითვისეს „გრეცია“.

ძვ. ბერძნებმა შექმნეს მაღალი კულტურა, რომელმაც დიდი გვალენა მოახდინა ევროპისა და წინა აზიის ხალხთა კულტურის განვითარებაზე.

ფილოლოგიური ნაშრომები:

ერატოსთენე, ზენოდიდე, არისტოტელე.

მათემატიკა და ბუნებისმეტყველება:

ევკლიდე, პითაგორა, არქიმედე, დემოკრიტე.
ასტრონომია: არისტარქე, ჰიპარქე.
გეოგრაფია: პითეა.
მედიცინა: პრაქსაგორა, პეროფილე, ჰიპოკრატე.
ისტორია: თუკიდიდე, ქსენოფონტე, ჰომეროსი.
განათლება: პლატონი. არისტოტელე.
ფილოსოფიაში – სოკრატე.

ძვ. წ. VI საუკუნეში ბერძენთა ახალშენები გაჩნდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზეც: ფასისში (ფოთთან), დიოსკურიასში (სოხუმთან), გიენოსში (ოჩამჩირესთან).

„...ძველი წელთაღრიცხვის მე-6-ე საუკუნეში შავი ზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია რომ დაიწყო, ჩვენმა წინაპრებმა უდიდესი სიმტკიცე და ფესვისა და ლიბოს სიყვარული გამოავლინეს. ბერძნული კულტურა სადაც შევიდა, ადგილობრივი კულტურის კვალი ყველგან ნაიშალა. ერთადერთი შემთხვევა იყო საქართველო, კოლხეთი, სადაც ბერძნულმა კულტურამ ადგილობრივი ვერ ნაშალა“. **ერეკლე სალლიანი.**

დავაკვირდეთ: საერთაშორისო მნიშვნელობით ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი სახელწოდებები:

1. საფრანგეთი – ფრანცია
2. იტალია – იტალიუ
3. ესპანეთი – ისპანია
4. ეგვიპტე – ეგუპტე
5. გერმანია – გერმანუ
6. ინგლისი – ანგლია
7. პოლონეთი – პოლშა

ბულგარია, ვენგრია, რუმინეთი, ალბანია, საბერძნეთი – გრეცია

როგორ არ შეესატყვისება აქ ერთი სიტყვა „საბერძნეთი“ მეორეს „გრეცია“. **საბერძნეთი – ბრძენთა ქვეყანა.**

ბერძენი – ბრძენი.

პირი

„პირით ნანას ეუბნება, ყელში გააქვს კაკანი“ (ხალხური).

პირით წარმოიქმნება ასო-ბგერა „პი“. ეს ერთ-ერთი ყველაზე ადვილი ასახსნელი სიტყვა-სახელია.

„პირი არ უვარგაო“, „უპირო კაციაო“, „პირის გამტეხი“, „პირის ღრუ“. პირიდან მოდის ყველა სიტყვა.

„პირი – სიტყვიერების კარი“ (საბა).

ცხპირი

ეს სახელიც ადვილი ასახსნელია. მართალია, ცხვირიდან სუნთქვის დროს „ცხ“ ბგერა არ მოდის, სრულიად ბუნებრივი მოქმედების გამო, ჯერ შევისუნთქავთ ჰაერს ფილტვების ბოლო მოცულობამდე, მერე კი დიდი სისწრაფით ამოვისუნთქავთ და წარმოიშვება ბგერა „ცხ“. ამას ჩვენ ცხვირის დაცემინებას ვეძახით. „ჰააბ-ცხვი“. აქედან **ც ხ ვ ი რ ი** – „რი“ მოსართავი მარცვლით.

ყელი

„ყ“, „ყე“ ბგერები მოდის იმ ორგანოდან, რომელსაც ადამიანმა მოსართავი „ლი“ მარცვლის მიმატებით **ყ ე ლ ი** უწოდა.

ყური

თუ ყურს წინ, თვალისკენ გადმოვიკეცავთ და უკნიდან ყურზე ნკიპურტს მივირტყამთ, გავიგებთ ბგერას „ყუ“. მოსართავი „რი“ მარცვლის მიმატებით მივიღეთ სიტყვა **ყ უ რ ი**. აქედან წარმოდგება სიტყვები: საყურე, მთის ყურე, ყურე ზღვაში...

სისხლი

დავუბრუნდეთ სიტყვა **ხარის** განმარტებას. როდესაც ხარს ყელი გამოვჭერთ, ყელის მილიდან დიდი სიჩქარით ძლიერად

გამონაჩქეფი სისხლი გამოედინება გარეთადა გამოსცემს ბგერებს „სისხ, სხ, სხ“. მეტნაკლებად ამ ბგერებს ვიგებთ ცხვრისა და ღორის დაკვლის დროსაც, მაგრამ სუსტი ხმით. ხარი კი დიდი ფილტვებისა და დიდი გულის გამო „ხა“-ს ძლიერ გამოსცემს და „სისხ“ ბგერებსაც. ადამიანმა მიუმატა მას მოსართავი „ლი“ მარცვალი და მივიღეთ სიტყვა **ს ი ს ხ ლ ი**, რომელიც ჩვენთვის და სხვა ცოცხალი არსებებისათვისაც სასიცოცხლო სითხედ გაუჩინია ღმერთს.

კბილი

ზედა და ქვედა ყბების ჩამოკვრით კბილები ერთმანეთს ეჯახებიან და გამოსცემენ ბგერას „კ“. სიტყვის დასრულებითვის „ლი“ მოსართავ მარცვალთან „ბ“ ბგერაც მიიჩნია საჭიროდ ადამიანმა და მიიღო სიტყვა **კ ბ ი ლ ი**.

კუჭი

ჩაყლაპული საჭმელი გროვდება კუჭში და იქ განიცდის დაშლისა და გარდაქმნის პროცესებს. ამ დროს გამოიყოფა ბგერები „კ“ და „ჭ“.

ბუნებრივია ამ ბგერების მიხედვით უნდა შეედგინა ადამიანს სიტყვა.

ადამიანმა გააკეთა არჩევანი და მოსართავი მარცვლის მიუმატებლად

შეადგინა სიტყვა **კუჭი**.

სუნი

სუნი, თითქმის, ყველაფერს აქვს, საჭმელსაც და სასმელსაც, სითხეებსაც და გაზებსაც, საგნებსა და ცხოველებს. ადამიანიცა და ცხოველიც ცხვირის საშუალებით გრძნობს სუნს. ცხვირით სუნთქვისას გამოისმის ბგერა „სუ“. „ნი“ მოსართავი მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **ს უ ნ ი**. აქედან სიტყვები: **სუნნელი, სურნელი, სუნამო**.

თითი

„თი-თი“. ეს ბგერები ისმის თითების ერთმანეთზე მირტყმის ან გასმის შედეგად ყურთან ახლოს. დღეს „თ“ ბგერა ისე მკაფიოდ აღარ ისმის, როგორც უნინ, როცა სიტყვა „თითი“ წარმოიშვა. ეს იმიტომ ხდება, რომ დღეს ადამიანები განვითარებული გონების წყალობით ირჩენენ თავს. უნინ კი ადამიანი ყველაფერს ხელით აკეთებდა, ხელები დაკოჟრილი ჰქონდა, გამაგრებული და ცხადია, მაგარი თითების ერთმანეთზე მირტყმის დროს უფრო მკაფიოდ გამოიკვემოდა ბგერა „თ“ ან „თი“. აქედან არის ეს სიტყვა წარმოშობილი – **თ ი თ ი**. აქვე სავარაუდოა ის აზრიც, რომ „ერთი“ „თითი“-ს მნიშვნელობიდან არის წამოსული: „თითო-ეული“, „სათითაო“ და რადგან ერთ ხელზე თითების ხუთი რაოდენობაა, ორივეზე კი **ათი**, ამიტომ სიტყვების წარმოშობა „ხუთი“, „ათი“ სიტყვა „თითი“-დან არის წამოსული.

თავი

აქამდე ჩვენი მსჯელობის წესის მიხედვით, ამ სიტყვის განმარტებისათვის უნდა გამოვიდეთ იმ აზრიდან, რომ თითის თავზე ჩარტყმის დროს უნდა გამოიკვეს ბგერა „თ“ და „თა“. თუ ფრჩხილით თავს მოვიქექავთ, გამოისმის ბგერები „ფ“ ან „ფხ“ ამიტომ ამ ქმედებას ადამიანმა თავის მო-ფხ-ანა უწოდა. თავი ზოგადი სახელია (ჩხუბის **თავი**, მდინარის **სათავე**, სუფრის **თავი**) და ადამიანის „**თავი**“-დან მომდინარეობს.

ხახა – ხორხი

ორი **ხ** იყო ხმარებაში წინათ „**ხ**“ და „**ჰ**“. ორივე ბგერა ყელის იმ ნაწილში გამოითქმება, რომელსაც **ხორხ** ს ვუწოდებთ.

წვერი

თუ პირის ბალანს ხელით მოვისრესთ, ამ დროს გვესმის ბგერა „**წ**“. მოსართავი „**რი**“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **წ ვ ე რ ი**.

ნარბი

იგივე მოქმედებით თვალს ზემოთ ბენვი გამოსცემს „წ“-ს ან „წრ“ – უჩუმარ ბგერას. აქედან არის წარმომდგარი სიტყვა „ნარბი“.

ტყირპი – ელენტა

ამ ორ სიტყვას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს და ვიცით რაც არის. **ტყირპი** ადამიანს სახეზე აქვს მიკრული და **ელენტა** კი მუცელში. გარეგნულად ისინი ერთმანეთს ჰგვანან. პატარა ხორცის რბილი ნაჭერი რომ ავილოთ და ისევ ხორცს მოვარტყათ, გავიგებთ ბგერას „ტყ“ და „პ“ აქედან წარმოდგა სიტყვა **ტყირპი**. შდრ.: ტყაპანი, გატყიპა და ა. შ.

თვალი – თუალი

ადამიანის ამ ნაწილს არავითარი ხმა არაა აქვს და რამოსაზრებით დაარქვა ადამიანმა თვალი ვერ ამიხსნია, ჩემი ვარაუდი არის ასეთი: გავშალოთ ეს სიტყვა **თუ-ა-ლი**. განვიხილოთ თითოეული მარცვალი ცალ-ცალკე. საბას ლექსიკონში: „თუ – საეჭვო სიტყვა, სათუო“. ნამდვილად სათუოა, ის საგანი იქნება თუ სულდგმული, რომელსაც ვერ ვხედავთ, მაგრამ როდესაც თვალს გავახელოთ, მაშინ დავინახავთ საგანს და სათუო აღარაფერი რჩება. ამ შემთხვევაში „ა“ ხომ არ არის რაღაცა უარყოფის მაჩვენებელი, „ლი“ – კი როგორც მოსართავი მარცვალი. აქედან თუალი – **თვალი**. „თვალ-თვალი“.

სანნახელი, ყურძენი, მაჭარი, ღვინო, ჭაჭა, ძმარი

სანნახელი ყველამ ვიცით რაც არის. ეს ის ჭურჭელია, სადაც ყურძენი იყრება, იჭყლიტება, იწნიხება და გამოდენილი საღვინე ტკბილი ჭაჭასთან ერთად ქვევრში იყრება დასადუღებლად. ასე ხდებოდა უწინდელ დროში. ამ მოქმედებებიდან **წნეხვა** არის ბოლო მოქმედება. როდესაც ადამიანის ფეხებით დაჭყლეტილი ჭაჭა იწნიხება, ამ დროს გამოისმის ბგერები „წ“ „წწ“, ამ ბგერების მიხედვით არის მიღებული სიტყვები „წ ნ ე ხ ი“, „ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი“.

სანნახელში ჩაყრილი მტევნის მარცვალი გახეთქვის დროს გამოსცემს ბგერებს „ჭ“ „ყ“, „ლ“. ეს ბგერები იმდენად თანმიმდევრულია, რომ თავისით მოდის სიტყვა – „ჭყლეტა“. აქედან **დაჭყლეტა**.

სავარაუდო განსამარტავია სიტყვა – ყურძენი. ვფიქრობ, რომ მისი აგებულება ქართული წარმოშობისაა. **ყურ-ძე-ნი**. თუ როგორ წარმოიშვა ეს სიტყვა, ამ ეტაპზე მის განმარტებისათვის თავის შეკავებას ვამჯობინებ.

მაჭარი

ყურძენის ტკბილის დუღილის დროს ქვევრის დარევაა საჭირო. დარევის დროს გამოიცემა ბგერა „ჩ“ და არა „ჭ“. მაჭარი ჩუხჩუხებს და არ ჭუხჭუხებს. იმდროინდელი ქართველი უფრო ზნეობრივი იყო და „ჩ“-ს არჩია „ჭ“. წინ „მა“ და ბოლო „რი“ მოსართავი მარცვლებით მოუძებნა ამ სიტხეს ქართველმა სახელი **მაჭარი**.

ღვინო

„ცნობილია, რომ ამა თუ იმ კულტურულ მონაპოვარს ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში, ხალხიდან ხალხში გადასვლის დროს მისი თავდაპირველი სახელწოდებაც თან მიჰყვება. საუკუნეთა მანძილზე წარსული ვითარების კვალი ნაიშლება, დარჩება მხოლოდ სახელი, როგორც წარსულის უტყუარი მონმე. იქნებ ღვინის

წარმოშობის საიდუმლოსაც ენობრივმა მონაცემებმა მოჰფინოს შუქი? ეს კითხვა კარგა ხანია ენათმეცნიერთა ყურადღების ცენტრში დგას. მით უმეტეს, რომ მათ წინაშე მართლაც საგულისხმო ფაქტია: თვით განსხვავებული სისტემის ენებშიც კი ღვინო მსგავსი სახელებით აღინიშნება. არასპეციალისტებისთვისაც ადვილად დასაწახია ამ სიტყვათა მსგავსება. ინდოევროპულ ენებში: ოინოს, ლათინური ვინუმ, ხეთური ვიანა, სომხური გინი, რუსული ვინო, გერმანული ვაინ და ა. ს. სემიტურ ენებში: არაბული ვაინუნ, ებრაული იაინ, ასურული – ბაბილონური ინუ და სხვა. ამ სახელწოდებათა საერთო წარმოშობა უდავო იყო. გასარკვევი რჩებოდა მხოლოდ ის, თუ საიდან მომდინარეობდნენ ისინი. გამოჩენილი ფრანგი მეცნიერ ა. მეიე ინდოევროპისტთა საერთო აზრსაც გამოსატყვევდა, როცა „ღვინის“ სახელწოდება ინდოევროპულ ენებში ნასესხებად მიიჩნია. სემიტური ენების მიმართ ანალოგიურ დასკვნამდე მივიდნენ სემიტოლოგებიც, იქნებ ღვინის აღმნიშვნელი სიტყვა ქართული წარმოშობისაა? გამოთქვა მრავალმა მკვლევარმა ერთი და იგივე აზრი“.

ა. ლეკიაშვილის წიგნიდან – „შენ ხარ ვენახი“.

თავდაპირველად ღვინო და ჭაჭა ერთ ჭურჭელში დუღებოდა, ასე ხდება დღესაც გლეხურ პირობებში. ორი სახის დუღილი ახასიათებს ღვინოს – ინტენსიური დუღილი და წყნარი დუღილი. დუღილის დაწყებიდან სულ 12 დღეში ამთავრებს ღვინო დუღილს. საოცარია, რომ რიც-ხვთა სიმბოლიკაში სრულიად გამორჩეულია კოსმიური ჰარმონიის განმასახიერებელი რიცხვი 12, რომელიც არა მხოლოდ ღვინის დუღილთან არის დაკავშირებული და მის შესახებ სხვაგან ვისაუბრებთ.

ინტენსიურ დუღილს ხუთი დღე უნდება ღვინო, დარევის დროს ისმის (ჩუხჩუხი, ქაფქაფი...). სამ-ოთხჯერ მაინც უნდა დაერიოს დღეში ღვინოს, რომ ჭაჭამ მთლიანად მიიღოს მონაწილეობა ღვინის დავარგებაში.

შემდეგ იწყება წყნარი დუღილი, დარევის დროს შედარებით ნაკლებად ისმის ჩუხჩუხი და ქაფიც ნელ-ნელა ქრება.

დადგა სანატრელი დრო. ღვინომ დაამთავრა დუღილი, მასში არსებული შაქარი დაიშალა და გადაიქცა ღვინოდ და მომწამვლელ ნახშირორჟანგა გაზად, გაზი წავიდა ჰაერში და ღვინის დაღვევა უკვე შეიძლება. ქართველი მიდის ქვევრთან, ჯერ ჭაჭა

არ წასულა დაბლა და ღვინო არა ჩანს, თიხის ჩარეკით დაანვა ჭაჭას, ჭაჭა ჩავიდა დაბლა და სითხეში გაიჟღ-ენთა. ამ დროს გამოსიმის გაბმული ბგერები „ლლ“ და ჩარეკა გაივსო. ეს მოხდა ათჯერ, ასჯერ, მრავალჯერ და ბუნებრივია, რომ გამოცემული „ლლ“ ბგერების მიხედვით უნდა დაერქმია ქართველს ამ სითხისთვის შესაფერისი სიტყვა-სახელი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „ვ“ ბგერა არ ისმის ბევრ ქართულ სიტყვაში და აქაც შუა დანამატია „ი“ ხმოვნითურთ. ბოლოსართი „ნო“ ქართველი კაცის არჩევანი იყო. ასე შეიქმნა შემდეგში ჩვენი ქვეყნიდან მთელს მსოფლიოში გავრცელებული და თითქმის სიტყვა უცვლელად შესული ღვთაება-სითხის სახელი **ღ ვ ი ნ ო**. რაც შეეხება იმას, რომ სხვა ენებში ღვინის სახელი გვაქვს „ლ“-ს გარეშე, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ ისეთი ენების ანბანში არ არსებობდა „ღ“ ბგერა, როგორც არის რუსული, ინგლისური, გერმანული, ან სწორედ ასეთი ქვეყნებიდან გავრცელდა ეს სახელი იმ ქვეყნებში, რომელთაც აქვთ „ლ“ ასო-ბგერა, მაგრამ მაინც „ღ“-ს გარეშე უწოდებენ **ღ ვ ი ნ ო ს**.

ღვინო - ღონე

სიტყვაში – „ღვინო“ „ვ“ ბგერა შუა დანართია. „ღონე“ – „ღვინო“-დან მოდის არა მხოლოდ ეტიმოლოგიურად, არამედ აზრობრივადაც, შინაარსით.

ღვინის დაღვევით კაცს ღონე ემატება და ხალისიანი ხდება ფიზიკური შრომის დროსაც და სუფრაზეც. ქეიფში, სადღეგრძელოს წარმოთქმის წინ თამადა იტყოდა: „თითოც დავლიოთ, ეს არის ჩვენი ძველი წესი და ადათი, რომ მოგვემატოს მკლავში **ღონე** და სუფრის ლაზათი“. **ღონე ღვინის** ფუნქციაა. თუ ასეა, მაშინ მას უნდა ჰქონდეს მაქსიმუმისა და მინიმუმის ნერტილები. მაქსიმალური **ღონე** რამდენი **ღვინის** მიღებით შეიძლება მიიღოს კაცმა, ეს თვითონ ინდივიდმა უნდა შეამჩნიოს საკუთარ თავს. რუსუდან ნამგალაძე თავის ნაშრომში – „**ყურძნისა და ღვინის სასარგებლო თვისებები**“ – აღნიშნავს, რომ ღვინო ადამიანის ორგანიზმში ისეთსავე როლს ასრულებს, როგორც შიგანვის ძრავაში – ზეთი. ცნობილია, რომ ზეთი ძრავას იცავს გადახურებისაგან; ასევე, ფიზიკური მუშაობის დროს ღვინის

გარკვეული დოზით მიღებისას, ადამიანის ორგანიზმი დაცულია გადახურებისაგან. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ფიზიკური მუშაობის დროს, ორგანიზმი იღლება, გამოიყოფა ოფლი, მასთან ერთად საოფლე ჯირკვლებიდან გამოედინება ცხიმები და ადამიანი კარგავს დიდ ენერგიას. ღვინის მიღება – კი ენინალ-მდეგება ამ ყველაფერს.

ამერიკელი მეცნიერების აზრით, ადამიანის ერთ კილოგრამ წონაზე 6 გრამი, ხოლო ქართველი მეცნიერების აზრით, 10 გრამი ღვინის მიღებაა საჭირო დღეში ფიზიკური მუშაობის დროს. ანუ 80-100 კგ-იანმა კაცმა დღეში უნდა მიიღოს 600-1000 გრ სუფთა ღვინო.

ღვინო ადამიანს ღონეს აძლევს კიდეც და ართმევს კიდეც. მოჭარბებული და ზედმეტად მიღებული ღვინო ღონეს უკარგავს ადამიანს. როცა ღვინის და ზოგადად ალკოჰოლის მოჭარბება სისტემატიურ ხასიათს იღებს, ადამიანის ორგანიზმი იღლება, ბერდება და ნაადრევ სიკვდილს იწვევს.

ლადო ასათიანს მოხდენილად აქვს აღწერილი ლექსში „**გულ-ბაათ ქაჭკაჭაძე**“, თუ როგორ დაეკარგა ძალა თამადას ზედმეტი ღვინის მიღებით, როცა ჭინჭილა ნახევარიც ველარ დაცალა.

„...შეტორტმანებულს ნახევარიც ვერ დაეცალა,
წყენით წარმოსთქვა, ეს ოხერი რომ არ გათავდა,
სანთელს გახედა, მოეჩვენა ერთი ათადა,
თვალთ დაუბნელდა დაეკარგა მუხლებში ძალა,
ნაიბორძიკა, ნაიფორხილ-ნაიბანცალა
და ნაცოხნარით გაბერილი, როგორც კამეჩი
აზრდაკარგული გაიშვართა შუა ღამეში.“

ქართველი კაცისთვის, ჭირსა და ღვინში, დამახასიათებელია გაშლილი სუფრა. წარმოუდგენელია ქართული ოჯახი კამკამა ღვინის გარეშე. ღვინო ღონეა ქართული ოჯახისა, შეძლება და სიმდიდრეა მისი.

ახლა ვნახოთ ბრძოლის ველზე ქართველი კაცის **ღონიერი** მარჯვენა და გამბედავი გული. რომელი ბრძოლა გაგვახსენდება, როდესაც ქართველთა ჯარი რიცხოვნობიდან ბევრად ნაკლები არ იყო მტრისაზე. უთანასწორო ბრძოლა ხშირად ქართველთა

ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვებით მთავრდებოდა.

1110 წელი. თურქთა 100000-იანი ლაშქარი შემოესია საქართველოს. დავითმა ჯარი მოიკითხა. 1500 კაცის შემადგენლობით, გაუთენებელზე თავს დაესხა მტერს აღმაშენებელი. გაოგნებულმა მტერმა ჩვენი ჯარის სიცოტავის გათვლა ვერც მოასწრო, დამარცხდა და უკუიქცა.

მარაბდის ომის შემდეგ თბილისის ციხიონში დარჩენილი ყიზილბაშები გაგულისდნენ, გამოვიდნენ ციხიონიდან და გიორგი სააკაძის საუფლო სოფლებს რბევა დაუწყეს. სამოცი კაცის ამალით, მიეჭრა სააკაძე და შვიდასი ყიზილბაშის თავი ისე დააგორა, რომ თავისიანებს ერთი განაკანრიც არ მიუღიათ.

ქართველი კაცის ძალსა და ღონეში ღვინის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ჩვენს მტრებს. როგორც თემურ ლენგის ისტორიკოსი იუწყება, შემოსეულმა მტერმა ქართლ-კახეთის ზვრებიც არ დაინდო, ბრძანება თვით მთავარსარდალს გაუცია. კარგად სცოდნია თემურ-ლენგს, რა ქვეყანასთანაც ჰქონდა საქმე, რომ ქართველების სიძლიერე და ბედნიერება შეუძლებელი იყო კამკამა ღვინის გარეშე.

„გამარჯვებით აღფრთოვანებული მეომრები ბალ-ვენახებს ინანილებდნენ, შემდეგ მთის ფერდობებს შეესივნენ და ძირიანად თხრიდნენ აქ ღვინის მიღების იმედით გაშენებულ ვაზებს“.

ორი საუკუნის შემდეგ კახეთს ირანის ძლევა მოსილი მპყრობელობის შაჰ-აბასის ურიცხვი ლაშქარი შემოესია. შაჰ-აბასის ბრძანებით ყიზილბაშებმა საგულდაგულოდ გაკაფეს ვაზი, ქართველი კაცისა და ზოგადად საქართველოს ძლიერების სიმბოლო.

გადმოცემის თანახმად, მრავალ ბრძოლებში გამარჯვებულ და სახელმოხვეჭილ სააკაძეს ნადიმი გაუმართა შაჰ-აბასმა. შაჰი ეკითხება სააკაძეს: რად არის გიორგი, რომ ერთი ქართველი ათი მეომრის სწორია ბრძოლის ველზე, – ეს იმიტომ ჩემო შაჰ-აბას, რომ შენ ჩაი გიჭირავს ხელში და მე ყანნი – პასუხობს სააკაძე.

ღვინო – ღონეა ქართველი კაცის სხეულში ბრძოლის ველზე!

ახლა ვნახოთ რა ღონის და სიძლიერის მატარებელია ღვინო მშვიდობიან საქართველოში. ნათქვამს რომ მთლად პოლიტიკური ელფერი არ მიეცეს, სათქმელი ნაწილობრივ მაინც უნდა ვთქვათ.

გავიხსენოთ გასული საუკუნის საქართველო ოთხმოციანი წლების მახლობლობაში. ყოველწლიურად თითქმის მილიონი ტონა ყურძენი შედის ღვინის ქარხნებში. ამის პარალელურად, ინტენსიურად იზრდება ვენახების გაშენება მთელ საქართველოში. ღვინის ბაზარი არა თუ მოსაძიებელია, არამედ ისე ძლიერ არის ღვინოზე მოთხოვნილება გაზრდილი, რომ ჩრდილოელი „დამპყრობელი“ თვითონ გვამარაგებს ტექნიკით, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით, სანვაგ-საცხებით, მავთულით, შპალერით, და ყველა იმ საჭირო ინვენტარით, რომელიც საჭიროა ვენახების გასაშენებლად. ქართველი კაცი დასაქმებულია და წელგამართულია, საქართველო – ძლიერი. ემოციური პატრიოტიზმით თავსმოხვეულმა იდეოლოგებმა ამ პერიოდს „უძრაობის წლები“ უწოდეს.

დადგა „მოძრაობის წლები“. – მივიღეთ „დამოუკიდებლობა“. სადღაა ღვინის ბაზარი? ვილას რაღად უნდა ამდენი ღვინო? ღვინის ქარხნები „გაიყინა“. ვოლუნტარისტი პრეზიდენტი და მისი იძულებითი მხარდამჭერი იდეოლოგები ჩინეთში და ოკეანის გადაღმა ქვეყნებში ეძებენ ღვინის ბაზრებს. პრობლემა გახდა გლეხი კაცისთვის ვაისწვალებით მოყვანილი ყურძნის ქარხნაში ჩაბარება. ...და დადგა ქართველი კაცისთვის ყველაზე საშინელი მომენტი. საჭირო აღარ არის შაჰ-აბასი და მისი ურდო. ქართველმა კაცმა თვითონ, თავისი ხელით დაჰკრა გალესილი წალდი ვაზის ძირს; უნიკალური ღვინოების მომცემი ვაზის ნაცვლად – აზოტით გატენილი საზამთროს კულტურაა საქართველოში! და ეს კიდევ არაფერი, ჰოი საოცრებავ! შაჰ-აბასის სამშობლოდან – სპარსეთიდან და თურქეთიდან შემოდის საზამთრო ჩვენს ქვეყანაში.

დაღონდა გლეხი კაცი, დაუძლურდა ოჯახი, **ღონე** გამოეცალა საქართველოს. რა ვიპოვეთ, და რა დავკარგეთ ამ „დამოუკიდებლობით“. თვალითაც კარგად ჩანს და გონებითაც კარგად მოიაზრება. ასეთ საქმეზე იტყვიან: „პაპამ ქლიავი ჭამა და შვილისვილს კბილი მოსჭრაო“.

„მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის ჩემო თერგო ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი. – ხატოვნად წერდა ილია.

კარგი ვენახი და ნამუსიანი ღვინო იყო ჩემო ქვეყანავ შენი ღონისა და სიცოცხლის მომცემი.

...მტერს გინდაც ბევრი უშვირო
რა არის თოფი უვაზნოდ.
ან საქართველო უშვილოდ,
უსიყვარულოდ, უვაზოდ.

ალაზა ხაიაური.

ნულა სვამ მარტო წყალს, ცოტა ღვინოც იხმარე შენი კუჭი-
სა და შენი ხშირი უძღურების გამო,

ტიმოთე, 6,23

და ღვინომ გაამხიარულოს გული კაცისა, გააბრწყინოს სახე
საცხებელზე მეტად...

ფსალმუნი, 103,15

ნაცემ-ნაგვემ შუშანიკს ყბები და კბილები ჩანგრეული აქვს
ქმრისაგან. საჭმელს ვერ ჭამს, რომ **ლონე** მოუვიდეს. იაკობ ხუ-
ცეს ღვინო და დამბალი პური მიაქვს მასთან.

„ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი, რომელი მი-
ედღვნა სამუელ ეპისკოპოსსა და იოანეს რამეთუ ფარულად
იღუნოდეს და ნუგეშის-სცემდეს. მაშინ მარქუა მე წმიდამან შუ-
შანიკ: „ხუცეს, ვერ ძალ-მიც გემოხს – ხილვად, რამეთუ ყბანი
და ზოგნი კბილნი შთამუსრვლინ არიან“. მაშინ მივიღე მცირედ
ღვინო და პური დავალბე და მცირედ გემოხ იხილა“.

შუშანიკის წამებიდან.

წყალბადი – XVII საუკუნის ქიმიკოსების შრომებში მოხსენი-
ებულია რომ ლითონზე მჟავას მოქმედებით გამოიყოფა სანვავი
აირი. 1766 წელს ჰ. კევენდიშმა მოაგროვა და გამოიკვლია ასე
გამოყოფილი აირი და მას „სანვავი ჰაერი“ უწოდა, ხოლო 1787
წელს ა. ლავუაზიემ განსაზღვრა, რომ „სანვავი ჰაერი“ ახალი
ქიმიური ელემენტია და მისცა თანამედროვე სახელწოდება –
hydrogene (ბერძ. hydῑn – წყალი და gonnān – ფბადებ), რაც ნიშ-

ნავს წყლის დამზადებელს. მართლაც წყალბადის ჟანგბდთან მიერთებით წყალი დაიზადება – H_2O .

ჟანგბადი – დედამიწაზე ყველაზე უფრო გავრცელებული ელემენტი. ის წარმოქმნის ქიმიური ნაერთებს თითქმის ყველა ელემენტთან, როგორც ერთ-ერთი აქტიური არაალითონი და წარმოქმნის ჟანგეულებს (ზადებს ჟანგს).

გარკვეული დოზით ჟანგბადი ღვინოს ღირსებას სძენს, ხოლო მომეტებული რაოდენობით ღვინო იჟანგება, წარმოიქმნება მქროლავი აირი და ღვინო დამზადება.

ჟანგბადი – ჟანგის დამზადებელი.

ნახშირბადი – ნახშირის დამზადებელი.

ასე წარმოიშვა სიტყვები.

წყალბადი – წყლის გამჩენი.

ჟანბადი – ჟანგის გამჩენი.

ნახშირბადი – ნახშირის გამჩენი.

სიტყვა – „ღვინო“ – საქართველოში წარმოიშვა და მსოფლიოს მრავალ ენებში თითქმის ფუძეუცვლელად შევიდა. რადგან **ღვინო ღონის** დამზადებელია ადამიანში, და დიდ მნიშვნელობას იძენს როგორც ოჯახში, ასევე ქვეყნის მასშტაბით, სრულიად მიზანშეწონილად მიმაჩნია რომ მას მიეცეს ახალი სახელწოდება, რომელიც სამარადჟამოდ დამკვიდრდება ქართული სიტყვის საგანძურში ისე, რომ რომელიმე ენამ არ მიისაკუთროს სიტყვა „ღვინის“ ეტიმოლოგიურობა. და ეს სიტყვა იქნება „ღონბადი“. **ღვინო – ღონის დამზადებელი.** ეს სიტყვა იმითაც არის აზრიანი, რომ ადამიანმა ღვინო უნდა მიიღოს იმდენი, რამდენიც მას ღონის შესაძენად სჭირდება.

ჭაჭა

ქვევრიდან ან კასრიდან მშრალი ჭაჭის ამოღების დროს „ჭა“ ბგერები არ ისმის, მაგრამ როგორც კი ჭურჭლის ძირში წვენთან ერთად ჭაჭა დარჩება, ფეხების შიგ ჩადგმა-ამოღების დროს, გამოისმის მკაფიო ბგერები: „ჭა, ჭა, ჭა“, აქედან მიიღება სიტყვა-სახელი **ჭ ა ჭ ა**.

ძმარი

საბას ლექსიკონში ვკითხულობთ: ძმარ-ღვინო მყვირტლე ე.ი. გაფუჭებული ღვინო.

არსებობს ერთი ანდაზა: „**ძილი სიკვდილის ძმა არი**“. მართლაც ადამიანი ძილში ვერც ხედავს, არც ესმის, ვერც ლაპარაკობს და ამ ნიშნებით მართლაც გავს ძილი სიკვდილს. ძმარი ღვინის პროდუქტია, მასში ალკოჰოლის არყოფნის და მქროლავი მჟავიანობის მომატების გამო. მხოლოდ ფერით და გამჭირვალობითღა ჰგავს ღვინოს (თეთრი ღვინო). ამ დროს ეს სითხე ძმასავით ჰგავს ღვინოს და იტყვიან ღვინის **ძმა არი** – ო, და აქედან – **ძ მ ა რ ი**.

შერეული სიტყვები ა-რი არსი არსება

ა-რი – აქ „რი“ მოსართავი მარცვალაია. „ა“ – მაჩვენებელი ხმოვანია, რაც ნიშნავს, რომ ნამდვილად რაღაც არი.

არსი – არი-ის – არსი, აქ ამ სიტყვამ უფრო ღრმა მნიშვნელობა შეიძინა. აქედან კი წარმოიშვა სიტყვა – არსება.

აფუება

პურის გამოსაცხოხად მოზეილი ცომი გაიკეთებს ბუმტებს, ხელმეორედ ჩაზელის დროს ამ ბუმტებიდან გამოდენილი ჰაერი გამოსცემს ბგერას „ფ“ ან „ფუ“. აქედან წარმოდგება სიტყვა **აფუება** და შემდეგ: აფუებული ცომი, უფუარი პური, საფუარი...

არაკი

„არაკი სომხურად იგავს ენოდების, ჩვენდაცა სახმარ არს და დიდად ტკილ“ – წერს საბა.

არაკი ცნობილია უძველესი დროიდან, მასში ალეგორიულად მოთხრობილია ამბები და ერთ ენაზე მეტყველებენ ადამიანები, ცხოველები და მცენარეებიც კი.

არაკების თხრობის უბადლო ნიმუშია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, მასში გადმოცემული ამბებით ავტორი მკითხველს სთავაზობს რჩევა-დარიგებას, სიბრძნეს რაიმე ყოფა-ცხოვრების ან ზნეობის საკითხებზე.

ავილთ არაკი – „ენით დაკოდილი“, სადაც მოთხრობილია ამბავი ადამიანისა და დათვის ურთიერთობაზე. „მელი და წერო“ – ამბავი ნადირ-ფრინველის ურთიერთობაზე, „აქლემი და ვირი“ – მათი საუბარი ერთ ენაზე და დავსვათ კითხვა: რეალურია თუ არა მასში მომხდარი ამბების შესაძლებლობა? პასუხი ერთია – არა.

ავილთ არაკები: „თვალხილული და უსინათლო“, „დარბანდელი მთიბავნი“, „მხვნელი, ფეიქარი და მკერვალი“. მასში მოთხრობილი ამბების შესახებ დავსვათ იგივე კითხვა. პასუხი ერთია – კი. ამ ორი სიტყვის ჯამური შეერთებით მივიღეთ სიტყვა არა+კი= **არაკი**.

ასკილი

გავყოთ ეს სიტყვა: **ას+კილი**. ასი ვიცით, რომ რაოდენობის გამომხატველი სიტყვაა. „კილი – ხვარბლის ბუდე“ – განმარტავს საბა. მარტო ხორბლის არა, ქერსაც აქვს კილი; გოჭების საკვებად როცა შუშავენ, კილი სძვრება და გოჭს პირში აღარ ეჩხვლიტება.

გავხსნათ ასკილის ნაყოფი და დავინახავთ, რომ შიგ არსებული თესლები ნამდვილად კილსა ჰგავს, მაგრამ მართლა ასი კი არ არის, ცოტაა. როცა ვამბობთ ათასი საქმე მაქვსო, მართლა ათასი გვაქვს? **ას კილი**.

ბალახი

ეს სიტყვა წამოსულია ფუძიდან „ლახ“. ერთი ადამიანი მეორეს ამარცხებს, სჩაგრის იარაღით, რომელსაც **ლახ**-ვარი ჰქვია. ადამინმა ადამიანი გა-**ლახ**-ა, ე.ი. მოერია, სცემა, ფეხ ქვეშ გაიგდო. მთები გადა**ვლახე**, ე.ი. მთები ფეხ-ქვეშ მოვიქციე. **ბალახი** არის მცენარე, რომელიც ადამიანის სიარულის დროს ფეხ-ქვეშ ექცევა.

ბაყაყი

თავის სახელს თითონ იძახის: „**ბა-ყა-ყა**“ „**ყი-ყი-ყი**“, **ბ ა ყ ა ყ ი**.

ბუქი

ბავშვობაში ხევში ვბანაობდით, ცივი წყლიდან რომ ამოვიდოდით, მშრალ ლამში ვწვებოდით, თბილი იყო და გვსიამოვნებდა. ლამს ხელს ვურტყამდით და ისმოდა ბგერები „**ბუ, ბუ**“. დგებოდა დიდი კორიანტელი, სიმჩატის გამო მტვერი მაღლა ადიოდა, პირში გვეყრებოდა და „**ქი, ქი**“ ბგერებით პირიდან გარეთ ვყრიდით – ვიფურთხებოდით. ამ ბგერებიდან არის წარმომდგარი სიტყვა **ბ უ ქ ი**.

„**ბუქი**“, „**სუბუქი**“, „**ქარბუქი**“ – ქარიანი თოვლი, სიმჩატის გამო მტვერით რომ აირევა ქარში.

ალიზი, აბური, კრამიტი

არის ერთგვარი თიხა-მიწა, რომელსაც საგულდაგულოდ ზელდნენ და ამზადებდნენ სამშენელო მასალებს, ალიზს, აგურსა და კრამიტს. თიხის ზელვის დროს ისმის ბგერები „ზ“ და „ლ“. აქედან – **ზ ე ლ ვ ა**.

სათანადო ფორმის მიცემის შემდეგ გამოუნვაკი და გამშრალი აგური – **ალიზია**, ხოლო გამომწვარი ალიზი – **აგური**. აგურებს თუ ერთმანეთს მივარტყამთ ან ჩაქუჩით გავაპობთ შუაზე (მშენებლობის დროს ხშირად ნახევარი აგური გვჭირდება), წკრიალის ხმა არ ისმის მისი მსხვილი ფორმის გამო, უფრო მოგუდული, ყრუ ხმა აქვს და **„გუ“** ან **„ქუ“** ბგერები ფიქსირდება. აქედან – **„აგური“**, **„ქურა“**.

კრამიტი ერთმანეთზე მირტყემით, ან ქვის მირტყემით კრაუნობს და **„კრ“** ბგერას გამოსცემს, რაც უფრო წკრიალაა კრამიტი, მით უფრო კარგი გამომწვარია და ხარისხიანია. **„ტი“** ბგერა კრამიტების მტვრევის შედეგად წარმოქმნილი ბგერაა. **კ რ ა მ ი ტ ი**.

არჩივა-ბარჩივა-არჩივნები

ამ სიტყვების ასახსნელად უნდა წარმოვიდგინოთ სოფლის ყოფა-ცხოვრების ერთი რეალური პროცესი.

სოფელში ზამთარში მოსახლეობას ცხვარი ჰყავს ბარში. ზაფხულში არეკავენ იალაღებზე და რამდენიმე მეცხვარე 6-7-8 ერთმანეთში გაურევენ ცხვარს. ამ დროს ისმის მეცხვარეებისგან ძახილი **„რრიიე, რრიე“** და იტყვიან — ცხვარი გაურიეთო. მთაში მეტი ხელია საჭირო, ცალკე ჰყავთ მშრალი ცხვარი, ცალკე ბატკანი, ცალკე სანველი ცხვარი. შემოდგომაზე მწყემსები ყველებს რომ გაიყოფენ, ყველა თავის ცხვარს დაარჩივს და ისე ჩამორეკავს ბარში ან ჩამორეკვის შემდეგ დაარჩივენ. ამ დროს ხდება შეძახილები **„ჩიე, ჩიე“** და იტყვიან ცხვარი დავარჩიეთო. აქედან არის შექმნილი **„და რ ჩ ე ვ ა“**, **„გ ა რ ჩ ე ვ ა“**, **„ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი“**.

ბოთლი

ახალი სიტყვაა, საცობის ახდის დროს ვიგებთ ბგერას **„ბუთ“** ან **„ბოთ“**. ეს ბგერები უფრა მკაფიოდ ისმის მაშინ, როცა მასში

გაზიანი სითხეა დაგროვილი. რუსულად „ბუთილკა“, ქართულად „ბოთლი“. ასევეა გუგუგლის შემთხვევაშიც: რუსულად „კუკუ-შკა“, ქართულად „გუგუ-ლი“.

ბუზი

ბუზი ბზუის და გამოსცემს ბგერას „ბზზზზ“.

ბლავილი

ცხვარი, ბატკანი, ძროხაც და ხბოც პირდაპირი მნიშვნელობით არა ბლავიან, მაგრამ თუ დავაკვირდებით ბებერ ცხვარს, ის ნამდვილად ბლავის და გამოსცემს ბგერებს „ბლეე“, „ბლლლ“. აქედან წარმოდგა სიტყვა – „ბლავილი“.

ბეჭედი

ბეჭედი – თითის სამკაული – საბა.

განვიხილოთ ეს სიტყვა ორ ნაწილად. **ბე+ჭედი**. ეს სამკაული რომ ნაჭედია და ამ საქმეს ოქრომჭედელი აკეთებს ნათელია, ამას სიტყვის, მეორე ნაწილაც გვიჩვენებს – **ჭედი**. მაგრამ რა არის **ბე**? ქართველებში დღესაც არის ეს წესი, როდესაც ქალს საპატარძლოდ ნიშნავენ საჩუქრად სხვა სამკაულებთან ერთად მოუტანენ ბეჭედს, წინასწარ მოტანილ ამ სამკაულებს ეძახიან „ბე“-ს. „ამოვიღე ბეო და ხელში ჩავიდეო“ – ხალხური.

ჩემი აზრით აქედან არის მიღებული სიტყვა **ბეჭედი**.

ბავშვი-ბალანა-შვილი

დაიბადება თუ არა, ჩვილი გამოსცემს ბგერებს: „ბაა, ბაა“. დღესაც ჩვილს **ბა**-ს ვუნოდებთ ან **ბაიას**. მასთან გართობისას ვეძახით „აღუუ, აღუუ“, რადგან თვითონ ბავშვი ცდილობს „ლ“ ბგერის გამოთქმას.

ბა+ლანა – ბალანა. „ნა“ მოსართავი მაცვალია.

ბა+შვი – მხოლოდ დედას აქვს უფლება თქვას ეს სიტყვა – „**ვშვი**“. მე – დედამ **ვშვი** ის, – **ბა. ბავში**. შობა – მშობიარობის ხმაურიანი მოქმედება (დანვრილებით ამის ახსნა არაეთიკურად

მიმარჩნია).

შ ვ ი – ლ ი, „ლი“ მოსართავი მარცვალთა.

ბარი

მინის ბარვის დროს „ბა“ ბგერა არ გამოიცემა. მინააკრულ ბარს რომ მინაზე სიბრტყით დავარტყამთ მინის გასაყრენებლად, მაშინ ისმის „ბ“ ბგერა. მოსართავი „რი“ მარცვლის მიმართებით მიიღება სიტყვა **ბ ა რ ი**.

ბორკილი – რკინის შესაკრავი ხელების ან ფეხებისათვის.

გრდემლი – სამჭედლო

სამჭედლოში დგას დიდი კუნძი, კუნძზე დამაგრებულია გრდემლი, რომელზედაც იჭედება ცხელი რკინა. ორი მჭედელი გამალებით ურტყამს ცხელ რკინას კვერებს (უროს) და ჩქარობენ, რკინა გამოჭედონ, სანამ გაცივდება, ცხელი რკინა ადვილია გამოსაჭედად.

ცხელი რკინა გრდემლზე ჭედვის დროს გამოსცემს ბგერებს „გ“, „რ“, „ჭ“, ამიტომ სიტყვები: **გრდემლი, ჯ ა ჭ ვ ი, მჭედელი, ჭედვა, სამჭედლო**, გრდემლთან ურთიერობისას სამჭედლოში არის შექმნილი.

გობი

გობი – ჭურჭელია, რომელსაც ფქვილის შესანახად ხმარობდა ადამიანი. ჩვეულებრივ. ცაცხვის ხისაგან აკეთებდნენ, როგორც მსუბუქი ხე. გადადგმა-გადმოდგმის დროს გამოიცემა ბგერები – „გ“ და „ბ“. აქედან არის ეს სიტყვა მიღებული – **გობი**.

დოლი, დუღუკი, დაირა, დაფდაფი

ეს სიტყვები ადვილია ასახსნელია, რადგან დაკვრის დროს გამოცემული ბგერების მიხედვით ზუსტად აქვს შერჩეული სახელები ამ საკრავებს.

პარსკვლავი – მარსკულავი

ეს სიტყვა წარმოიშვა ზღვაოსნობაში.

ბნელი ღამეა, უმთვარო. არსაიდან ხმელეთი არა სჩანს და არც არავითარი ორიენტირი არ არსებობს იმ დროს, რომ ნავი (გემი) წაიყვანონ სასურველი მიმართულებით. საჭიროა გზის, „კვალის“ მიმართულების გაგნება. ამ დროს დიდად ეხმარებათ მეზღვაურებს ციური სხეულების, პლანეტების, თანავარსკვლავედების, მათი კონფიგურაციების ზედმიწევნით ცოდნა. ერთ-ერთი ასეთი ციური სხეულია პლანეტა მარსი, რომელსაც რომაელებმა წითელი, სისხლისფერის გამო, ომის ღმერთი უწოდეს. მისი ქართული შესატყვისია – მარიხი, მარსი – მარიხი. თავისი სინითლის გამო მართლაც ღამაში პლანეტა მარსი და მას ცაზე ადვილად ვიპოვით და განვასხვავებთ სხვა ციური სხეულებისაგან. ამ თვისებების გამო შესაძლოა ქართველმა მეზღვაურებმა სწორედ **მარსი** აირჩიეს გზის მკვლევად – ორიენტირად. **მარსი – მკვალავ – მარსკვლავი**. „უ“ როგორც ბევრ სიტყვაში გადაიქცა „ვ“-დ და „მ“ გადაიქცა „ვ“-ად.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ჯერ კიდევ შემორჩენილია სიტყვა – **მარსკვლავი**.

თუში პოეტის, ეთერ თათარაიძის ლექსიდან.

...გზაკვალ არეულ დაბორგევედ ნაქარ.

ხევ-ჭალას მთელ დღეს უბრმავებდ თვალებს.

ბინდ ძლიერობდა და შველის ნუკრსავით

მარსკვლავ უკან სდევდ სავსია მთვარეს.

ქართული ფოლკლორიდან:

„გუდანთას მოწყდა მარსკვლავი,
ჯვარბოსელს დაჯდეს წყალზედა“.

„ზეცას შენ შუქური მარსკვლავო,
მნათობო ხმელეთისაო“.

„ცა წმიდნავ მარსკვლავიანო
მზევ მოფენილო დილითა“.

კეტი-დაკეტვა

მაჯის სიმსხო ხის ხმელ ნაჭრებს თუ ერთმანეთს მივარტყამთ, წარმოიქმნება ბგერა „კ“. მოსართავი „ტი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა – **კეტი**.

კარის დაკეტვა ნიშნავდა წინასწარ გამზადებულ გასაყრელში, კარის უძრავ ნაწილებში კეტის გაყრას. და-**კეტი**-ვა. აქედან არის შემდგარი სიტყვები – **კლიტე, საკეტი**.

დაულა

კირი გამოიწვევა კირქვისაგან. იგი არის სამშენებლო მასალა. მაგრამ სამშენებლოდ რომ ვარგისი იყოს, ის უნდა დაიშალოს. ეს ხდება შემდეგნაირად.

თუ კირს დავასხამთ ცოტაოდენ წყალს, დავასველებთ, ქვანელ-ნელა გამოსცემს მკაფიო ბგერებს „შშშშ“ – შიშინებს. ის ნელ-ნელა დაიშლება. ამ პროცესს **დაულა** ჰქვია „შ“ ბგერების გამოცემის გამო.

დასხდნენ, ცხადი

დასხდნენ – და-სახედ-ნენ, სახეებად გაჩნდნენ, ნამვილად მოგვევლინნენ.

სავარაუდოა, რომ სიტყვა „ცხადი“ – სახე-დან არის შედგენილი. სახე-დი, ცხა-დი. „ს“ და „ც“ ბგერები პირში ენის წვერით თითქმის ერთნაირად, მცირეოდენი განსხვავებით, წარმოსათქმელი ბგერებია. **ცხადი** – ნამდვილად გამოჩენილი სახე, არა მხოლოდ ადამიანისა, არამედ სახე „ყოვლისა ტანისა“.

„დალამდა, წვრილნი ვარსკვლავნი აყვავდნენ დასხდნენ ცაზედა“.

დღისითაც არსებობენ ვარსკვლავები, მაგრამ თუ არ დალამდა, ვარსკვლავები სახეებად, ცხადი სახით არ გამოჩნდებიან ცაზე.

ზარი

თუ ახლოდან გვესმის მისი ხმა, მაშინ გამოისმის ბგერა „კ“. რეკვა, ირეკება. ზარის ხმა შორს გადის, აქ უკვე ბგერა ხმას იც-

ვლის და გვესმის გაბმული „ზააა“. მოსართავი „რი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **ზ ა რ ი**.

სოფელში ხშირად ზარის რეკვა ავის მომასწავებელი იყო. აქედან არის წარმოშობილი სიტყვები – **შემზარავი, თავზარდაცემული**.

ღუმელი

ეს სიტყვა მოდის ფუძიდან **ღუმ**.

ღუდუნი – უკაფიო უბნობა – (საბა) ე. ი. უსიტყვო ხმაურია პირიდან. რაც შეეხება „მ“ ბგერას, ეს მოდის სიტყვიდან პირი მო**კუმეო**, „მ“ გააკეთეო. ეს კი მაშინ ხდება, როცა ბაგეებს ერთმანეთთან მჭიდროდ მივიტანთ „მ“ -ს წარმოსათქმელად. რალა თქმა უნდა მოკუმული პირიდან ვერაფერი სიტყვა ველარ წამოვა და ყველაფერი საიდუმლოდ დარჩება.

ერი

ამ სიტყვაში „რი“ მოსართავი მარცვლის გამოკლებით ვლუბულობთ „ე“ ბგერას. რას ნიშნავს (ნიშნავდა) „ე“ ბგერა?

რაც არ უნდა მიმართვის უხეში, უზრდელო და მიუღებელი ფორმა იყოს, რეალურია, რომ „ე“ „ეჲ“ ბგერა დღესაც არის ხმარებაში.

აქ „ჲ“ ბგერა არის დაუმთავრებელი – „ი“. ყველა ადამიანს შეგვიძლია მივმართოთ „ე“, „ეჲ“. ამიტომ სულხან-საბა ასე განაზოგადებს ამ სიტყვას; „ერი – მსოფლიო კაცი“.

ერი – ისტორიულად განვითარებული ადამიანთა მყარი ერთობა – ასეთი განმარტება ადამიანთა აზროვნების განვითარების შედეგად არის მიღებული.

ვალი

„ვა“, „ვაი“, უსიამოვნო, არასასურველი მდგომარეობის შექმნისას, შეგრძნებისას უნებური წამოძახილი. „ლი“ მოსართავი მარცვალი.

ვენახი

ამ სიტყვაში საძიებელია სამი ბგერა „ვ“, „ნ“ და „ხ“.

„ვ“ და „ნ“ ბგერები „ღვინოში“ შედის, „ხ“ – ხე – ში.

მივიღეთ ღვინოხე. „ღ“ ბგერა დაიკარგა და დაგვრჩა ვინო-ხე. აქედან – ვ ე ნ ა ხ ი, ღვინის მომცემი ხეების ადგილი.

ზღვა

საძიებელია „ზ“ და „ღ“ ბგერები. „ზ“ ბგერა სიტყვა „ზვირ-თი“-დან მოდის – აზვირთდა. „ღ“ ბგერა მოდის სიტყვებიდან ტალღა, ღელვა.

მშვიდ, წყნარ პირობებში ზღვა არ ხმაურობს, მაგრამ ძლიერი ქარისა და წვიმის ზუზუნის დროს წარმოიქმნება ზვირთი და მისი ნაპირებთან გადმოსვლისას და უკან დაბრუნებისას წამოიქმნება „ღ“ ბგერა. ღვარი გახდა. როგორც ბევრ სხვა სიტყვებში, აქაც „ვ“ ბგერა უხმო დანამატია.

საზღვარი – სა-ზღვა-რი. ზღვასთან არის დაკავშირებული ეს სიტყვა. ადგილი, რომლის იქითაც გასვლა შეუძლებელია, რადგან ზღვა არი. „სა“ და „რი“ მოსართავი მარცვლებია.

თოვლი

ახალ მოსულ თოვლს თუ ოდნავ დავანვებით „თ“ ბგერა ისმის, თუ ძალიან, მაშინ „ტ“ ან „ტკ“ ბგერები. „თ“ ბგერადან „ლი“ მარცვლის მიმატებით მივიღეთ თოვლი. აქაც „ვ“ ბგერა შუა დანამატია. „ტკ“ – ბგერადან ვიღებთ სიტყვა „ტკეპნა“ თოვლი დაი-ტკ-ეპნა.

თეფუი

ხელში მოძრაობისას თიხის თეფშიდან „თ“ ბგერა ისმის ფა-იფურისგან „ფ“ ბგერა. აქედან თ ე ფ – შ ი.

თხილი

ამ ხილის ჭამის დროს პირიდან გამოისმის „თ“ და „ხ“ ბგერები – ახრამუნებს. „ლი“ მოსართავი მარცვლით მიიღება თხილი.

თუთა – თუნთხლუპი

მნიფე ნაყოფი ხიდან რომ ჩამოვარდება, უბალახო მინაზე დაცემის დროს ისმის ბგერა „თ“, ეს ხილი რაც უფრო მნიფეა – **თუნთხლუპი**, მით მეტად გაითხლანება მინაზე. ამ დროს მინა უბალახო იმიტომ არის, რომ ჩვეულებრივ თუთას სახლის ეზოში რგავენ და მის ქვეშ ხშირი მოძრაობის დროს ბალახი აღარ ამოდის. შევაქანოთ ეს მნიფე ხილი და რამდენ „თ“-ს გავიგებთ მინაზე დაცემის დროს. აქედან არის წარმომდგარი **თ უ თ ა**.

ისარი

დაჭიმული ლარის მეშვეობით ისარი სწრაფად მოძრაობს. მშვილდზე გასმისას გამოსცემს „ს“ ბგერას. „რი“ მოსართავი მარცვალაია. ბოლოს ეს სიტყვა ასე ჩამოყალიბდა – **ისარი**. აქედან არის წამოსული სიტყვები: **სროლა, ისროლა, გასროლა**, თუ თოფს გავისვრით, მჭახე ხმა გამოიცემა, მაგრამ მაინც თოფის გასროლას ვეძახით, რადგან სიტყვამ „**სროლა**“-მ ზოგადი მნიშვნელობა მიიღო.

„კ“ გპერასთან დაკავშირებული სიტყვები

„კეტი“, „კავი“, „კაკვი“, „კომგალი“.

კავი არის ჯოხის ან რკინის ღერო, რომელსაც ერთი ბოლო მოხრილი, მოკავული აქვს. კავით შეიძლება მოინოდო ბლის კუნწულა; მწყემსს უჭირავს კავი, რომლითაც შეიძლება ფეხზე გამოდებით ცხვარი დააკავოს; ვაზის დაკავება – ვაზის რქის დაბმა მავთულზე; ამ სიტყვის მნიშვნელობიდან წარმოდგება სიტყვა „**კავშირი**“.

კოვზი

ამ სიტყვაში „კ“ ბგერა მიიღება კოვზის ქვაბში დარტყმისას, ხოლო „ზ“ ბგერა – ქვაბში არსებული მასის ამოზეღვით. „ვ“ შუა დანამატია.

კიტრი

თუ კიტრს გავტყუებთ, გავჭრით ან გავფუცქენით, ამ მოქმედების დროს არა მკაფიოდ, თითქოსდა შეუმჩნეველად გამოისმის ბგერები „კ“ და „ტ“. „რი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა – **კ ი ტ რ ი**.

კარი

„კა“ ბგერა მკაფიოდ ისმის კარზე დაკაკუნებით. თანაც ნესია, რომ კარზე უნდა დააკაკუნო. „რი“ მარცვლით მიიღება სიტყვა **კ ა რ ი**.

კვერი

კვერით გრდემლზე ვამუშავებთ ლითონს სასურველი ფორმის მისაღებად, ამ დროს ისმის ბგერა „კ“. ეს ბგერა უფრო მკაფიოდ ისმის, როცა ლითონი ცივია. ლითონთა ტექნოლოგიაში დამკვიდრებულია ტერმინი – „**ცივკვერვა**“. „რი“ მოსართავი მარცვალია და „ვ“ უხმო დანამატი. აქედან მიიღება სიტყვა **კ ვ ე რ ი**.

კვერი – კვერია, პატარა ცომის ნაჭერია გამოსაცხობად დაგუნდავებული, რომელიც ნამდვილ კვერსა ჰგავს. „**ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო**“ – ანდაზა.

კვერი, ლენვა, კალო

„კვერი – სალენი ფიცარი“ – საბა.

ერთ მეტრზე ცოტა მეტი სიგანისა და ორ მეტრამდე სიგრძის ცაცხვის ფიცარია. ძირის მხრიდან ფიცარში ჩაჭედილია კენჭები ახლო-ახლოს. ეს კენჭები მეტი სიმაგრისათვის დიდი ქვის პატარა ნამსხვრევებია. სპეციალური იარაღით ჯერ კეთდება კენჭების ბუდე და შემდეგ კენჭი კვერის მეშვეობით მჭიდროდ ჯდება ფიცარში. ამ დროს ისმის ბგერები: „კ“ „კ“. ეს არის კვერის კენჭზე დარტყმისას გამოცემული ბგერები. ეს კენჭები ფიცარში ჯდება **100-ზე** მეტი. ასეთი სალენი ფიცრის კეთების დროს, ბუნებრივია „კ“ ბგერა მთელი დღის განმავლობაში ის-

მოდა და გონიერმა ქართველმა მას კევრი უწოდა. აქ, როგორც სხვა მრავალ სიტყვაში, „ვ“ ბგერაა შუა დანამატი და „რი“ მოსართავი მარცვალი: **კევრი**.

კალოზე გაშალეს ქერის ან ხორბლის ძნები, შეაბეს კევრში ცხენი და დაიწყეს მუშაობა მარცვლის მისაღებად. ამ დროს ისმის შუაგულ სიტყვებზე... გამშრალი ძნების **ლანა-ლუნი**. გამოცემული ხმების მიხედვით ამ საქმეს **ლენვა** უწოდა ქართველმა ხალხმა.

კედელი

კედი ეს უხმო სიტყვაა, რაც კუთხის ქვას ნიშნავს საბას განმარტებით „ლი“ მოსართავი მაცვლით მიიღება **კ ე დ ე ლ ი**.

კოჭი – კოჭლი

ადამიანი, ცხვარი, თხა იქნება თუ სხვა რომელიმე საქონელი, ძირითადად ფერის იმ ადგილზე ზიანდება სადაც **კოჭის** სახსარი აქვს, აქედან – **კოჭი – კოჭლი**.

კუნძი

დიდი ხნის მოჭრილი კოტრი, რომელიც ხმელია უფრო იმიტომ, რომ ვერა ხეთქავენ, კუჟურიანია. ნაჯახის ყუას რომ დავარტყამთ, სიხმელის გამო ისმის ბგერა „კ“. თუ მაღლიდან გადმოვაგდებთ, დაცემის დროს „ძ“ ბგერა ისმის. აქედან – კუნძი.

მაკრატელი

გვიანდელი წარმოშობის სიტყვაა. მოქმედების დროს ისმის ბგერები – „**კრატ, კრატ, კრატ**“, აქედან **მ ა კ რ ა ტ ე ლ ი**.

მიჯობელი

მიჯნა პატარა საზღვარია და მიჯნის იქით ვისი ადგილიც არის, ვიტყვით მომიჯნეაო. ეს შეიძლება ითქვას მინდორშიც და ვენახშიც, სადაც ადამიანები არა ცხოვრობენ, მაგრამ და-

სახლებულ ადგილზე, სოფელში ადამიანს სახლთან ერთად აქვს ეზო. ეზოს მოსაზღვრე მოსახლე ითქმის მე-ეზო-ვე. „ვ“ ბგერა შეიცვალა „ბ“-თი და მოსართავი „ლი“ მარცვლის მიმატებით მივიღეთ სიტყვა **მეზობელი**. ამ სიტყვამ ზოგადი მნიშვნელობა მიიღო, აუცილებელი არ არის გემიჯნებოდეს და მაინც მეზობლებს ვუწოდებთ ახლო მაცხოვრებლებს.

მეხი, ცაცხლი, ცა

ძველი ხალხის წარმოდგენა მეხის შესახებ ასეთია:

„რა მზის სიცხე ქვეყნიდან ორთქლს ალილებს, ალიტაცებს ჰეართა შინა, განცეცხლდება და გვამად-გვამად შეიქმნების. რა ქარი და ღრუბელი შეიცავს ერთურთს, კვდებითა განსქდებინ და გამოვლენ ხმანი ქუხილისანი; უკეთუ ერთისა კიდისაგან ეცა ქარი, განვალს ელვა, უკეთუ ოთხთავე კიდით მოხვდა ძლიერის ქარი, განით ვერ განვალს და ქვეყანად ჩამოიჭრების და იგი არის მეხი და რასაც ეცემის შესწავას“ – საბა.

დღეისათვის ცნობილია, რომ დედამიწა არის უდიდესი უარ-ყოფითი მუხტის მქონე სხეული, ხოლო ღრუბელი წარმოადგენს დადებითად დამუხტულ წყლის ორთქლს. მათ შორის ხდება ნაპერწკლური განმუხტვა. ანგარიშობენ, რომ ასეთი კონტაქტები დედამიწაზე ფიქსირდება 1 წამში 40000 შემთხვევა.

მეხის დროს ადამიანს ჯერ ესმის ტკა-ცა-ნი, ანუ „ც“ ბგერა, და მერე ქუხილი ანუ „ხ“ ბგერები, იმიტომ, რომ ელვა იგივე სინათლეა და მისი გავრცელების სიჩქარეა 1 წამში 300 000 კმ, ხოლო ბგერა გაივლის 340 მ-ს წამში.

რას უნდა დასცემოდა მეხი? რალა თქმა უნდა, რომ მეხი დაეცემა მაღალ ხეს და არა დაბალს.

მეხი – მაღალი ხე – მაღალი ხის.

რამდენიმე ქართულ სიტყვაში „მ“ ასო არის „მაღლა“, „მაღალი“-ს მიმნიშნებელი თავკიდური ასო.

მ-ზე – მზე. აქ „ზე“ ნიშნავს ზემოთ, ზევით, „მ“-ს მიმატებით უფრო ამაღლდა მნიშვნელობა და მივიღეთ **მზე**.

თავი – მნიშვნელობით მაღლა მდგომს ნიშნავს, „მ“-ს მიმატებით ვიღებთ სიტყვებს: „მთავარი“, „მთა“, „მთავრობა“.

მთის წვერი – მთის ყველაზე მაღალი ადგილი „მ“-ს მიმატე-

ბით მივიღეთ **მწვერვალი**.

უფრო მაღალი ადგილი, სადაც თოვლი მთელი წლის განმავლობაში არ დნება და მუდმივი ყინვებია, „ყინვა“, „მ“-ს მიმატებით გამოდის სიტყვა **მყინვარი**.

რამოდენიმე ციური სხეული „მ“-თი იწყება: მზე, მთვარე, მთიები (ვენერა), მარიხი (მარსი), მუშთარი.

მეფე – მაღლა მდგომი.

მეუფე – დიდი მეფე.

მიმაჩნია, რომ სიტყვაში „**მეხი**“ „მ“ უნდა ნიშნავდეს მაღალს და „**ხ**“ – ხეს.

ზე აღსახედს, საიდანაც მეხის დროს ისმოდა „**ც**“ ბგერა, „**ცა**“ უნოდა ქართველმა მოსართავი მარცვლების მიუმატებლად.

ვაჟა ფშაველას ლექსიდან – „არაგვს“.

„ხან რომ ცა მოიღრუბლება,

ჩაბნელდებიან ხეები,

გაჩნდება მეხთა ტკრციალი

ათრთოლდებიან ხეები“.

სიტყვაში – „**ტკრციალი**“ – ოთხი თანხმოვნის თავმოყრა არავითარ ლირიკულ ფონს არ ქმნის, რომ ვაჟას ლექსის მუსიკალობისათვის დასჭირვებოდა, ვაჟას თავისი ყურით მეხის დროს გაგონილი და დაფიქსირებული ჰქონდა „**ც**“ ბგერა, თანაც არა ერთხელ.

რას ნიშნავს სიტყვა „ათრთოლდებიან“?

სოფლის ბოლოს, ხევის პირზე აშენებულია ქვის სამტვრევი ქარხანა-მოწყობილობა. იქ იმტვრევა ქვა-ქვიშა და გამოდის ფრაქციებად გზებისა და ნაგებობების მშენებლობისათვის. სამტვრევე აგრეგატს უდგას სამფაზიანი, ძლიერი ელექტრო ძრავა. ელექტრო ჩამრთველიდან ძრავამდე მიდის სამი წვერი მავთული ფაზური ძაბვა და მეოთხე წვერი ხაზური ძაბვა (ნოლი).

ჩაირთო „რუბლინიკი“ და დავაკვირდეთ მავთულებს. ნამდვილად ათრთოლდებიან და ცახცახს იწყებენ. წარმოიშვა ელექტრომაგნიტური ინდუქციის მოვლენა. მავთულები ერთმანეთს ან მიიზიდავენ ან განიზიდავენ მანამ, სანამ მომწოდებელს და მომხმარებელს შორის წონასწორობა არ დაბალანდება. ეს ხდება წამიერად, ასეთი მოვლენები ხდება ცასა და დედამიწას შო-

რის მეხის დროს. ვაჟა ყოველთვის გენიალურია არა მარტო როგორც პოეტი, არამედ როგორც ბუნების მესაიდუმლე, მასში არსებული რეალური მოვლენების მხედველი და მოყურიადე.

რალა თქმა უნდა, რომ იმ დროინდელი ადამიანისათვის ცა მრავალი საიდუმლოებებით მოცული და ძნელად შესაცნობი იყო, რადგან ცაში იგულისხმებოდა მზე, მთვარე, პლანეტები, ვარსკვლავები, მათი მოძრაობა და ურთიერთ დამოკიდებულების კანონზომიერებები. ამიტომ დიდ ქართველ გენიოსს შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“ დავარ ქაჯის ეშმაკობის ხარისხის განმსაზღვრელად ცის მცნება შემოაქვს:

„მან უამბო დავარ ქაჯსა, ვინ გრძნებთა ცაცა იცის“.

ვეფხისტყაოსანი, სტრ. 568.

რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვეულებრივი ადამიანისათვის მიწაზე არსებული მოვლენები ადვილი აღსაქმელია, ხოლო ცის საიდუმლოებებს მხოლოდ გრძნეულები მიხვდებიან.

„... და რასაცა ეცემის შესწავს“.

აქ სიტყვა „ეცემის“ – შემთხვევით სიტყვა არ არის. სიტყვები: „ეცა“, „დაეცა“, „ჩამოიქცა“, – „ცა“-სთან არის დაკავშირებული.

„შესწავს“ – ნიშნავს, რომ ცეცხლს გააჩენს და ასეც არის სინამდვილეში, რაც ელექტრული კონტაქტის სიძლიერეზეა დამოკიდებული. თუ დავაკვირდებით ელექტროშედულების პროცესს, აქაც გვემის „ც“, „ც“ – გაბმული ბგერები და **ცეცხლი** ვარვარებს. დაახლოებით ასეთი მოვლენები ხდება ცაში.

ამრიგად, პირველი ცეცხლი მიწაზე მეხის მოვლენის დროს ციდან გაჩნდა. როგორ კარგად მიესადაგება ამ პროცესს ალაზა ხაიაურის ლექსი:

„ან ღმერთმა რატომ მიაჯაჭვა აქ ამირანი,
ცეცხლის პირველი შემოქმედი სხვა სად ვინ არი,
და დედამინა მანამდე თუ სითბოს ელოდა,
ქვეყანას ცეცხლი გადაედო საქართველოდან.
არ ჩაითვლება სინამდვილე გაზვიადებად,
უთქვამთ, ვამბობთ და სათქმელს ტქმული ამზიანებდა.“
როცა ცეცხლი ანთია, რამდენიმე ბგერა ისმის: დროდადრო

„ც“ ბგერა მეორდება, როცა შეშა ნედლია ან სველი, მაშინ ისმის „შ“ „შ“ ბგერები, აქედანაა – „შეშა“. როცა წვრილი წკიმღები ინვის, ისმის „წ“ ბგერა. აქედან – „წვა“, ამ დროს თითქოს ცეცხლი ლაპარაკობს.

„ფოთლიანი ქარი ზუის წლების მიმოტალახებას...“

ცეცხლი ძგერს და ცეცხლი ღუის, ცეცხლი მელაპარაკება.“

მურმან ლებანიძე.

ადამიანი და ზოგადად ცოცხალი არსება – ცხოველ-ფრინველი ცეცხლიანია. სიტყვა „ცოცხალი“ — „ცეცხლიდან“ არის წარმოშობილი და არა „ცოცხი“-დან. სიტყვები: „ცოცხი“, „ფოცხი“, „ცხავი“, „სარცხი“, „ცხრილი“ – წარმოშობილია მაგარ საგნებთან (მინა, ქვევრი, რკინა) მოქმედების დროს გამოცემულ „ცხ“ წყვილის მიხედვით.

დღეს არ ვამბობთ, რომ ადამიანი ცეცხლიანია, ვამბობთ, რომ ადამიანი თბილია და მისი ტემპერატურა არის 36,6°, მაგრამ სიტყვა „თბილი“ ხომ „ტაფა“-დან არის წამოსული, რომელიც შეიქმნა მაშინ, როცა ადამიანმა ლითონის (რკინის) დამუშავება ისწავლა. ამდენად, სიტყვები - „ცეცხლი“, „ცოცხალი“ გაცილებით დიდი ხნით ადრე წარმოიშვა ვიდრე „ტაფა“ და „ტფილი“ – „თბილი“.

ცეცხლი ჩაიწვა, დაამთავრა „სიცეცხლე“, მოკვდა, გაცივდა და მიწას შეერია.

ადამიანმა დაამთავრა სიცოცხლე („სიცეცხლე“), მოკვდა, გაცივდა და მიწად იქცა.

მეცნიერი

სულხან-საბას განმარტებით დედამიწა (ქვეყანა) გარემოცულია ჰაერით და ჰაერის შემდეგ არის ეთერი. ეთერის შემდეგ, სიმაღლისა და სიშორის მიხედვით, მოდის რამდენიმე ცა, ესენია: მთვარის ცა, ოტარიდოს ცა, აფროდიტის ცა, მზის ცა, მარხის ცა, მუშთარის ცა, კრონოსის ცა, ვარსკვლავთა ცა, მეცხრე სფერო, სამყარო და შემდეგ არის სასუფეველი ცათა.

ცათა – ამ სიტყვაში ცა დაყენებულია თანიან მრავლობითში. თუ მას დავაყენებთ ნარიან მრავლობითში, გვექნება – ცანი.

ამ სიტყვიდან მოდის სიტყვები: **ცანობა – ცნობა, ცოდნა, უცები, უცნაური, უცოდინარი.**

ბედნიერი – კარგი ბედის მქონე

ხანიერი-ხნიერი – ხანმრავალი კაცი

გონიერი – მოაზროვნე, გონების მქონე

მშიერი – ვისაც ან რასაც შია

განიერი – რასაც აქვს სიგანე

ლონიერი – ძალისა და ღონის მქონე

ბაზიერი – ბაზი ზოგადად ქორს ნიშნავს და ვისაც ესმოდა მისი გამონრთვნა სანადირო დანიშნულებით, ის იყო ბაზიერი.

მეცნიერი – მე-ცანი-ერი, ვისაც ესმოდა საიდუმლოებით მოცული მრავალი ცის ცოდნა.

გავიდა ხანი და სიტყვა განზოგადდა. მეცნიერი-მცოდნეს ნიშნავს. **მეცნიერი – სწავლული, მკვლევარი.**

ლოცვა, ილოცა, დაილოცა, მოილოცა

ღვთისმოსაობის საიდუმლო გვასწავლის, რომ ღმერთი გა-
მოჩნდა ხორციით, და ცაში ამაღლდა დიდებით. ადამიანი ცაში
ალაპყრობს თვალებს და გულითა და სიტყვით ილოცება, ცას
ევედრება. სიტყვა „ცა“-დან არის წამოსული სიტყვები „ილო-
ცა“, „დალოცა“ და ზოგადად „ლოცვა“.

„...შენ გენუკვი, შემაჯერო, ღმერთი იღმერთო, ცაცა იცო,
ერთმანეთი არ გავნირთო, მაფიცო და შემომფიცო.“

ვეფხისტყაოსანი, სტრ. 655.

ღმერთი იღმერთო, ცაცა იცო – ღმერთი და ცა ინამო.

სავარაუდოა, რომ სიტყვა „ფიცი“ წარმომავლობით მოდიო-
დეს სიტყვიდან „ცა“.

მეგობარი

„მეგობარი – მიწყვი გაუყარი სათანადო მოყვასი“ – საბა.
ერთი **გობი**დან მოსარგებლე უახლოესი ადამიანები.

მთა-მთავარი-მთავრობა

„მთავარი“ და „მთავრობა“ უხმო სიტყვა „მთიდან“ არის შედგენილი და ნიშნავს მთასავით მალლა მდგომს, ზევიდან მაყურებელს, ძლიერს, მიუწვდომელს ან ძნელად მისაწვდომს.

მარილი

მარე – მორე, სხვა ენებში ზღვას ნიშნავს და ზღვა კი ვიცით, რომ მლაშეა და მარილს შეიცავს. „ლი“მოსართავი მარცვალია. ეს აზრი სავარაუდოა და სიტყვა „მარი-ლი“-ს წარმოშობა მეც დიდად მაინტერესებს, რადგან გონიერი ქართველი ამ სიტყვას შემთხვევით ხასიათს არ მისცემდა.

მოლოდინი დაბელოდა

მოლოდინი – ლოდივით უძრავად ყოფნა.

დაბელოდა – ლოდივით იყავი, მომიცადე.

მორიგე, რიგი, რგვა

ადამიანი როდესაც რგავს ხეხილს თუ რაიმე მცენარეს, ის იცავს ერთ წესს, რომ ნარგავი უნდა იყოს მწკრივში, ერთ რიგში, რომ შემდეგ მისი მოვლა-დამუშავება გაუადვილდეს, **„დავრგე“**, **„დაურიგე“** ე. ი. **„რიგი“** გავაკეთეო, ე.ი. საქმეში რალაც წესი ვიხმარეო. აქედან – **„მორიგე“** – რალაც რიგსა და წესს ემორჩილება.

მძივე – მძივი

მძივის თვლების ერთმანეთთან შეხებისას ისმის **„ძ“** ბგერა. სულხან-საბა განმარტავს: „კვალად მძივად ითქმის რკინა ანუ რვალი და ბრპენი შექმნან მსგავსად მძივთასა ბადისათვის“. ბრპენი – ეს არის ტყვია. ტყვიას მძივივით ავასხამთ თოკზე, მივაბამთ ბადეს, რომ დამძიმდეს და წყალში ჩაიძიროს. **მძიმე** – ქვედამზიდველი (საბა).

მწიკრი საღამო ღამე ბინდი

როცა შებინდდება, ადამიანი შეწუხებულია, რადგან არ არის დენი, რადიო, ტელევიზორი, არავითარი თანამედროვე სახის კომფორტი და ამხელა ღამე როგორ უნდა გაათიოს, რა უნდა აკეთოს მთელი ღამე? ამიტომ ჰყავდათ ბევრი შვილები ძველ ხალხს.

მწიკ-რი აქ „რი“ მოსართავი მარცვალაია.

სიტყვა წარმომდგარია ბებრუხანა ქალისა და კაცისაგან, რომელთაც აინტერესებთ, რომ მალე გათენდეს, მიხედოს საქონელსა და კარმიდამოს. ამის საპირისპიროდ, ახალაგზრდა წყვილებისათვის შეღამება შე-**მწიკ-**ება არ არის, პირიქით, ერთი სული აქვთ მალე დაღამდეს და დიდხანს გაგრძელდეს ღამე. რამდენიმე მაგალითი ქართული ფოლკლორიდან:

„ამაღამდელი ღამეო, ნუ გათენდები მალეო!“

„ხელში რომ ჩამივარდები
შემოგეხვევი ყელსაო.
ამ ჩემი მოკლე ჭკუითა
ღამე სჯობია დღესაო“.

„შენი ხმა მაყურებინა,
ღვინო გასმია, გამღერა,
შენთან წოლითაც გამაძლო,
ღამე ქნა არ გაათენა“.

შებინდდა. საქონელი მოდის თავის ბინაში. დაჩვეულია ბინდობისას სახლში მისვლას, თავის ბოსელში მშვიდად და უსაფრთხოდ გრძნობს თავს, ან ხბო ელოდება და სავსე ცური მიაქვს ფურს. საქონელი დადგება თავისი სახლის კართან და **ღმუის** რომ კარი გაუღონ. თუ დავაკვირდებით, ტურებიც შებინდებისას იწყებენ ღმუილს, (ყმუილს). ამ მიზეზით გონიერმა ქართველმა ამ დროს უნოდა ჟამი სა-**ღმუ-**ო. აქედან წარმოიშვა სიტყვა სა-**ღამ-**ო და შემდეგ – **ღამე, საღამო** არის დამახინჯებული სიტყვა სწორი სიტყვისა – **საღმუო-სი**.

„ხბო ბლავის, დედას ეძახის –
რა ჰქენას, რომ ძუძუ სწყურია!
მოდის ნახირი, თან მისდევს
ქვრივ მარიამას ფურია.
მოსჩანს დელფანა, თან მოაქვს
რძით გატიკნული ცურია.
ფურმა ხმა მისცა თავის შვილს,
ეზოში ჟრიამულია.

ვაჟა, „მოლოდინი“

რძით გატიკნული ცური მხოლოდ საღამოთი მოაქვს ფურს.

ბინდი

საქონელი მოვიდა ბინად – თავის ბინად. ეს არის დრო, რა დროსაც საქონელი მოდის ბინად, ბინაში. ტყის ბინადარი – ტყეში მგცხოვრები არსებანი.

მუშა-მუშიერი-მშიერი

სიტყვა „მშიერი“ მოდის „მუშა“-დან. მუშიერი – ეს არის მუშა მდგომარეობაში ყოფნა. მაძლარი ადამიანი ფიზიკურ საქმეს ისე ვერ გააკეთებს, როგორც მშიერი. გავიხსენოთ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“. კინოფილმში ფარსმანი ეუბნება არსაკიძეს სვეტიცხოვლის ტაძრის აგების დროს.

„იცოდე ოსტატო, რომ თუ მუშას კუჭი გაუძლე, ის საქმეს ვეღარ გაგიკეთებს, ისე, როგორც მშიერიო. მუშა – მუშიერი – მშიერი.

ნული

უხმო სიტყვაა. მოდის ნუ სიტყვიდან და ნიშნავს არაფერს, ნურაფერს. „ნუ ამირან შენსა მზესა, ნუ რა გინდა ნურავისი“. ამირანდარეჯანიანი. მოსართავი „ლი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა-რიცხვი ნ უ ლ ი.

ნალი

საბას განმარტებით ნალი ქართული სიტყვა არ არის, ქართულად მას **საჭედარი** ჰქვიაო. მაშინ ადვილია ამ სიტყვის ახსნა. **საჭედარი**, ის სამჭედლოში გრდემლზე იჭედება. დანალული ცხენი. დაჭედული ცხენი.

ნახშირი

ნახშირი ჩამქრალი ნაკორჩხალია და თუ ფეხით შევდექით ზედ, დაშლის დროს ისმის ბგერები „ხშ“ ან „შხ“. თავსართი „ნა“ და ბოლოსართი „რი“ მარცვლებით მივიღეთ სიტყვა **ნ ა ხ შ ი რ ი**.

ნაკორჩხალი

რკინის მოხრილი საჩხრეკით უნდა გამოუჩხრიკოთ ცეცხლს, გავასწოროთ, გავაახლოთ ცეცხლი. ამ დროს ისმის ბგერები „ჩ“, „ხ“, „კ“. აქედან წარმოიშვა „**ჩ ხ რ ე კ ა**“, „**ნ ა კ ო რ ჩ ხ ა ლ ი**“.

ნაპერწკალი

ცეცხლის გამოჩხრეკის დროს ნაკორჩხალი გამოისვრის წვრილ ნაწილებს და გამოსცემს ბგერებს „პ“, „წ“, „კ“. სათანადო მარცვლების მიმატებით მივიღეთ სიტყვა **ნ ა პ ე რ წ კ ა ლ ი**.

ნაშვაპი – ნაშალი

მონადირული სიტყვაა. **ნაშვაპი** – მთაში ჩამოშლილი კლდის ნაწილებია. ხან ისე არის, რომ ნაშვაპი უნდა გადაიარო, სხვა გზა არ არის. ფეხს დაადგამ თუ არა ნაშვაპი იშლება, „შვ“ ბგერას იძახის და მასთან ერთად მიდის ადამიანი უფსკრულში. ამიტომ არის მონადირული გამოთქმა: **ნაშვაპზე კი არ უნდა გაიარო, უნდა გადაირბინო.**

ნამგალი

ჩემთვის დიდად საინტერესო და რთულად ასახსნელია ეს სიტყვა. ნამგლით მკიდნენ ყანას და ამ საქმიანობას ეძახდნენ „**მკას**“, ხოლო მომკილ ყანას ნამკალს. ნამგალი და ნამკა-

ლი მსგავსი სიტყვებია. სიტყვაში **ნამგალი** – მგა უნდა აიხსნას. სულხან-საბა განმარტავს, მგამა – მეზრუნვება. მიმაჩნია, რომ **მგა** უნდა ნიშნავდეს ზრუნვას. იმაზე მეტი ზრუნვა რა უნდა იყოს, ყანა მომკო ნამგლით და ხორბალი ოჯახში მიიტანო.

ოფლი

დალლილ-დაქანცულ ადამიანს პირისახიდან ტუჩებში რომ ჩაუყვას ოფლი, მის გასაადენად, მოსაშორებლად ძლიერი ამოსუნთქვით, მოუნმენდავად, „**ფ**“ ან „**ფუ**“ ბგერას იძახის. აქედან „**ლი**“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **ო ფ ლ ი**.

პური

პური, მით უმეტეს თუ ახალი გამომცხვარია, ერთმანეთზე მირტყმისას გამოსცემს ბგერებს „**პ**“ და „**პუ**“. „**რი**“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **პ უ რ ი**.

ოცნება

ოცი+ნება. ნება და სურვილი სინონიმებია. ერთსა და ორ სურვილს როგორმე აისრულებს ადამიანი, მაგრამ **ოცი** სურვილი ძნელი ასარულებელია და დარჩება **ოცნება**-დ.

ჟონჟოლი

ჟონჟოლი ხესაც ჰქვია და ხის ყვავილსაც. არც ხესა აქვს ხმა და არც ყვავილს. ამ სიტყვის მიღება ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ჟონჟოლის ყვავილს ადამიანი გაშლის თხლად დასაჭკნობად ერთი ორი დღე. შემდეგ მოიმარჯვებს კასრს, მარილს და ძეკავს ფეხით. თავიდან ხმას არ გამოსცემს, მაგრამ მერე და მერე გამოიყოფა წვენი და თუ ჭაჭაში ფეხით მოძრაობის დროს ისმის ბგერები „**ჭა, ჭა**“, ამ შემთხვევაში გამოისმის ბგეები „**ჟო, ჟო**“, მოსართავი მარცვლის მიმატებით მიიღება ჟონჟოლი და არა ჯონჯოლი.

უეჟვა

ხიდან რომ ხილი ჩამოვარდება და ხრიოკ მინაზე დაეცემა (ვაშლი, პანტა, კომში), დაცემის ადგილი ხილს დაებეჭება. ამ ადგილზე ხელის დაჭერით „უ“ ბგერა გამოიცემა და ვამბობთ – ხილი დაჟეჟილია. ამ სიტყვამ ზოგადი მნიშვნელობა მიიღო და თუ ადამიანი მაგარი ნაცემია, იტყვიან – კარგად უჟეჟნიათო.

რჭალი

ურმის რჭალი უბის ნახვრეტში არის ჩარჭმული მჭიდროდ და ურმის მოძრაობის დროს ისმის ბგერები „ჭ“, „რჭ“. „ლი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **რჭალი**.

რუ

ძალიან დიდი დაკვირვება უნდა ადამიანს, რომ ეს ბგერა დააფიქსიროს. ყველაზე მეტად ეს ბგერა ღამით ისმის, როცა ყველაფერი მიწყნარებულია და რუ-ში წყალი არც აკლდება და არც ემატება. „რუ“ ბგერას ყოველთვის არ გამოსცემს წყლის დინება. მას განსაკუთრებული პირობები სჭირდება.

რკინა

„კ“ – აქტიური ბგერაა. ყველაზე მკაფიოდ ეს ბგერა რკინაზე მაგარი საგნის მირტყმით, მიკაკუნებით ისმის, მოსართავი მარცვლების მიმატებით მიიღება სიტყვა **რკინა**.

სველი

ბალახი, ფოთლიანი ფიჩხები, თუნდაც უკვე გამხმარი იყოს, თუ წვიმით ან წყლით არის დანამული, გამოთრევისას გამოსცემს ბგერას „სსსს“, „ლი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **სველი**, „ვ“ უხმო დანამატია.

სახე-ხატი-ხატვა, ~~ფერწერა~~, ~~ხელწერა~~

მას შემდეგ, რაც ადამიანმა შიშველი ადგილები ცხვრის ტყაპუჭებით დაიფარა, თანდათან შემოქმედებითი ცხოვრების მოთხოვნილება გაუჩნდა. ფრინველთა პირიდან ნამოსული ბგერები ჰარმონიულად მოქმედებდა ადამიანის ყურთა სმენაზე და ატკობდა მის გრძნობებს. ამიტომ შაშვისგან, ბულბულისგან და სხვა მგალობელი ფრინველებისგან გალობა-სიმღერები ისწავლა. მერცხლისგან ისწავლა სახლის აშენება და გამოქვაბულიდან გამოვიდა, ობობასგან ტანსაცმლის ქსოვა ისწავლა და ტყაპუჭი გაიხადა. ხატვა, როგორც ხელოვნების ულამაზესი და მეტად საინტერესო დარგი უძველესი დროიდან იღებს სათავეს.

დავაკვირდეთ ხატვის პროცესს. ხატვის დროს საჭიროა ორი რამ: რაზეც ხატავ (ხე, ქვა, კედელი, ტილო) და რითაც ხატავ (საღებავი, ფუნჯი, ნახშირი, ცარცი, ფანქარი). ამ ამ იარაღების გასმის დროს „ს“ ბგერა ფიქსირდება და მოხაზვის დროს „ხ“ ბგერა. აქედნ მიიღება „სახე“. ეს სიტყვა ზოგადია, რადგან ყველაფრის სახის შექმნა არის შესაძლებელი. მაგრამ, ძირითადად ადამიანი ხატავდა, ქმნიდა ადამიანის თავს – პირს. აქედან **პარის სახე**. „სხეული“ – წარმომდგარია სიტყვიდან „სახე“. „სახე-ული“ – „სხეული“.

„ტ“ ბგერა მიიღება ხეზე მუშაობისას სპეციალური რკინის იარაღით, რომელსაც **სატეხი** ჰქვია.

„ხ“ და „ტ“ ბგერების თანმიმდევრობა ქართველის არჩევანი იყო და მივიღეთ სიტყვა **ხატი**. აქედან „ხატვა“, „**მხატვარი**“.

ხატვის დროს ნამდვილად არ ისმის **წ** ბგერა. მიმაჩნია, რომ სიტყვა **ფერწერა** გრამატიკის შექმნის დროს, რუსულიდან „კაპიროვკულად“ არის გადმოტანილი ქართულში – **ჟივოპის – ფერწერა**. ისე, როგორც სიტყვები:

პოდლეჟაიუშიე – ქვემდებარე

პრედ ლოჟენიე – წინადადება

ხომ შეიძლებოდა სიტყვის – „წინადადება“ ქართული აზრობრივი შესატყვისი ყოფილიყო – „წყობილი სიტყვა“. აქედან გამომდინარე „ფერწერა“ – არის უაზრობა, რადგან იგი მოკლებულია ქართული ენის წარმოშობის ორიგინალურ მახასიათებლებს. მიმაჩნია, რომ ამ სიტყვის მაგიერ ქართულში უნდა გვქონდეს

სიტყვა – „ფერსახვა“, რაც ნიშნავს ფერებით სახეების შექმნას.

ასევე უაზრო და უხეში მოსასმენია სიტყვები – **ხატწერა, ხატ-მწერი**, რადგან ხატის შექმნის დროს არ ისმის **წ**. ბგერა. მხატვარ-მა შექმნა ხატი, დიდი შრომის შედეგად მიიღო ქმნილება. თუ მაინც და მაინც აუცილებელია რომ ეს ქმნილება რთული სიტყვით ამეტყველდეს ქართული ენის საგანძურში, მაშინ ხომ არ აჯობებდა გვექონოდა „**ხატქმნა**“, „**ხატსახვა**“ ან სხვა რომელიმე სიტყვა, რომელიც ამ შრომაში არ არსებულ **წ** ბგერას გამოორიცხავდა.

სიმსივნე – ბასიჯა

„სიმსივნე – ხორციტ გასივება ძლიერი“ – საბა.

გასიებულ ხორცზე ხელს თუ დავაჭერთ ან უნებლიედ მოგვიხდება, წამოვიკივლებთ და თუ ტკივილი შეევიკავეთ, მაშინ ამოგვდის წყვეტილი „ს“, „ს“ – ბგერები, რომლებიც წარმოიქმნება ჩასუნთქვისას და არა ამოსუნთქვისას.

ს ი მ ს ი ვ ნ ე – აქ **ვ ნ ე** არის „ვნება“ სიტყვის შეკვეცილი სახე.

შუა დანამატად ამ სიტყვაში გვაქვს „**მ**“ და არა „**ვ**“, რადგან ეს ბგერა „**ვ ნ ე**“-ში იყო.

სახლი

ვისარგებლოთ საბას განმარტებით:

„**საბძელი – საბზე** სახლი“

საბძელი აშენებული იყო ხეებისა და ხის მასალისაგან.

„**საძნე – ბელო, ძნის სახლი**“

საძნე იყო ადგილი, სადაც ძნებით აშენებდნენ დიდ ზვინებს კალოს მახლობლად, თემოქცეული.

„**საჯინიბო – სახლი** ცხენთა და ჯორთა“.

ჯინიბი – მარქაფა ცხენი“.

საჯინიბო აშენებული იყო ხეებისა და ხის მასალისაგან.

„**ფარეხი – სახლი** ცხოვართა და თხათა“.

ფარეხებს დღესაც ხის მასალისაგან აკეთებენ.

სა-**ხე**-ლი – **სახლი** ზოგადად რისამე ადგილი, ხშირ შემთხვევაში, აშენებული ხისა და ხის მასალისაგან.

„სამშობლო – დედის სახლი“.

„საპატიმრო – პატიმართა სახლი.“

„საროსკიბე – სახლი სამეძაო.“

„საცეცხლე – საცეცხლე ენოდების ყოველსავე ცეცხლის აღ-სანთებელსა, გინა სახლსა ცეცხლის მსახურთა შესაკრებელსა...“

„სანოლი – სახლი საძილო.“

„საგამზრახიო – სახლი სალაპარაკო.“

„ტადარი – სახლი საუფლო, სალოცველი, გინა მეფეთა.“ ტა-დარი – ტა-დარი – ტა+ზარი – ტადარი.

სამშობლო, საპატიმრო, საროსკიბე, საცეცხლე, სანოლი, ტადარი – ამ სიტყვებში „სახლი“-ს მნიშვნელობამ ფორმითა და შინაარსით მცირეოდენი ცვლილება მიიღო. დღეს სახლი უმეტე-სად, თითქმის, ქვითკირის ან ბეტონის ნაგებობად მიგვენიშნება და დაიკარგა მისი წარმოშობის „ხე“-ს საიდუმლო.

სათარი

ტყვიდან რომ თოვლში ცხენით ხეს გამოათრევენ, „ს“ ბგერა ისმის, უთოვლო მიწაზე თრევისას კი „თ“ ბგერა. აქედან არის მი-ღებული სიტყვები: **სათარი, თრევა, გაათრია, მოათრია.**

საცერი-ნაცარი

საცერში ფქვილის მოძრაობის დროს ისმის ბგერები „ს“ და „ც“. სიტყვები **საცერი, ნაცარი** ამ ბგერებიდან მოდის.

სარეკელა

წყლის ნისქვილში ზემოთა ქვის ბრუნვის დროს სარეკელა ხტუნაობს და გამოისმის „კ“ ბგერა. რეკავს, მისი დანიშნულებაა კრიჭის გატოკება, რომ ქვებში დასაფქვავე მარცვალი ჩაიყაროს.

სარება-სახარება-სინარული

ადამიანი, როცა სასიამოვნო ამბავს გაიგებს ან დაინახავს, ბუ-

ნებრივად გაიღიმებს, გაციინებს, გაიხარებს : „**ხა, ხა, ხა**“ ბგერებს გამოსცემს, გადაიხარხარებს, გაუხარდება, სიხარული მოუვა.

როდესაც ქალწულმა მარიამმა სულიწმიდით მუცლად ილო, დაორსულდა, მან მიიღო უდიდესი სიხარული, რასაც შემდეგ **ხ ა რ ე ბ ა** ეწოდა.

სახურავი

ეს სიტყვა „**ხურო**“-დან მოდის, რადგან ხელოსანმა **ხურომ** უნდა გაუკეთოს სახლს სახურავი. ქუდიც სახურავია და უნდა დაიხურო, მაგრამ როცა ვამბობთ კარი დახურე, შეცდომაა, უნდა ვამბობდეთ – კარი **დაკეტე**. ამ სიტყვამ ზოგადი მნიშვნელობა მიიღო, „**სხდომა დაიხურა**“ – დამთავრდა.

სიკეთე

ხშირ შემთხვევაში ადამიანი ფიზიკურად მოძრაობს, ხელში რაღაც შრომის იარაღი უჭირავს და ჰკაფავს – „**კ**“ ბგერას გამოსცემს, თლის – „**თ**“ ბგერას გამოსცემს, ე. ი. რაღაცას ა-კეთებს. აქედან არის მიღებული – **კ ე თ ი ლ ი, ს ი კ ე თ ე**.

სიკვდილი-მოკუდა

მოკუდა – ფუძე „**კუდ**“-იდან მოდის. მიმაჩნია, რომ ადრე „**კ**“-ს მაგიერ იყო „**გ**“. მაშინ მივიღებთ სიტყვას მოგუდა. გაიგუდა – გუდასავით გახდა. გუდას პირი აქვს მოკრული და გაბერილია. აქედან **ს ი კ უ დ ი ლ ი — ს ი გ უ დ ი ლ ი**. „**უ**“ გადაიქცა „**ვ**“-დ და მივიღეთ სიტყვა – **ს ი კ ვ დ ი ლ ი**.

მღერა-ჟღერა

ვერც ერთ თანხმოვანს გაბმულად ვერ აახმიანებ, როგორც „**ჟ**“-ს და „**ღ**“-ს. „**ჟჟჟჟ**“ და „**ღღღღ**“. აქედან მოდის სიტყვები **მღერა, ჟღერა**.

სარაცხი-რაცხვა

როცა წყალი დიდი რაოდენობით და დიდი სიჩქარის ხვედბა საგანს ისმის „ცხ“ ბგერა. საგანი ირეცხება, სუფთავდება. ამ სიტყვამ ზოგადი მნიშვნელობა შეიძინა და რაიმე საგანი თუნდაც უხმაუროდ გავასუფთაოთ წყლის მეშვეობით, მაინც ვიტყვით, რომ – გარეცხილიაო.

ბალლოჯის ხეს ქერქს გააცლიან (მაგარი ქერქი აქვს), ხის ტარის ერთ ბოლოში მჭიდროდ ამაგრებენ და ამით რეცხავენ ქვევრს. ამ ხელსაწყოს ჰქვია **ს ა რ ც ხ ი**.

სისხამი

სისხამი ცივ დილას ნიშნავს, როდესაც დილით ჩაუცმელი გამოვალთ გარეთ, ცივა, გვაცახცახებს და პირით ვიძახით „სისხ“, „ხ“, „სხ“ ბგერებს. აქედან არის წამოსული სიტყვა **ს ი ს ხ ა მ ი**.

საპარცხელი

ქალი როცა გრძელ თმებს ივარცხნის, გამოისმის ბგერა „რცხ“. აქედან არის შედგენილი სიტყვები – ვ ა რ ც ხ ნ ა, ს ა ვ ა რ ც ხ ე ლ ი.

სილა

სილა არის მიწის ნაირსახეობა, წყლის პირზე გამოლექილი მიწაა, იგივე ლამი, სამშენებლო მასალაა. ზედ რომ ნიჩაბს გავუსვამთ, ისმის ბგერები – „ს“ და „სი“. აქედან – **ს ი ლ ა**. სილა გაშლილი ხელის მტევანსაც ჰქვია. „სილა გაანწა“.

რთველი

ამ სიტყვის ფუძე არის – **რთვა**, რაც ნიშნავს მორთვას, მოკაზმვას, მოლამაზებას. ვენახში წელიწადის სამ დროში დახარჯული შრომა შემოდგომაზე ყურძნის ლამაზი მტევნებისა და შემდეგ კი ღვთიური სითხე – ღვინის სახით უკან უბრუნდება

ადამიანს. ალბათ არ არსებობს ამაზე მორთულ-მოკაზმული და ლამაზი საქმიანობა ადამიანის ცხოვრებაში, მართლაც რომ ქორწილია ვაზისა. „ლი“ მოსართავი მარცვლით მივიღეთ **რ თ ვ ე ლ ი**.

სახელი და გვარი

ადამიანებს ერთმანეთის გასარჩევად სჭირდებოდათ სახელი და გვარი. სახელი უფრო ადრე წარმოიშვა სიტყვიდან სახე. რა სახისაა ადამიანი, როგორი **სახე** აქვს. ამ სიტყვას მიემატა მოსართავი „ლი“ მარცვალი და მივიღეთ სიტყვა **ს ა ხ ე ლ ი**. სახელების სიცოცხლის და ადამიანთა სიმრავლის გამო, საჭირო გახდა გვარის წარმოშობა. გვარი რამდენადმე უფრო გვიან წარმოიშვა, ვიდრე სახელი. ადამიანის თვისება-ხასიათის განსაზღვრელი სიტყვაა – **გ ვ ა რ ი**.

„ვერა ვგვაობ“

ვერ იგვავა

როგორია – რა გვარია.

სიტყვის წარმოქმნაში ძირითადი წყვილია „გვ“ კომპლექსი. „რი“ მოსართავი მარცვალია.

ს ა ხ ე – ლ ი

გ ვ ა – რ ი.

სამოთხე

„სამოთხე – ნალკოტი შვენიერი, გინა ფუფუნება, გინა ყვავილითა მტილი, რომელ დაასხა უფალმან აღმოსავლისა მხარესა ქვეყანასა ზედა“ – განმარტავს საბა.

„ეს სიტყვა აგებულია სიტყვაზე – **მოთხვა**, რაც ძველ ქართულში ნიშნავს სეირნობას, დროს გატარებას; სამოთხე სასეირნო და დროის გასატარებელი ადგილია“ – შ. ძიძიგური.

ბიბლიიდან: „აღმოაცენა უფალმა ღმერთმა მიწიდან ყოველი **ხე**, სანახავად **სამო** და საქმელად ვარგისი – შუაგულ ბაღში კი **ხე** სიცოცხლისა და **ხე** კეთილისა და ბოროტის შეცნობისა (დაბ. 2.9-ე).

გამოდის, რომ სანამ ადამი და ევა სამოთხეში ცხოვრობ-

დნენ, სეირნობდნენ, თანაც საჭმელად ვარგისსა და საამო ხის ნაყოფს მიირთმევდნენ.

საამო-ხე, საამოდ-ხე, „დ“ და „თ“ ენის ნვერით ერთნაირი წარმოსათქმელებია მცირეოდენი განსხვავებით, ამიტომ „დ“ შეიცვალა „თ“-თი და მივიღეთ **ს ა მ ო თ ხ ე**.

სნავლა – სანაული

ადამიანის დაბადებიდანვე დღემდე ყველაზე პირველად დიდი საზრუნავი იყო და არის ხორციელი სარჩო, მისი მოპოვების პროცესი, შრომის და ბრძოლის იარაღების შექმნა და მისი გაუმჯობესების ცოდნა. ცოდნა სნავლით მიიღება და ვისაც მეტი სნავლა ჰქონდა, მას მეტი სა-**სნაუ**-ლის მოხდენა შეეძლო.

კიდევ ჰქონდა ადამიანს ერთი დიდი პრობლემა, ეს იყო ავადმყოფობა და მისი დაძლევა. ამისთვის საჭირო იყო წამალთ კეთება, მათი ცოდნა. მითის მიხედვით არგონავტებმა ოქროს სანმისთან ერთდ გაიტაცეს კოლხი ქალი – მედეა, რომელიც იყო უზადლო წამალთმკეთებელი. თითქოს მის სახელს უკავშირდება მედიცინა. მედეა - მედიცინა.

ტაფა

ტაფას თუ გადმოვაბრუნებთ და ხელს დავარტყამთ, გამოსცემს ბგერებს „ტა, ტა“ „ფა, ფა“. აქედან **ტ ა ფ ა**.

ტაფა – ტფილი – ტფილისი – თჰილისი

„ტაფა – სახარშავსავით რამ არი“ – საბა.

ამ სიტყვაში საძიებელია „ტ“ და „ფ“ ბგერები. ხელის ბრტყელ საგნებზე წამორტყმის დროს გამოიცემა „ტ“ ბგერა. ასევე „ფ“ ბგერაც დამახასიათებელია თხელი მასალებისათვის:

ფარი, ფა ნერი, ფირფიტა, ფიცარი. ამ ორი „ტ“ და „ფ“ ბგერების შეერთებით მიიღება სიტყვა – ტაფა.

თონით დამუშავებულ მინას **გათონი**ლს ვუწოდებთ. **ბარით** დამუშავებულს – **დაბარულს**, **ფარცხით** დამუშავებულს – და-

ფარცხულს, წყლით დამუშავებულს – მორწყულს, თესლით დამუშავებულს – დათესილს.

ტაფაში მყოფი მასა ცეცხლზე უნდა გახურდეს, გაცხელდეს, მოიხარშოს, მოიხარკოს... თუ გამოვიყენებთ ლოგიკაში ინდუქციის მეთოდს (კერძოდან ზოგადზე გადასვლა), **ტაფაში** დამუშავებული მასა არის **ტაფილი**, გამთბარი, გაცხელებული.

ტაფილი – ტფილი.

თუ ვახტანგ გორგასალისა და ხოხბის ამბავი ლეგენდაა, ტფილი წყლის არსებობა მიწისქვეშა ადგილზე ხომ დღესაც რეალობაა. „სი“ დასახლებული ადგილის მიწისქვეშა მარცვალაია, როგორც **ქუთაისი, ეგრისი, ფარცხისი, ბოლნისი, დმანისი** და სხვ. აქედან წარმოსდგა სიტყვა **ტფილისი** და შემდეგ **თბილისი**.

ასეთია ჩვენი ლამაზი და საყვარელი დედაქალაქის ეტიმოლოგია.

ტაში

გაშლილ ხელებს ერთმანეთზე თუ შემოვკრავთ, გამოისმის ბგერა „ტა“, თუ ამ დროს ხელებს ერთმანეთზე გაუსვამ, ისმის ბგერა – „ში“, აქედან – **ტ ა შ ი**.

ტარი

„ტ“ და „კ“ აქტიური ბგერებია. როცა ადამიანი ტარს გაუგდებს ცულს, თოხს, ბარს, ისმის ბგერები „ტ“ ან „კ“. სიტყვა კარი უკვე ჰქონდა ადამიანს მიღებული, ამიტომ ამ საგანს მოუძებნა სახელი **ტ ა რ ი** – „რი“ მოსართავი მარცვალაია.

ტყავი

ღორის, ცხვრის, ძროხის ტყავს გატყავებული მხრიდან დანას დავარტყამ სიბრტყეზე თუ ხელს, გამოიცემა ბგერები „ტყ“. აქედან მიიღება სიტყვა – **ტ ყ ა ვ ი**. ამ მოქმედებიდან მიიღება სიტყვები: **ტყაპუნი, ტყაპუჭი, გაარტყა, ბრტყელი, სიბრტყე** და სხვა.

ტყემალი – კუნელი

ტყე + მალი. სიტყვის ორივე ნაწილი ვიცით რაც არის. გავშალოთ მათი ჯამური შინაარსი.

ტყეში ყველაზე ადრე შვინდი ყვავდება, მაგრამ მისი ყვითელი ფერი არ არის ისეთი კონტრასტული ტყის შავ და მწვანე ფერებთან, როგორც ტყემლის ყვავილის თეთრი, ქათქათა, მანათობელი ფერი, რომელიც მართლაც ახარებს თვალსა და გულს.

„ტკბილია, როგორც წისქვილში მთვარიან ღამის გათევა,
ტკიბილია, როგორც აპრილში ტყემლების შემონათება“.

ლადო ასათიანი.

სიმწიფითაც მალე შემოდის პანტასთან, მაჭალოსთან, შვინდთან, ზღმარტლთან, კუნელთან და სხვა ტყიურ ხილთან შედარებით, **ტყე-მალი**, მისი ჭამა ხომ დაუმწიფებლადაც შეიძლება.

კუნელი

კუ+ნელი. ეს სიტყვა წინა სიტყვის მსგავსად უნდა გაიშიფროს. ჩქარი კუ არავის უნახავს და გაუგონია. კუ-ზე ნელი ალბათ ცოცხალ არსებებში არა არის რა და კუნელი კი ზემოთ ჩამოთვლილ ტყის ხილთა შორის ყველაზე **ნელად**, გვიან მწიფდება.

კუ-ნელი.

საოცარია, ქართველი კაცს სიტყვის შექმნაში მხედველობასთან, სმენასთან და გონიერებასთან ერთად, იუმორის გრძობაც უხვად ჰქონია მომადლებული.

ფქვილი

წყლის წისქვილში შეიქმნა ეს სიტყვა, მარცვლის დაფქვის დროს გამოისმის ბგერები „**ფქვ, ფქვ**“. მოსართავი „ლი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა – **ფქვილი**.

ფერფლი-თესლი

როდესაც თესლებს ვიღებთ შესანახად ოხრახუმის, ნიახურის, ქინძის ან სხვა რამისას, ტაბაკზე ჯერ მთლიანად მოვფშენიტავთ, მერე ფერფლი რომ მოსცილდეს თესლს (ზედმეტი მასა), შევუბერავთ და ჩვენი პირიდან ამოდის ბგერები „ფ, ფ“. და ფერფლი სიმჩატის გამო მოსცილდება თესლს, გადაიყრება. როგორც საქმიანობაში მეორდება „ფ“ ბგერის წარმოქმნა, ასევე სიტყვაშიც განმეორდა „ფ“ ასოს შეტანა. „ლი“ მოსართავი მარცვლით მივიღეთ სიტყვა **ფერფლი**. „რ“ ბგერა უხმო შუა დანამატიან. ტაბაკზე დარჩენილი მასა მოძრაობის დროს გამოსცემს ბგერებს „ს“ და „თ“-ს. „ლი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **თესლი**.

ფიფქი

ფიფქიც ხომ თოვლის ფერფლია, როცა ძალიან გვათოვს და ჯიბიდან ხელების ამოყოფა არ გვინდა, პირით ვიშორებთ ფიფქს და გამოსმის განმეორებადი ბგერები „ფ, ფ, ფ“, ხანდახან „ქ“-ც. გავიხსენოთ „ბუქის“ მაგალითი. აქედან **ფიფქი**.

ფუტკარი

ხან „ფუფუფ“, ხან „კაააა“ ბგერები გვესმის მაშინ, როცა ჩვენთან ახლოს არის ეს მწერი. შორიდან მხოლოდ ზუზუნი გვესმის და გარემოში კი უამრავი მწერია. აქედან გამოდის „რი“ მარცვლის მიმატებით სიტყვა **ფუტკარი**.

გაზაფხულიდან მოყოლებული, მთელი ზაფხულის განმავლობაში როგორც კი დაღამდება ისმის გაუთავებელი ბგერები – „მნ, მნ, მნ“. ჩვენ ამ არსებებს ვერ ვხედავთ და ზოგადად მათ ვეძახით – მწერს. **მნე-რი**, „რი“ მოსართავი მარცვალია.

ფარი-ფანარი

თხელი, ბრტყელი საგნების წესი ეს არის; თუ ხისა არის „ფა“ ბგერას გამოსცემს და მას **ფანარი** ეწოდება. თუ ლითონისა – **ფარი**. ორივე შემთხვევაში „რი“ მოსართავი მარცვალია. აქედან არის შედგენილი სიტყვები:

ფარ-და – ჩამოსაფარი

ფარ-დული – გადაფარებული ადგილი

ფარა – ცხვარი მოფარებული (შემოღობილში)

ფარ-დაგი – დაგებული საფარი

ფორჩხი-ფოცხი

მინაში მარცვლის დათესვის შემდეგ მოატარებენ ხის ტოტებისგან მაგრად შეკრულ სიბრტყეს, რომელიც მინასთან ხახუნის დროს გამოსცემს ბგერებს „ფ“, „ჩ“, „ც“, „ხ“. აქედან წარმოიშვა ეს სიტყვები : **ფორჩხი, ფოცხი**.

ფხა

ადამიანს რომ ყელში თევზის ფხა გაეჩხირება, რაც ძალი და ღონე აქვს ახველებსავით და იძახის „ფხა“, „ფხ“. ამაზე იტყვიან ყელში ფხა გაეჩხირაო. ამ სიტყვამ ზოგადი მნიშვნელობა მიიღო. გაღესილ ხმალზე ან დანაზე იტყვიან ფხიანიო.

ფაფა

სიმინდის ფქვილისაგან კეთდება ეს საჭმელი. ცეცხლზე როცა დულს, თვითონ ამბობს თავის სახელს – „ფა - ფა“.

ფიცარი

რაც უფრო თხელია და ხმელია ფიცარი, ხელით მირტყმისას გამოისმის „ფ“ ბგერა. სამშენებლო მასალაა და ბოძით ვერ გადააგორებ, უნდა გაა-ც-ურო. ამ დროს გამოისმის „ც“ ბგერა. მოსართავი „რი“ მარცვლით მიიღება სიტყვა **ფიცარი**.

„ფიცარი – ბრტყელი ნათალი“ – საბა.

ფელამუში

ამ მშვენიერ საჭმელს, რომლისგანაც ჩურჩხელებს იღებენ, ბადაგისა და ხორბლის ფქვილის მოდულებით აკეთებენ. ამ საჭმელს თათარას ეძახიან. დუღილისა და მორევის დროს გამოიცემა „ფ“, „მ“, „შ“. ამ საქმის კეთებისას დიდი ცოდნა და გამოცდილება უნდა ადამიანს, რამე ჩურჩხელა კარგი გამოვიდეს.

თუ ნადული სქელია, მაშინ მას ცოტა ტკბილს დაუმატებენ და მორევის დროს „ლ“ ბგერაც ისმის. მარცვალთა წყობა ადამიანის არჩევანი იყო და მას მოუძებნა სახელი **ფ ე ლ ა მ უ შ ი**.

ჭ ე ჯ ა - ქ უ ხ ი ლ ი

ღრუბლებში ნაპერწკლური განმუხტვა თუ ჩვენთან ახლოს ხდება, გვესმის „ჭ“ ბგერა და მერე მოჰყვება გაბმული „ქუ“ და „ხ“ ბგერები. აქედან მიიღება **ჭ ე ჯ ა - ქ უ ხ ი ლ ი**.

ქ ა რ ი

ქარი არის მოძრავი ჰაერის მასები, რომლებიც დიდი სიჩქარით მოძრაობის დროს საგნებთან შეხებისას (ხე, კლდე, ნაგებობა), გამოსცემს ბგერას „ქ“, „ქა“. აქედან არის შედგენილი სიტყვა – **ქ ა რ ი**.

სხვათა შორის, დღესაც, როდესაც წყნარ ამინდში დიდი სიჩქარით მივდივართ მანქანით, საქარე მინის ჰაერთან შეხებისას ისმის ბგერა „ქა“. არა აქვს იმას მნიშვნელობა, დიდი სიჩქარით ჰაერი შეეჯახება უძრავ საგანს, თუ დიდი სიჩქარით მოძრავი საგანი შეეჯახება უძრავ ჰაერს. ორივე შემთხვევაში წარმოიქმნება ბგერა „ქა“. აქედან არის შედგენილი სიტყვები: **ჩქარა, სიჩქარე, აჩქარება, მიქარვა** და სხვა.

ქ ა რ თ ვ ე ლ ი - ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ალბათ არ არსებობს უფრო წარმტაცი, ლამაზი და საინტერესო სემანტიკური და ეტიმოლოგიური საიდუმლო, ვიდრე ამ სიტყვათა ფარული არსია.

ლაღო ალფენიძე

ქარი უკვე ვიცით, რაც არის. ველი მოქმედების არეს, სივრცეს ნიშნავს. ქარი მოქმედებს მთაშიც, ზღვაშიც, ველზეც და ყველგან, მაგრამ ადამიანი ცხოვრობდა ბარში, ველზე. თუ ამ ორ სიტყვას შევკრებთ, მივიღებთ სიტყვას – ქარიველი. ჩვენი მიზანია შუალა „ი“ ვაქციოთ „თ“-დ.

ჩავიხედოთ საბას ლექსიკონში და ვნახოთ ქარის განმარტება. ამ სიტყვის ახსნისათვის ლექსიკოგრაფს 32 სახეობის ქარის სახელი აქვს მოცემული, ესენია: აპოლიოტი, ზეფიროსი, ნოტიონ, აპარკტაი, კეკია, არგესტი, ლიფსი, ევროპი, ნიავი, ბორიასი, თრასკესი, იაპიქსი, ფალიკონი, ლიონიტო, ფენიქსი, ხორშაკი, ნიავექარი, საბარული, ვორია, ტვიფონი, კირკიდო, ულუმარა, ელრასტი, თერხვი, ქუსბორია, არავი, ლევბუმონოსი, ევრიონოტოსი და ზოგიც განმარტებული არ არის. ნახაზიც კი აქვს მოცემული ქარების შესახებ (მართლაც, საქართველო ხომ ქარების ქვეყანაა) ბუნებრივია, ქარის მაგიერ დავაყენოთ სიტყვა „ქარები“ და მივიღებთ – ქარებიველი. ახლა სიტყვას „ქარები“ თუ და-ვაყენებთ თანთან მრავლობითში, როგორც ჩხიკვთა ქორწილი, გმირთა ვარამი და მივიღებთ სიტყვას „ქართ“ „ქარებიველი“ სიტყვაში ქარების მაგიერ ჩავსვათ „ქართ“ სიტყვა და მივიღებთ სიტყვას ქ ა რ თ ვ ე ლ ი. აქედან მიიღება ყველაზე ლამაზი და საინტერესო ქართველთა საცხოვრ-საბრძანისი, ადგილი, სიტყვა – **ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**.

ქარქაში

ხმლის ქარქაშში ჩაგება თითქმის სამი შეყოვნებით ხდება, რადგან ხმალი გრძელია, ამ დროს ისმის ბგერები „ქა“, „ქა“, „ში“. აქედან მიიღება სიტყვა ქარქაში. ზოგადად სხვა იარაღის ბუდეებსაც (დანა, ხანჯალი, დაშნა) ქ ა რ ქ ა შ ი ჰქვია. ხმლის ქარქაშიდან სწრაფად ამოღების გამო ისმის მარტივი „შშშშ“ ბგერები. ამაზე ვიტყვი, ხმალი იშიშვლაო – **შ ი შ ვ ე ლ ი**.

ქმარი-ცოლი

სიტყვა ქმარი მოდის ქმ ნყვილიდან. სა-ქმ-ე. ქმ-ედება. ნა-ქმ-არი. (ცნეს ნაქმრად ტარიელისად, თქვესე „საქმე არს მისეული“ ვეფხისტყ. სტრ. 1427.)

კაცი რომ ცოლს შეირთავდა, სულ საქმიანობდა, დღე და ღამე არ ისვენებდა, ოჯახი უნდა ერჩინა. ცო-ლი ცო-მს მოზელდა, ცო-ტა საქმეს აკეთებდა და ცო-ტას ლაპარაკობდა (დღევანდელისგან განსხვავებით).

ც ო - ლ ი, ქ მ ა - რ ი.

ქვევრი

ეს სიტყვა მოდის ქვე მნიშვნელობიდან, ქვე-მოთ, ქვე-ში-დან, ქვე-წარმავალი, მდებარეობის მიმნიშნებელია კომპლექსი „ქვე“, მოსართავი „რი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **ქვევრი**.

ქვემეხი

მეხი მალლა წარმოიშობა – ცაში, **ქვე** – მდებარეობის მიმნიშნებელია, **გრუხუნი** – მოქმედება დაბლა ხდება, მეხის გავარდნას ჰგავს და ამიტომ ჰქვია ამ იარაღს – **ქვემეხი**.

ქვიშა

ქვიშა მინის ნაირსახეობაა. არის სამშენებლო მასალა და ნიჩბით ქვიშასთან შეხება-მოძრაობის დროს ისმის ბგერები: „ქ“ და „შ“. აქედან მიიღება სიტყვა **ქვიშა**.

ღვარი

თუ ცოტაოდენ წყალს მინაზე გადავასხამთ, გამოიცემა ბგერები „სხ“, მაგრამ ბევრ წყალს თუ ერთნაირად გადავაქვევთ მინაზე დიდი ჭურჭლიდან, მაშინ ხმელ მინასთან წყლის შეხებისას წარმოიქმნება „ღ“ ბგერა. აქ „ვ“ ბგერა უხმო დანამატია და „რი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **ღვარი**.

ღუმელი

ხმელი შეშა შევეუკეთეთ ღუმელში. ცეცხლი გახურდა და ისმის ბგერები „ღუ, ღუ“. ჩვენ ვამბობთ ცეცხლი ღულუნებსო. გაცემული „ღუ“ ბგერიდან არის შექმნილი სიტყვა **ღუმელი**.

ღირღიტი-ღერძი-ღრიჭინი

ღირღიტი გუთნის თვალია და ხვნის დროს ისმის ბგერები „ღ, ღ, თ“ აქედან – ღირღიტი. „ღ“ ბგერა დამახასიათებელია

რკინის რკინასთან ბრუნვითი მოძრაობის დროს. სიტყვა ლერძი ამ მოქმედებიდან მოდის, როცა ლერძი დატვირთულია. ამ შემთხვევაში წარმოიქმნება „ძ“ ბგერა. „ჭ“ ბგერა ისმის რკინის მოძრავი და უძრავი ნაწილების დატყვების შედეგად.

ყველი

თბილ რძეში ყველის დედას შეიტანენ, ცოტა ხნის შემდეგ რძე, როგორც სითხე, სხვა ფორმას მიიღებს, შესქელდება, მოყველდება. შიგ ხელის მირევ-მორევით ისმის ბგერა „ყ“ მოსართავი „ლი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **ყველი**.

ყარი

გაყრა, გამოყრა, გაიყარა, გაუყარა. **ყარი** ნალში უნდა გაიყაროს, რომ ცხენის ჩლიქზე ნალი დამაგრდეს.

შეშა

ნედლი ან სველი შეშა როდესა იწვის, მასში არსებული წყლის აორთქლების გამო. შიშინებს „შშშშ“ ბგერებს გაბმულად გამოსცემს. აქედან არის წარმომდგარი სიტყვა **შეშა**.

შიში-მშილი

ძველი მეთოდია თუ ახალი, როცა ადამიანი ბავშვს აჩუმებს „ჩუ“ ბგერას ეუბნება. ამშვიდებს „შშშშ“- ბგერას ამბობს ნელ-ნელა და როცა უნდა შეაშინოს, „შშშ“- ბგერას სწრაფად წარმოსთქვამს.

ჩანჩქერი

წყალი რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან კლდეებზე გადმოსჩქერს და გამოისმის ბგერა „ჩააა“. თუ ადგილს შევიცვლით და სხვა მხრიდან მოვისმენთ, ბგერის თვისების გამო, ბგერა ხმას შეიცვლის და „ჩეეე“ ბგერებს გავიგებთ. მოსართავი მაცვლების მიმატებით ამ წყალს **ჩანჩქერი** ეწოდება.

ჩაქრობა

თუ გავარვარებულ ცეცხლზე წყალს დავასხამთ, მკაფიოდ გავიგებთ „ქრრრ“ ბგერებს. აქედან მიიღება ჩ ა ქ რ ო ბ ა, ჩ ა ქ რ ა. ამ სიტყვამ ზოგადი მნიშვნელობა მიიღო. შუქი ჩ ა ქ რ ა – დენი გამოიერთო.

ჩვენი

„ჩ“ ბგერა დამახასიათებელია ცხოველებთან ურთიერთობისას. ცხვარსა და თხას ვეძახით „ჩიე“, ცხენს „აჩუ“, ვირს „აჩი“. „ვირი რომ შენი ბატონი იყოს, აჩის ნუ ეტყვიო“, (ანდაზა). გაჩერების დროს ვირს ეძახიან „ჩოოქშ“. ვირის შვილს ვეძახით ჩოჩორს, ჩოკინას, ჩუტრუკს. თუ გვინდა, რომელიმე პირუტყვი დავიახლოვოთ, მას ვეძახით ფჩვიო – ფჩვიო, ხელში ბალახით უნდა დავუყვავოთ და მოვიახლოვოთ, რომ პირუტყვი მივიჩვიოთ, შევიჩვიოთ და გახდეს „ჩვენი“. „ჩვე“-ნი, „ნი“-მოსართავი მარცვალაია.

ჩურჩული

რა სიტყვებიც არ უნდა გველაპარაკოს სხვამ ყურში ჩუმად, მაინც „ჩუ“ ბგერებს ვიგებთ. აქედან – ჩ უ რ ჩ უ ლ ი.

ჩხირი

კედელში წვერიან ჯოხს რომ შევუჩრიჩხინებთ ისმის ბგერები „ჩხ, ჩხ“. „რი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა – ჩ ხ ი რ ი.

ცელი

ბალახის თიბვის დროს გამოისმის „ცე“ ბგერა უფრო ხშირად მაშინ, როცა ცელი გამოსაწკეპია ან გასაღესი. „ლი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა ც ე ლ ი.

ცხიმი

ცხიმი ზოგადი სახელია ზეთისაც და ქონისაც. თუ ცხელ ტაფაზე დავასხამთ, გამოისმის ბგერა „ცხ“. აქედან მიიღება სიტყვა ც ხ ი მ ი.

ცხელი

თუ გახურებულ ლითონზე (რკინა, სპილენძი) ცივ წყალს გადავასხამთ, აქაც ისევე „ცხ“ ბგერები გამოიციემა. აქედან **ცხელი**.

ცოცხი

მინის გვის დროს ისმის ეს ბგერები „ცხხხ, ცცხ“, აქედან მიიღება სიტყვა **ცოცხი**.

ცვარი

ცივი დილაა. სველ ბალახზე ფეხის გასმის დროს ისმის ბგერა „ც“. „რი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **ცვარი**.

ცხაპი-ცხრილი

ცხაპში ქვიშის გაცხავებით და ცხრილში მაცვლის გაცხრილვით გამოისმის ბგერები „ცხ“ აქედან არის მიღებული ეს სიტყვები.

ცივი

მჭედელი რომ ლითონის გამოჭედვას დაამთავრებს, იქვე გეჯაში ცივი წყალი აქვს ჯერ კიდევ ცხელი იარაღის გასაციებლად. წყალში ჩადებისას გამოისმის გაბმული ბგერები „ცცცც“ და ლითონი გაცივდება.

„ცხ“ – წყვილი

დას-ცხო. თუ ხარს სახრეს გადავარტყამთ, მივიღებთ „ცხ“ ბგერას, სახრე – სახარე, თითის სიმსხო ჯოხი ხარების, (კამეჩების) გადასარტყმელად გუთანში ან ურემში.

დაამარცხა – ე. ი. დაიმორჩილა, აჯობა.

მარცხი – წარუმატებლობა.

სირცხვილი – „შიში უბადოთა საქმეთა ზედა“ – (საბა).

ქაბრი

როცა ქაბრის მეშვეობით რუმბში სითხეს ჩავასხამთ (ღვინო, არაყი, წყალი), ქაბრის დაცლის შემდეგ ისმის ბგერები „ზა-აჰ“ ან „ძააბ“. „რი“ მოსართავი მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა – **ქაბრი**. სულხან-საბა განმარტავს: ქართულად – ქაბრი, სომხურად – ზაპრი.

„ძ“ ბგერა და მასთან დაკავშირებული სიტყვები

სძე – რძე – ძე – ძუძუ – ძმა

„სძე ეწოდების ცხოველთა ძუძუთა ნადინებსა, ხოლო რძე მისსა მსგავსსა ლელვისა და რძიანასა და მისთანასა ნანვეთსა“ – საბა.

ჩვენი აზრით, სულხან-საბას არა საკმარისი განმარტებები აქვს მოცემული ამ სიტყვების შესახებ. როგორ, დედის ძუძუდან წამოსული ნადინები, რომელსაც სწოვს ძე და ასული, სძე არ არის?

როცა ჩვილი ბავშვი დედის ძუძუს სწოვს, „ძ“ ბგერა არ ისმის, ისმის მხოლოდ „სწ“ კომპლექსი. აქედან არის წარმომდგარი სიტყვები „წოვა“, „სწოვს“. იგივე ბგერები ისმის როცა ხბო ან ბატკანი სწოვს დედას.

დავაკვირდეთ წველის პროცესს: ხბო ახალი მოგებულია და დედის ძუძუდან პირველი გამონადენი რძე არ ვარგა სახმარად. იგი უნდა ჭურჭლის გარეშე ჩამოვწველოთ მიწაზე. ამ დროს ისმის „სხ“ ან „სხ“. ეს ბგერები დამახასიათებელია ნებისმიერი სითხის გადასხმისას მიწაზე. ამიტომ პირველ გამონადენს, თავისივე ბგერების მიხედვით ჰქვია „სხენი“. ბოჩოლის ჯანმრთელობისათვის კარგია პირველი ნაწოვნი სძე, ანუ სხენი.

„სხენი“ – პირველი ნაწოვნი სძე – საბა.

„გაიხსნა“ – ეს სიტყვა წარმომდგარია ამ პროცესიდან, ე. ი. სხენი გამოვიდა.

გავიდა ერთი ორი დღე და ადამიანი წველის ძროხას ხის ტაგანაში. პირველად „ძ“ ბგერა არ ისმის, ისმის ისევ „სხ“ ბგერები, მაგრამ როცა უკვე რძე გამრავლდება ტაგანში და სითხე მოიგდება ქაფს, მაშინ უკვე გარკვევით ისმის გაბმული ბგერები

„ძ“, „ძ“. აქედან წარმოსდგება სიტყვა „სძე“ – „რძე“.

წველა ხდება ძირითადად ცერისა და საჩვენებელი თითების მეშვეობით. ამ ორი თითის ძლიერი მოჭერიტა და ძუძუზე ზევიდან ქვევით **ცურვით** ხდება რძის გამოდენა. ამიტომ ჰქვია ძუძუს ზემოთა ნაწილს **ცური**. „ცური-ძუძუს ძირი“ – საბა. სავარაუდოა, რომ თითის წოდების წარმოშობა – **ცერი**, ამ პროცესთან არის დაკავშირებული. აქედან არის წარმომდგარი სიტყვა **ძუძუ – რძის** ადგილი.

ქე-ასული

დედის ძუძუს ვაჟიც წოვს და ქალიც, მაგრამ ვაჟს – ძე ეწოდება და ქალს ასული. რატომ? იმიტომ, რომ ვაჟის დაბადება ოჯახისათვის იყო დიდი სიხარული და სიამაყე. ვაჟისაგან უნდა დამდგარიყო ოჯახის ბურჯი. მარჩენალი, მამაცი, ძლიერი მებრძოლი, ოჯახისა და ქვეყნისათვის თავდადებული რაინდი, და ეს თვისებები ვაჟს რძესთან ერთად დედის ძუძუდანვე ეძლეოდა ჩვილობაში. მისთვის უხვი, ალალი და უყვედური იყო დედის რძე და მას ეწოდა – ძე.

„დედამ რა შვას ძე პირველთა, ჭირი აღარ მოიხსენებსა, ძის სიხარულით დაჰკარგავს ილაოს მსგავსსა სენებსა“.

დავით გურამიშვილი.

სწორედ რომ ძის სახარულმა შემოინახა დღემდე ქართულ ოჯახში ლხინის ერთ-ერთი განსაკუთრებული სახე – ძეობა.

ამ ლხინის დროს, ოჯახში თავს იყრიდნენ ოჯახის ახლობლები, ნათესავ-მეგობრები და ოჯახის საპატივსაცემოდ მოჰქონდათ საჩუქარი, მისართმეველი, რომელსაც ძღვენი ეწოდებოდა.

საიდან წარმოსდგა ეს სიტყვა?

ძე – ვიცით რაც არის.

ალუ – ჩვილი ბავშვის პირიდან პირველი წამოძახილის აღნიშვნელი სიტყვა.

ლუა – ჩვილი ბავშვი.

ძე-ლუ-ნი – ამ სიტყვასი „ე“ დაიკარგა და როგორც მრავალ სიტყვაში „უ“ გადაიქცა „ვ“-დ და მივიღეთ სიტყვა **ძღვენი**. „ნი“ – მოსართავი მარცვალა.

„ძღვენი, ძღვენი გასაგზავნი, გინა მისართმეველი“ – საბა.

„სიზმარში ძუძუ ნახო – ვაჟიშვილი მოგეცეს და დიდად გაიხარო“.

დანიელ წინასწარმეტყველი.

ასული – ა-სული

ოჯახს სული შეემატა. სული სიცოცხლეს ნიშნავს. ზოგადად, ცოცხალ არსებას. „ა“ – ერთ შემთხვევაში ნანილაკი, იგივეა, რაც „აჰა“. სხვა შემთხვევაში „ა“ – არის მეშველი ზმნის შეკვეცილი სახე. **ა-სული** – არის **სული**.

სავარაუდოა, რომ სიტყვების „ძალი“, „ძლიერი“, „ძია“, „ძი-ძა“, „ძალო“ წარმოშობა „ძე“-სთან არის დაკავშირებული.

ძმა – სქესით მამისნაირი, წლოვანებით, ძალღონით აგებულებით, მამაზე მცირე, ამიტომ ეს სიტყვა არის ორი სიტყვის „ძე“ და „მამა“-ს ნაერთი შემოკლებით **მამის ძე, ძე მამა – ძმა**.

და – სქესით დედისნაირი, წლოვანებით, ძალღონით, აგებულებით დედაზე მცირე და შემოკლებული ნოდება **დედა – და**.

რძალი-სიძე

ქალს, სანამ გათხოვდება, რძე არცა აქვს და არცა სჭირდება: როცა გათხოვდება ქალი, შვილის გამოსაზრდელად **რძე** აქვს კიდეც და სჭირდება კიდეც. „ლი“ მისართავი მარცვალაია. **რძე-ა-ლი, რძა-ლი**.

სიტყვა სიძე – „ძე“-სთან არის დაკავშირებული. გაურკვეველი რჩება „სი“ კომპლექსში ქართველი კაცის ჩანაფიქრი.

წყალი

თუ ჭურჭელში მყოფ წყალს ისევ წყალს დავასხამთ, ისმის ბგერა „წყ“. „ლი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა – **წყალი**.

წართობა

ეს საიდუმლო გამოცდილება მჭედელმა იცის, როგორი ცხელი უნდა იყოს გამოჭედილი იარაღი, რომ აწართოს ანუ წყალში

ჩადოს. ამ დროს ისმის ბგერა „ნრთ“. ეს ხდება ძალიან სწრაფად, წამიერად. ამ მოქმედებიდან მიიღება სიტყვა **წ რ თ ო ბ ა**.

წაბლი

წაბლი ხეც არის და მისი ნაყოფიც. როცა დრო მოუვა, შე-
მოდგომაზე ჯღა თავისით გაიხსნება, დაუბერავს პატარა ნიავი
და წაბლი წკაპა-წკუპით მოდის ძირს. ზოგი წყალში ჩავარდება
(როცა ხრამის პირზე დგას ხე), ზოგი ხმელ ფოთლებში, ზოგი
თავისივე ხმელ ფოთლებს დაეცემა და ისმის ბგერები „წ“ და
„ბ“. ეს ყველაფერი ღამე უფრო კარგად ისმის ტყეში, როცა
ფრინველებიც ჩუმად არიან და არემარეც მიწყნარებულია. „ლი“
მარცვლის მიმატებით მივიღეთ სიტყვა **წ ა ბ ლ ი**.

„წ“ გპერა და მასთან დაკავშირებული სიტყვები

„წ“ ბგერასთან დაკავშირებულია პატარა, წვეტიანი, წვერი-
ანი, წვრილი საგნების სიტყვა-სახელები.

წვიმა, **წვეთი**, **წინწკალი** – თვითონ გამოსცემს „წ“ ბგერას
წინვი – მარადმწვანე ხის წვრილი „ფოთოლი“.

ბეწვი – ერთი ღერი თმა.

წამ-წამი – ქუთუთოს **ბეწვი**

მწვერვალი – მთის **წვერი**

წერტილი – არა აქვს განზომილება (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე)

წირი – წერტილებისგან შემდგარი ხაზი (აქვს მხოლოდ სიგრძე).

წრიაპი – წვერებიანი რკინა ფეხის ტერფზე ამოსაკრავი,
მთაში და ფრიალო კლდეებზე სასიარულოდ.

წიბო – ორი სიბრტყის გადაკვეთისას მიღებული **წირი**.

წკირი, **წნელი**, **წკეპლი** – უმცირესი ჯოხები.

წერწეტი – ტანწვრილი.

წერო – წვრილი მაღალი ფეხებითა და წვრილი გრძელი კის-
რის მქონე ფრინველი.

წილი, **წანილი** – მცირე რამ საკუთვნო.

წალამი – ვაზის წვრილი ნასხლავი.

წამი, **წუთი** – დროის მცირე მონაკვეთი.

წარაფი – წვრილი მოგრძო ტყე.

წნორი – წნელივით წვრილად ჩამოშვებული შტოებიანი ხე.

წერაქვი – ლითონის წვერიანი იარაღი ქვის მოსათხრელად.
მინა – წვერიანი იარაღის ნიადაგში ჩასობისას ისმის ბგერა „წ“, „მი“ მოსართავი მარცვალაია.

წერა, – **წერილი** – დღეს არსებული ბურთულის წვერიანი კალამი წერისას ხმას არ გამოსცემს, უნინ ბატის ფრთის წვერით წერისას ეტრატი (ხბოს ტყავი) იწინეწებოდა „წ“ ბგერას გამოსცემდა. აქედან **წერა**, ნაწერი, **წერილი**. **წიგნი** – სავარაუდოა, რომ აქ „წი“ მარცვალაი ნარიანი მრავლობითია. საძიებელია „იგ“ წყვილის ადრინდელი მნიშვნელობა.

ასეთია „წ“ ბგერა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი სიტყვა. საჭიროა შევნიშნოთ, რომ ეს აზრი გონიერმა ქართველმა ანბანშიც გადაიტანა. ქართულ ანბანში (მხედრული) ერთადერთი ასოა, რომელიც წვერიანი ფუძით გამოისახება „წ“.

ჭახ-ჭახი-ჭიკჭიკი

ფრინველების – შაშვის (ჭახჭახი) და მეცხლის (ჭიკჭიკი) პირიდან მკაფიოდ გამოცემული ბგერებია.

ჭადრაკი

ჭადრაკი ინდოეთში წარმოიშვა. მას ჩატურანგა (ოთხთა თამაში) ერქვა ინდურ ენაზე. ეს სიტყვა ბგერათა მსგავსების ბაზაზე არის შექმნილი.

ჩატურანგა – **ჭ ა დ რ ა კ ი**.

ჭია, ჭუა, ჭირი

სავარაუდოა, რომ ჭია და ჭუა მავნე მწერებად მოიაზრებოდა, რომლებსგანაც არის წამომდგარი სიტყვა **ჭ ი რ ი**.

ჭილიზი, ჭანჭიკი, ჭინჭილაკი

ურმის ღერძში თვლის სამაგრი მოწყობილობაა. ღერძი გახ-

ვრეტილია და მას ქილიბი ჰქვია. შიგ გაყრილი აქვს რკინა, რომ თვალი არ გასძვრეს. ამ რკინას **ჭ ა ნ ქ ი კ ი – ქ ი ნ ქ ი ლ ა კ ი** ჰქვია მოძრაობის დროს „ჭ“ ბგერების ხშირი გამოცემის გამო.

ჭყანტი

მუდმივად სველი ნიადაგია ველზე, მინდორში. ქილი ბალახი ამოდის შიგ. ზევიდან თითქმის არ ეტყობა, რომ სველია, მაგრამ როგორც კი შევალთ შიგ, მაშინვე ფეხი ჩავარდება და გამოსცემს ბგერებს „ჭ“, „ყ“, „ტ“. აქედან მიიღება მისი სახელი **ჭ ყ ა ნ ტ ი**.

ჭყოპი, ჭყაპი

სველი თოვლია, წვიმიანი. სიარულის დროს სისველის გამო ისმის ბგერები „ჭყაპ“, „ჭყოპ“ – ვაჭყაპუნებთ. აქედან მოდის სიტყვები „ჭ ყ ო პ ი“, „ჭ ყ ა პ ი“.

ხსენი-გახსნა

ხსენი იგივე რძე არის ქალის ძუძუშიც და ძროხის ძუძუშიც. ეს არის პირველად გამონადენი სითხე და როდესაც ის გამოიწოვება, ე. ი. პირველი სითხე გამოვა, ვიტყვით გაი-ხს-ნა, ე. ი. ხსენი გამოვიდა. ამ სიტყვამ ზოგადი მნიშვნელობა მიიღო შემდეგში და ვიტყვით – კარი გაიხსნა, საიდუმლო გაიხსნა.

ხრალი

ვენახის სარზე ასაკრავად ხმარობდნენ უნინ. თითის სისხო ლაფნის ტოტებს მოჭრიან, ქერქს , გა**ხრ**ალავენ და ამ დროს ისმის ბგერა „**ხრ**“. ეს ხდება გაზაფხულზე და გვიან ზაფხულში, როცა ლაფნის ხეში წყალი კარგად არის ჩამდგარი. „ლი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **ხ რ ა ლ ი**.

ხაპი-ხაპირი

ხაპი ერთნაირი ჯიშის გოგრაა, ყუნწი გრძელი აქვს და ღრუ.

ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად ხმარობენ. გოგრას საგანგებოდ უკეთებენ ნახვრეტს, საიდანაც ღვინო უნდა შევიდეს შიგ. ხაპიდან ჭურჭელში გადმოსხმის დროს, ღრუ ტარიდან გადმოდის ღვინო, თან მოაყოლებს ჰაერს და გამოსცემს ბგერას „ხა“ და „პ“. აქედან ეწოდა მას **ხაპი**. ქვევრის ძირში დარჩენილ ღვინოს იღებენ სპილენძის ჯამით, რომელსაც წვრილი, გრძელი ჯოხები აქვს ჩაბმული და მას **ხაპირი** ჰქვია.

ხმალი

ხმალი საბრძოლო იარაღი იყო და ამ იარაღისადმი ყველაზე დიდი მოთხოვნა იყო მისი სიმაგრე, სიმტკიცე, სისალე, დრეკადობა, ფორმა და გნებავთ სილამაზეც მისი. კარგი იარაღი ის იყო, რომელიც გაფლეთავდა ძვალსა და რკინასაც. ასეთი იარაღის შექმნის საიდუმლო ყველამ არ იცოდა, იცოდა მხოლოდ იშვიათმა, მეტად დახელოვნებულმა და გამოცდილმა მჭედელმა.

ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, თანამედროვე პირობებში, ლითონში ხელოვნურად შეყავთ ნახშირბადი, ამ პროცესს ცემენტაცია ეწოდება. ტექნიკური თვალსაზრისით, ლითონის სისალეს ამოწმებენ სხვადასხვა მეთოდებით (ბრიბელის მეთოდი, როკველის მეთოდი, ვილერსის მეთოდი).

არის კიდევ ლითონის სიმაგრის გასაგები სხვა ხერხებიც; ელექტრო სალესავზე სხვადასხვა სიმაგრის ლითონის მიდებისას სხვადასხვა ფერის ნაპერწკლები გამოიფრქვევა (ლურჯი, წითელი, ნარიჯისფერი...) გამოცდილმა მელითონემ ნაპერწკლის ფერის მიხედვით იცის უკვე ლითონის სიმაგრე. ლითონის სიმაგრეზე გამოცდის ასეთი საშუალებები წინათ ხომ არ იყო. იარაღის ხარისხის გამოცნობის ერთ-ერთი საიდუმლო იყო მისი **ხმა**. სხვადასხვანაირად დამუშავებული, სხვადასხვა ხარისხის იარაღი სხვადასხვა **ხმას** გამოსცემს. დღესაც შეხვდებით ასეთ გამოთქმებს ხანჯალზე: „ყრუი რკინაა, ლესვა არ ეყურებაო“.

ამ ნაშრომში ხმა თავის ადგილზეა განმარტებული. „**ლ**“ მოსართავი მარცვალაია.

ხმალი.

სორსოქელა

ზამთარში, თოვლის მოსვლის წინ ხან არის რომ წვრილ, გაყინულ მარცვლებს წამოაყრის და თუ მინა მშრალი ან გაყინული დახვდა, ისმის ბგერები „ხ“ და „შ“. აქედან არის მიღებული ეს სიტყვა – **ხორხოქელა**.

ჯარი

ჯარი – მრავალი კაცი (საბა).

მართალია, მაგრამ ჯარის მნიშვნელობა ბრძოლის ველიდან უნდა იყოს წამოსული, სადაც იარაღის ჯახა-ჯუხიდან და მეომართა ღრიალიდან გამოისმის „ჯააა“ – გაბმული ბგერები. აქედან „რი“ მარცვლის მიმატებით მივიღეთ **ჯარი**.

ჯვარი

თავიდან ასომთავრულ ანბანში „ჯ“ ასო იყო ამ ასოს მიმსგავსებული ფორმის, ჯვარს ჰგავდა. დღეს მხედრულში გვაქვს ჯ-ს სახით, დახრილ ჯვარსა ჰგავს. ხომ შეიძლება ეს მსგავსება არ იყოს შემთხვევითი? ხომ შეიძლება რომ ქართულ ანბანსაც ჰქონდეს ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობი საიდუმლო, რომლის მიხედვითაც, სრულიად კეთილი განზრავხით დაემსგავსა ქართული ანბანის ერთერთი ყველაზე ულამაზესი ასო „ჯ“ თავისი შინაარსით მრავლისმომცველ ნივთიერ ჯვარს?

ადამიანის ცხოვრება დღითიდღე უმჯობესდებოდა, წინ მიდიოდა. ადამიანმა შექმნა შრომის იარაღები, ისწავლა მინათმოქმედება, აკვირდებოდა ბუნების მოვლენებს წელიწადის დროებთან მიმართებაში, აკვირდებოდა ციურ მოვლენებს და გზადაგზა ყველაფერს თავის სახელს არქმევდა.

ადამიანთა მოდგმისათვის სამეტყველო ენა თუ მიწის წიაღში გატრუნული ზოდები იყო, გონიერი ქართველი ამ განძს ყველაზე ბუნებრივი გზით დაეუფლა. ქართული ენა წარმოიშვა ფრინველების, ცხოველების პირიდან წამოსული ბგერების მიხედვით.

ქართული ენა წარმოიშვა სანადიროში, მთა-იალალებზე, ველ-მინდვრებში, საოჯახო, სამეურნეო საქმიანობაში, სახნავ-სათესში, სამწყემსო-სანახიროში, სამჭედლოში, წისქვილში, ხატ-სალოცავში.

ქართული ენა წარმოიშვა ადამიანის პირიდან წამოსული ბგერების მიხედვით, წარმოიშვა ქვევრ-მარანში, ჭირსა და ლხინში, დარსა და ავდარში, ბრძოლის ველზე, სახერხ-სახელოსნოებში, სამკალ-სათიბებში, სახლებისა და ციხე-ტაძრების მშენებლობაში, შორეულ მანძილზე ხნობით მგზავრობა-ვაჭრობაში...

ასე შეიქმნა სიტყვები, სიტყვებისაგან წინადადებები, აზრები და ადამიანთა ურთიერთობებს ლამაზი, შინაარსიანი და შემოქმედებითი ხასიათი ეძლეოდა.

ბანვიხილოთ რამდენიმე წინადადება

1. ადამიანმა გალესილი ნაჯახით ხე მოჭრა

ამ წინადადებაში თითოეული სიტყვა ხმისმიერია, განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

ხე

ხესთან მრავალი სახის ურთიერთობაში (ეხება, ეხერხება, იხერხება) წარმოიქმნება აქტიური ბგერა „ხ“. სრულიად კანონზომიერად, მოსართავი მარცვლის მიუმატებლად ადამიანმა მას უწოდა ხე. ამ უმარტივეს სიტყვასთან არის დაკავშირებული ადამიანის ცხოვრება მისი წარმოშობიდან დღემდე.

ნაჯახი

ეს სიტყვა წარმოშობილია მისი ურთიერთობისას ხესთან გამოცემული ბგერების მიხედვით: „ჯახ“. „უჯახუნებს“.

ლესვა-გალესილი

იმისათვის, რომ ნაჯახს ბასრი პირი ჰქონდეს, უნდა გაილეოს. ქვის (სალესავის) და ნაჯახის ერთმანეთთან გასმის შედეგად წარმოიშვება ბგერები „ლ“ და „ს“. აქედან მოდის სიტყვები: ლესვა, გალესილი, სალესავი და სხვა.

მოჭრა

მკვლევარი კაბინეტიდან ხის მოჭრას ვერანაირად ვერ გაიგებს და ვერც ამ სიტყვის საიდუმლოს ამოხსნის, თუ თითონ არ ნახა ეს საქმიანობა.

საქმე იმაშია, რომ ადამიანმა კარგად იცის, ხე საითაც არის გადახრილი, იქიდან უნდა შეაჭრას ნაწილი, ნაწილი კი მის მეორე, პარალელური მხრიდან, ზემოდან, რომ ხის ნაქცევა გაუადვილდეს. ამიტომ ადამიანი ხეს მთლიანად არა სჭრის ნაჯახით. ხე თავისი სიმძიმის ძალით წაიქცევა. ამ დროს ხის მოუჭრელი ნაწილი ძარღვებს რომ ვეძახით, გამოსცემს ბგერებს – „ჭრრრ“ და ხე წაიქცევა. ამ მოქმედებისგან წარმოდგა სიტყვა „მოჭრა“ ე. ი. „ჭრრრ“ გააკეთაო.

აქედან არის წარმომდგარი ზოგადი სიტყვა – **ნ ა ქ ე რ ი**. ეს იქნება ყველის ნაჭერი, პურის ნაჭერი, აბრეშუმის ნაჭერი, გადაჭრილი ვენახები, ჩამოჭრილი ტერიტორიები დენის ჩაჭრა და სხვა მრავალი სიტყვა.

2. ლაყე კვერცხიდან კრუხი წინილს ვერ გამოჩეკს.

ლაყე

თუ ასეთ კვერცხს ყურთან ახლოს მივიტანთ და შევანჯღრევთ, გავიგებთ ბგერას „ლაყ“. ასეთ კვერცხს **ლ ა ყ ე** უწოდა ადამიანმა. ამ სიტყვიდან არის წამოსული სიტყვა „ლაღე“ „დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში ლაღე იყო“ – ხალხური ანდაზა.

კვერცხი

„კ“ არის აქტიური ასო-ბგერა და ამ ბგერაზე ბევრი ქართული სიტყვა არის აგებული, როდესაც კვერცხებს ერთმანეთზე ვურტყამთ, ვაკაკუნებთ, გამოისმის ბგერა „კ“, როცა კვერცხი გატყდება და მაინც ვურტყამთ ისმის „ცხ“ ბგერა. აქედან მიიღება სიტყვა **კ ვ ე რ ც ხ ი**.

ჩეკვა – ჩეკა

ეს ბგერები წინილის ნისკარტით კვერცხის შიგა ნა-

წილზე კაკუნის ხმაც არის და როცა ადამიანი სარს ჩეკავს, წვერს უთლის, მაშინაც ისმის „ჩ“ და „კ“ ბგერა. ეს ისმის უფრო მეტად მაშინ, როცა ნაჯახს ტარი აქვს მოლაყებული.

3. ყვავმა ჰაერში პირით კაკალი ჩამოაგდო, ქვაზე გატეხა და შეჭამა.

ჰაერი

თუ პირს გავაღებთ და ვისუნთქებთ ჩვეულებრივ, ფილტვებში ჰაერის ჩასვლა-ამოსვლის დროს გარკვევით წარმოიქმნება ბგერა – „ჰაე“. მიუხედავად ამისა, მისარტავი „რი“ მარცვალის და მივიღეთ მშვენიერი სიტყვა **ჰ ა ე რ ი**. დიდი ქართველი ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა ამ სიტყვის შესახებ წერს: „ჰაე“-თი დაწყებული სიტყვა ქართულში არა გვაქვს, ჰაერი ნახესხები სიტყვააო. მიუხედავად მისი დიდი ავტორიტეტისა, ვერაფრით ვერ დავეთანხმები.

კაკალი

თუ ორ კაკალს ერთმანეთზე შემოვკრავთ, გავიგონებთ ბგერებს „კა, კა“. მისარტავი „ლი“ მარცვლის მიმატებით მიიღება სიტყვა **კ ა კ ა ლ ი**. კირკიტების შემოკვრით მიიღება „კი, კი“ ბგერები, იმიტომ, რომ მასში ნიგოზი ცოტაა და ნაჭუჭი აქვს სქელი. აქედან – **კირკიტი**.

გდება-ჩამოაგდო

მძიმე საგნის (ხის, ქვის, კუნძის) მიწაზე დაცემისას ისმის ბგერა „გდ“. ამ ბგერის მიხედვით წარმოსდგა სიტყვები: **გ დ ე ბ ა, გა და ა ა გ დ ო, ჩ ა მ ო ა გ დ ო**.

ტეხვა-გატეხა

ეს სიტყვა „ტ“ და „ხ“ ბგერებიდან მოდის, რომელიც ხის ნარმის გატეხვიდან გამოცემული ბგერებია. ფიციარი რომ ჩატყ-

დება „ტ“ და „ხ“ ბგერებს გამოსცემს. ასევეა ხის ხმელი ტოტი. ამ სიტყვამ ზოგადი მნიშვნელობა მიიღო იქაც, სადაც „ტ“ და „ხ“ ბგერები არ გამოისმის. თავი **გ ა უ ტ ე ხ ე ს**, სახელი **გ ა უ ტ ე ხ ე ს**.

ქვა

ქვა ზოგადი სახელია ქვებისა. ქოჭყა – „ჭ“ და „ყ“ ბგერებს გამოსცემს. ლორღი – „ღ“ ბგერებს გამოსცემს გადაყრისას, კენჭი – „კ“ და „ჭ“ ბგერებს გამოსცემს.

ქვის ქვაზე მოხვედრისას „ქ“ ბგერა ისმის, გააჩნია ქვის სიდიდესა და სიმაგრეს.

ჭამა-შეჭამა

საჭმლის ჭამის დროს ადამიანს პირიდან „ჭ“ ბგერა გამოისმის. უხერხული განმარტებაა, მაგრამ ეს ბგერა ლორის პირიდანაც ისმის, როცა **ჭამს – აჭლაპუბებს**. არის გამოთქმა: „ჩვენი ჭამა ჭაპი-ჭუპია და სიარული ფაჩი-ფუჩიო“. „ჭ ა მ ა“, „ს ა ჭ მ ე ლ ი“ – „ჭ“ ბგერადან მოდის. „შეჭამა“ აქ ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაა, თორემ ყვაფი ნიგოზს ისე გადაყლაპავს, რომ იქ „ჭ“-ს მსგავსი არაფერი ისმის.

გული, გონება და სული

ადამიანის სასიცოცხლო ნაწილებიდან უმთავრესი რაც არის, ესენია: გული, გონება და სული. გული მკერდში აქვს ადამიანს, გონება – თავში, სული?

ძარღვებში სისხლის მიმოქცევა გულის მუშაობის მეშვეობით ხდება. მუშაობის დროს გამოიყოფა ხმა, რომელსაც ჩვეულებრივ პირობებში ვერ ვიგებთ, რადგან გული მკერდშია და მისი ხმა დახშულია. ჩვენი გულის ხმას ისე ადვილად ვერ გავიგებთ, როგორც სხვისას. სასურველია ისეთი ადამიანის მკერდზე მიადო თავი, რომელსაც ძალიან უყვარხართ. ამ დროს ისმის გულის ხმა **„გუ, გუ, გუ“**. გული ძგერს. გონიერმა ქართველმა „ლი“ მოსართავი მარცვლის მიმატებით მოუძებნა მას სახელი – **გ უ ლ ი**.

გონება გონი-დან მოდის, როგორც ქონება ქონი-დან. მისი

სინონიმებია: ჭკუა, აზრი, აზროვნების უნარი, ტვინი. გონება აზროვნებაა, მთელი სხეულის სამართავი იარაღი. ქართველებს გვაქვს სამშენებლო ხელსაწყო-იარაღი გონიო. გონიო გამო-სახულია სვეტიცხოვლის ტაძარზე, როგორც უძველესი ცივილიზაციის აღმშენებლობის სიმბოლო. იგი წარმოადგენს ორი გვერდით შედგენილ სწორ (მართ) კუთხეს. „გონია“ ბერძნულად კუთხეს ნიშნავს. გონიოს გარეშე შეუძლებელი იყო სახლებისა და ნაგებობების მშენებლობა უძველეს დროშიც და ახლაც.

არსებობს თუა არა შემთხვევითი თუ რაიმე კანონზომიერი კავშირი ბერძნულ „გონია“ – კუთხესა და ქართულ გონიო – გონებას შორის, ნამდვილად საინტერესოა და ენათმეცნიერების საქმეა მათი კვლევა.

ღმერთმა გონებას მისცა ადამიანის სხეულში ყველაზე მაღალი ადგილსამყოფელი (თავი), უზრუნველყო მისი უსაფრთხოება შესაძლო გარსაცმით (ქალა), მიუახლოვა საინფორმაციო საშუალებები (თვალი, ყური, ცხვირი, პირი), შეამკო სილამაზით (დალალი, ქოჩორი) და მისცა მმართველობის უფლება მთელ სხეულზე.

გონებას შეუძლია უბრძანოს ფეხებს მოძრაობა (სიარული, სირბილი, გაჩერება), ასევე შეუძლია უბრძანოს ხელებს და თავის სურვილისამებრ აამოქმედოს ან გააჩეროს, უბრძანოს ცხვირს და არ იყნოსოს, ყურზე ხელი აიფაროს და არა გაიგონოს -რა, ასევე დროებით გააჩეროს ფილტვების სუნთქვა, მაგრამ ერთი გამონაკლისია – გული. გულს ვერ გააჩერებს დროებითაც კი, რადგან იგი გამოინვევს მთელი სხეულის გაჩერებას – სიკვდილს. გულს თავისი საქმე აქვს. გულის მეშვეობით ხდება სისხლის მოძრაობა მთელს სხეულში და მაშასადამე – სიცოცხლე. გონება უფრთხილდება გულს რომ არ გადაიღალოს, მისი ზედმეტი გადაღლა-გადატვირთვა იწვევს გულის გასკდომას – სიკვდილს. ასე ხდება ცხოველებშიც.

არ არსებობს ბოროტი გული, გული მხოლოდ კეთილია და ემსახურება ადამიანს, მთელი სხეულის სიცოცხლეს. არსებობს ბოროტი გონება, უგუნური, უსწავლელი, უწვრთნელი გონება, რომელიც ჩაგრავს და ტვირთავს გულს ზედმეტი შრომით, ზედმეტი ალკოჰოლის მიღებით, ზედმეტი ნიკოტინით, ნარკოტიკებით, სიცოცხლეს ასრულებს ჩამოხრჩობით, წყალში დახრჩობით, თვითმკვლევლობით. ეს ყველაფერი ბოროტი გონების

ბრალია და არა გულის.

გულის ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა ჟანგბადი, რომელიც უხვად არის ჰაერში და გულს მიეწოდება ფილტვების მეშვეობით. **სული** და **ჰაერი** – ერთი და იგივეა, მაგრამ რატომ ჰქვია მას სული – ვნახოთ.

მომაკვდავი ადამიანი სულს ებრძვის, სული ამოუვიდა, მოკვდა, დაამთავრა სიცოცხლე. როდესაც ადამიანი კვდება, თავზე ადგანან შინაურები, ახლობლები და ხედავენ, გრძნობენ, განიცდიან, ესმით როგორ ამოდის მომაკვდავი ადამიანის პირიდან ასო-ბგერა „სუ“, ეს იმიტომ ხდება, რომ მომაკვდავ ადამიანს უძღურებისაგან არ შეუძლია პირი დიდად გახსნას და ისუნთქოს. პირი მოკუმული აქვს, ოდნავ გასხნილი, რაც უკვე სიკვდილის გარდაუვალობის ნიშანია და ისმის ბგერა „სუ“. მოსართავი „ლი“ მარცვლის მიმატებით გონიერმა ქართველმა მას უწოდა „სული“.

სული ამო**ხ**და. ამო-**ხ**-და. სიკვდილის ბოლო წუთებში, ჰაერის უკმარისობის გამო, უძღურებისგან ადამიანი ყელში **ხ**-რიალებს, სასუნთქი გზა ეკეტება და კვდება. „სიბნელე მოიპარება, სინათლეს სული ამო**ჰ**ხდა“ – ვაჟა.

„რამდენი რამ უნდოდა ეთქვა (კარახელს – ი.პ.) სიცოცხლის დროს, სულის დაღვევის ჟამს, მაგრამ სნეულებამ არ მისცა ნება და ყველა სათქმელი, სანუხარი, რაც რამ ჰქონდა, საფლავში წაიღო, თან გაიყოლა“. ვაჟა-ფშაველა „ფშაველი და მისი წუთისოფელი“.

აქედან, ს უ ლ ი – სიცოცხლეს ნიშნავს, ცოცხალ არსებას. ამდენი **სული** ცხვარი, ამდენი **სული** ძროხა და სხვა. ასეთია სულის ფიზიკური განმარტება. რაც შეეხება სულის რელიგიურ დატვირთვას, რომ სული არის რალაც არამატერიალური, თავისთავადი, უკვდავი ძალა, რომელიც სხეულის სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს არსებობას იმქვეყნიურ სამყაროში (პლატონი), რომ სული მოკვდავია (ჰეგელი), უამრავი ერთმანეთის საპირისპირო აზრებია დაგროვილი კაცობრიობის მოდგმიდან დღემდე და მათ განმარტებას მეტად ფაქიზი მიდგომა სჭირდება.

სული არის ადამიანის სიცოცხლის მიმნიჭებელი ჰაერი, გულთან და გონებასთან ერთად.

გველი – გუელი

გველი მართლაც საიდუმლოებით მოცული ბიბლიური არსებაა. ბავშვობიდან გველებში ვარ გაზრდილი, ბევრი მოხოცია, შიშველი ფეხიც დამიდგამს უნებლიედ და არ უკბენია, ფეხზე ამცოცებია წყალში და არ უკბენია, ხელითაც დამიჭერია კუდი, მაგრამ მე იმისი რაიმე ხმა ან სისინი არ გამიგია. რა მოსაზრებით დაარქვა მას ქართველმა გველი არ ვიცი, მაგრამ ჩემი მოსაზრება ასეთია:

გამოვაკლოთ მოსართავი – „ლი“ მარცვალი ამ სიტყვას და დაგვრჩება **„გვე“**. ჩვენს დროში **გვე** ბგერა არაფერს არ ნიშნავს. შევცვალოთ **გ** ბგერა **ქ** ბგერით, მივიღებთ **„ქვე“**-ს, რაც ნიშნავს ქვევით, ქვე, ძირს.

საბას განმარტებით – **ქუენარმავალი** – მინაზე მავალი ყოველი ცხოველი.

ქვენარმძრომელი – გველნი და ჭიანი... და მსგავსნი მათნი.

ქვენარმავალი – ეს სიტყვა იხმარება დღეს გველებისათვის.

ქვე-ნარმავალი – შემოკლებით **ქვე**-ლი ან **გვე**-ლი. „ქ“ და „გ“ ბგერების მონაცვლეობა იმიტომაც მაქვს დაშვებული, რომ ორივე ბგერა პირში ერთსა და იმავე ადგილზე და თითქმის შეუძინეველი განხვავებით წარმოითქმება, როგორც უნინ, „ზროხა“ და დღეს „ძროხა“. „ზ“ და „ძ“ ბგერების წარმოშობა ენის წვერით. მაგრამ **„ქველი“** ქართულში გვაქვს ზედსართავი სახელის მნიშვნელობით. **„ქველი“** – კეთილის მოქმედი (ფარსმან ქველი).

გადავხედოთ ბიბლიას: გველს რომ არ ეთქვა ევასთვის ვაშლის ნაყოფის საიდუმლო, მაშინ გამოდის, რომ ედემის ბაღში უნდა ეცხოვრათ ადამსა და ევას განუსაზღვრელი დროით, როგორც ღმერთს უნდოდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ **„ადამი“** და **„ედემი“** მსგავსი სიტყვებია. **„ედემი“** – საბას განმარტებით – „ესე გამოითარგმნების შვება, გინა ქვეყანა ნითელი“.

თუკი გველი არ **„შეაცდენდა“** ევას ღმერთის სასარგებლოდ და არ გაანდობდა მას ვაშლის ნაყოფის საიდუმლოს, მაშინ არ წარმოიშვებოდა კაცობრიობა, არ ვიქნებოდით ჩვენ ამდენი პასუხგაუცემელი კითხვებით...

გამოდის, არსება გველი ყოფილა გაცილებით ბევრის მცოდნე და კაცობრიობისთვის სასარგებლო და კეთილისმყოფელი, სიბრ-

ძნითა და სიკეთით სავსე არსება, ვიდრე დღემდე გვეგონა. გველი ადამიანს უფრო ხოდა, ემალებოდა და თუ უნებლიედ ფეხს დაადგამდა ან სხვა რამ მიზეზით გაამწარებდა, გაალიზიანებდა, გველი უკბენდა, მოშხამავდა და ადამიანი კვდებოდა. აბა, რა უნდა ექნა გველს? ფეხი მას არა აქვს და ხელი. თანაც ყველა გველი ხომ შხამიანი არ არის. დღეს გველის ნაკბენით აღარავინ კვდება, რადგან გველის შხამითვე შენელებული ამპულებით მკურნალობენ მის ნაკბენს. გველის შხამითვე აკეთებენ ათასნაირ პრეპარატებს ადამიანთა სამკურნალოდ. ამიტომ შემთხვევითი არ არის, ჭურჭელში გველის პირიდან წამოსული შხამის გამოსახულება სამკურნალო იდეის სიმბოლოდ გამოიყენა სამედიცინო მეცნიერებამ.

რაც შეეხება გველის სიბრძნეს: ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ მიხედვით, ხევსური მინდია ტყვედ ჩაუვარდება ქაჯებს. ქაჯებთან ცხოვრებამ ისე დაალონა მინდია, იძულებული გახდა გველის ხორცი ეჭამა, რითაც ქაჯები იკვებებოდნენ, თავის მოკვლა უნდოდა. ამის შემდეგ მინდია ბრძენ კაცად გადაიქცა; მცენარეების ენა ისწავლა. მისი აზრით ყველა მცენარეს აქვს ენა და ყველა მცენარე თვითონ იძახის რისი სატკივრის ნამალია. ამ სიბრძნის შედეგი არის მისი გაეჭიმება, ჩიტების ენის ცოდნა და მხედართმთავრული ნიჭი და ეს საიდუმლო მინდიამ გველის ხორცის ჭამის შემდეგ შეიძინა.

იესო მიმართავს თავის მოციქულებს „იყავით გონიერნი როგორც გველნი და უმანკონი, როგორც მტრედნი“. მათე 10.16 [გველი სიბრძნის სიმბოლოა].

ღმერთი

ღმერთი. ამ სიტყვის მეორე ნაწილი – „ერთი“ – ყველასათვის გასაგებია. რა არის წყვილი „ღმ“ – ? თანამედროვე ქართველი მწერალი, ვასო კუკუნაშვილი, თავის ერთ-ერთ ნაშრომში – „ქართული ადათის საფუძვლები“, სიტყვა ღმერთის კვლევისას წერს:

„სხვა ამბავია თავსართი „ღმ“-ს რაობა; ჩვენის აზრით თავისი წარმომავლობით იგი მომდინარეობს სიტყვიდან „ღრმა“ ანუ „ღმა“, (როგორც დღემდე კახეთში სოფლის მოსახლეობა ხმარობს, ვთქვათ, წყლის სიღრმის აღსანიხნავად „აქ ძაან ღმა არი“) და წარმოადგენს განსაზღვრებას სიტყვისა „ერთი“, რო-

მელიც თავის მხრივ, ფილოსოფიურ კონტექსტში გააზრებისას თავისი შინაარსით გულისხმობს სიღრმეს იმ ერთისა, რომელიც მოიცავს ყოველივე არსებულს სივრცეშიც და დროშიც. ასე, რომ ჩვენი წარმოდგენით, ტერმინი „ღმერთი“ შეგვიძლია გავი-აზროთ, როგორც „ღმა-ერთი“ ანუ „ღრმა-ერთი“, ანუ ყოვლის მომცველი ერთის, ანუ არსის სიღრმე, ანუ არსი თავისივე თავის სიღრმეში“.

რაიმე სიტყვის კვლევისას, ჩვენი ვალია ანგარიში გავუწიოთ და პატივი ვცეთ სხვის აზრს. სწორედ ასეთმა კვლევამ უნდა მიგვიყვანოს იმ პირველი ქართველის აზროვნებასთან, რომელ-მაც შემთხვევით არ შეარჩია სიტყვა „ღმერთი“, რომლის სი-ნონიმებია უფალი, უზენაესი, ზეციერი, გამჩენი და სხვა.

უფალი სიტყვა მოდის „უფ“ წყვილიდან, უფ – რო დიდი, უფ -როსი, დედ-უფ-ალი, მე-უფ-ე. „უფ“ აღმატებულობის გამომ-ხატველი წყვილია და „ლი“ – მარცვლის მიმატებით მივიღეთ სიტყვა უფალი. უფალი – ღმერთი, მასზე აღმატებული ხომ არავინ არ არის.

სიტყვა „ღმერთის“ განსაზღვრისათვის მიმაჩნია, რომ „ღმ“ წყვილი უნდა განვიხილოთ როგორც „ხმ“ წყვილის ცვლილება დროში.

ქართულ სიტყვებში ისიც შეინიშნება, რომ სიტყვაში რომე-ლიმე ბგერა, ხმოვანი ან თანხმოვანი, ზოგან მთლად გაქრება, ზოგან ჩაემატება, ზოგან ადგილს იცვლის, რომელიმე ასო-ბგე-რის წინ ჩაჯდება, ზოგჯერ ასო-ბგერის შემდეგ. ასევეა ღმერ-თის შემთხვევაშიც. თუ დავუშვებთ, რომ „ღ“-ს მაგიერ იყო „ხ“ ბგერა, მაშინ მივიღებთ სიტყვას „ხმერთი“. დღეს გვაქვს ქარ-თული სიტყვა – მამაკაცის სახელი ხვთისო. გვარები – ხვთისი-აშვილი, ხვთისაურიშვილი, ხვთის მაღლი. იწერება „ღ“ და „ხ“-ს ვამბობთ. „ხ“ და „ღ“ ბგერები ხორხში ერთნაირი წარმოსათქ-მელება მცირეოდენი განსხვავებით. ამგვარი გააზრებით მივე-დით იქამდე, რომ პირველად იყო სიტყვა „ხმა ერთი“ ამის და-მადასტურებელი მაგალითია ჩვენამდე მოსული გამოთქმა „ხმა ხვთისა და ხმა ერისა“. ერიც ვიცით რაც არის და მისი ხმაც, მაგრამ რა არის „ხმა ხვთისა“?

თუ ფრინველების ხმები კარგად იცი, კარგად ცნობ მათ, მაშინ რომც ვერ ხედავდე ფრინველს, როცა დაიხმაურებს, მა-

შინვე გენიშნება, რომ ეს ფრინველი ოფოფია, გვრიტია, ჩხიკვია, ქათამია, თუ რა ფრინველია, რადგან მათ აქვთ ყველას თავ-თავისი ხმა-ერთი.

ასევე, თუ ცხოველი დაიხმაურებს, რომც ვერ ხედავდე, ხმაზე მიხედვით ის ღორია, ცხენია, ძროხაა, ძაღლია, ტურაა თუ რა ცხოველია, რადგან მათ აქვთ ყველას თავ-თავისი ხმა-ერთი.

ამათგან განსხვავებით ადამიანებში არა ხდება ასე. თუ კარგად იცნობ ადამიანს, მეგობარს, ნათესავს, მეზობელს, თანამშრომელს და სხვ., მაშინ რომც ვერ ხედავდე, როცა დაილაპარაკებს, მესხიერებაში ჩარჩენილი მისი ხმის მიხედვით გაარჩევ ეს ადამიანი პეტრეა, პავლეა, ივანეა თუ სხვა, რადგან ყველა ადამიანს აქვს თავისი ხმა-ერთი. იშვიათია, რომ ადამიანების ხმები ერთმანეთს ჰგავდეს, უფრო იშვიათია, რომ მათი ხმები ერთმანეთს ემთხვეოდეს.

როდესაც ჩვენს დაუნახავად ავტომანქანები ხმაურობენ, მოძრაობენ, შეუძლებელია მათი ხმის მიხედვით გაარჩიო ეს მანქანა „ოპელი“, „ფორდია“, „მერსედესია“, „სუძუკია“, „სიტროენია“ თუ რომელიმე სხვაა. ეს იმიტომ ხდება, რომ კონსტრუქტორი ყოველთვის ცდილობს იმას, რომ რაც შეიძლება ნაკლები ხმაურით მოხდეს ძრავიდან მაყურის მეშვეობით ნამწვი აირების გამოდევნა და ამას აღწევენ კიდევ. მრავალ მანქანას ერთნაირი ხმა აქვს. ამიტომ ხმის მიხედვით, დანახვის გარეშე, შეუძლებელია, მანქანის მარკის ამოცნობა, რადგან მანქანა შექმნა ადამიანმა და არა ღმერთმა.

ხმა-ერთი ღმერთი.

ღმერთი ერთია ქვეყანაზე – საქვეყნოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა!

არსებობს თუ არა უფლის **ხმა** ერთი? არსებობს თუ არა უფალი და აქვს თუ არა მას **ხმა**? და თუ აქვს მას **ხმა**, მაშინ რატომ არ აღწევს ჩვენამდე ისეთი ფიზიკური სიდიდით, როგორიც სხვა ხმებია, რომლებსაც ყურით აღვიქვამთ? რატომ არის ღმერთი ჭეშმარიტი? რამდენად თანმიმდევრულია ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენი მსჯელობა ღმერთის შესახებ? რამდენი კითხვა ანუხებს ადამიანს, დიდსა თუ პატარას, მორწმუნესა და ურწმუნოს!

უფლის ხმა – ეს ისეთი სიდიდეა, რომელიც არ შეიძლება ყურით გაიგონო, იგი უნდა იგრძნო გულით და გონებით შეიც-

ნო. უფლის ხმა იდუმალი ხმაა. უფლის ხმას ვერ იგრძნობს მოკვდავი, თუ მას არ გაუვლია დიდი განსაცდელი. ვერ ვისხენებ სახელს და გვარს რუსი ქალისა, რომელიც მუშაობდა კოშკურა ამწეზე და მოხვდა მაღალი ძაბვის ქვეშ. რამდენიმე დღე ეს ქალი მკვდარი ეგონათ. გაკვეთისას მისი ორგანიზმიდან ითქრიალა სისხლმა – ქალი ცოცხალი იყო, სასწაულად გადარჩენილი. ამ ქალმა შეიძინა დიდი ნიჭი შეუიარაღებელი თვალით დაენახა რა ხდებოდა ადამიანის ორგანიზმში. რენტგენის სხივებზე ბევრად უკეთესად აშუქებდა მას. ამის შემდეგ ქალმა მიიღო სამედიცინო განათლება და სვამდა უზუსტეს დიაგნოზებს. ბევრი ავადმყოფი განკურნა მან თავის სიცოცხლეში.

კიდევ ერთი მაგალითი: სახელგანთქმული წინასწარმეტყველი ბულგარელი ქალის – ვანგას ფენომენი, რომელსაც ზებუნებრივმა ძალებმა მიანიჭეს ურთიერთქმედების შესაძლებლობა გარდაცვლილთა ფაქიზ სულიერ მატერიასთან. ამ ძალებმა ვანგა დააბრმავეს. ამან აამაღლა მისი შესაძლებლობა გაიგონა შინაგანი ხმა.

აქ კიდევ ერთხელ შეგვიძლია მოვიყვანოთ გველისმჭამელის მაგალითი. ქაჯების ტყვეობაში მყოფმა მინდიამ დიდ განსაცდელში ისწავლა ბუნების ენა.

შეიყვარე განსაცდელი, რათა შეიძინო ღმერთი!

დავით გურამიშვილის განსაცდელიანი ცხოვრება და მისი შედეგები – „დავითიანი“.

ჭაბუა ამირეჯიბის განსაცდელიანი ცხოვრება და მისი შედეგები – „დათა თუთაშხია“ და „გორა მბორგალი“.

გამოჩნდა ღრუბელი, რომელმაც დაჩრდილა ისინი, ხოლო ღრუბლიდან გამოვიდა **ხმა**: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, უსმინეთ მას!“

მარკოზი 9, 7.

ნუ გაიკვირვებთ ამას, რადგან მოდის ჟამი, როდესაც ყველანი, ვინც სამარხებში არიან, მის **ხმას** მოისმენენ.

იოანე 5, 28.

გზად მიმავალს, როცა დამასკოს მიუახლოვდა, უეცრად მოეფონა ნათელი ზეციდან.

დაეცა მიწაზე და მოესმა **ხმა**, რომელიც ეუბნებოდა:

„საულ, საულ, რად მდევნი მე?“

ჰკითხა: „ვინ ხარ შენ, უფალო?“ ხოლო უფალმა მიუგო: „მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი. გაგიჭირდება დეზის ნიხვლა.“

კაცები კი, რომლებიც მასთან ერთად მიდიოდნენ, უსიტყვოდ იდგნენ: ხმა კი ესმოდათ, მაგრამ ვერაფერს ხედავდნენ.

საქვეები 9, (3,-7).

სარშქარი

შეამატა – ჩაამატა
შეუსწორა – ჩაუსწორა
შეეკითხა – ჩაეკითხა
შეყლაპა – ჩაყლაპა
შეუმღერა – ჩაუმღერა
შეისუნთქა – ჩაისუნთქა
შეურია – ჩაურია
შეულენა – ჩაულენა
შეუმაგრა – ჩაუმაგრა

ამ და კიდევ ბევრ სიტყვებში **შე** და **ჩა** ზმნისწინების ჩანაცვლებით სიტყვის აზრი და მნიშვნელობა არ იცვლება.

აქედან გამომდინარე, თუკი ეს შესაძლებელია, სიტყვის „შე-უქოს“ მაგიერ ვიხმაროთ „ჩაუქო“. თუ მსჯელობა სწორი მითართულებით მიგვიდის, სიტყვებიდან – **შეუქო** – ჩაუქო უნდა გამოვიდეს სიტყვა „ჩაუქი“ – როგორც ზედსართავი სახელი.

„ჩაუქი – ცქვიტი და შემძლე“ – საბა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან:

ჩაუქი (სპარს. ჩავუქ) – მარდი, შემძლე, მამაცი.

ქართული ენა შემთხვევითი ენა არ არის. მექმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ერთი სუბიექტის რეკომენდაციით იყოს ნაკარნახევი და გონივრულად გააზრებული უძველესი ქართული სიტყვა და მისი მადლი. ამიტომ, საკვლევი, ეს სიტყვა ქართულიდან გავიდა სპარსულში თუ პირიქით. სპარსულიდან შემოვიდა ქართულში, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, მაინც სიტყვა „საჩუქარი“ – „ჩაუქიდან“. **საჩაუქე – საჩუქარი.**

საჩუქარი – ძღვენი, მისართმეველი, ჯილდო.

მიმაჩნია, რომ სიტყვის „ჩაუქი“-ს ზემოთ მოცემულ განმარ-

ტებას (მარდი, შემძლე, მამაცი) უნდა დაემატოს – საზრიანი, გონიერი, მოხერხებული, მარჯვე, გამბედავი, უშიშარი და სხვ.

გადმოცემის თანახმად:

ბახტრიონის ციხის ალების შემდეგ მეფემ ჰკითხა ზეზვა გაფრინდაულს:

– საჩუქრად რას მთხოვ ზეზვა?

– არაფერი მინდა, ბახტრიონიდან გავაჭენებ ჩემს ცხენს ალვანის ველზე და სადამდეც ირბენს ის ადგილი მომეცი, მინდა ჩემი მოძმენი ბარად ჩამოვასახლო.

– მომიცია!

ზეზვამ გააფრინა ლურჯა, რომელიც ტახტის ბაგირთან დაცვა გულგახეთქილი. მხედარმა წინ, შორს გაისროლა მათრახი, ადგილი შეემატოსო (საზრიანობა). ჩაუქი იყო ზეზვა, გმირი იყო და მადლიერმა თუშებმა საჩაუქოდ ალვანში ძეგლი დაუდგეს, პატივისცემისა და უკვდავყოფისათვის.

„და დღესაც თუშ კაცს ჭირი აქვს თუ ჟამი, სალხინო,

ტახტის ბოგირთან წუთით მაინც ალაგმავს ქურანს...

ყანნი თუ არ აქვს, უზანგზედ დაასხამს ღვინოს,

მოგიხსენიებს, გაგცდება და ქუდს დაიხურავს“.

ილო ბეროშვილი „ზეზვის ლურჯა“.

ქართული კინოფილმი „ბაშიაჩუკი“:

მაღალ ხის ტოტზე თასმებით დაკიდებულ მიმინოს ვერ უშვებენ. თავადის ქალი ნინო ნერვიულობს, განიცდის როგორ იტანჯება მისი საყვარელი ფრინველი და ხსნა არსაიდან არა სჩანს.

ამ დროს გლახო (შემდეგში ბაშიაჩუკი) მარტივ აზრს შესთავაზებს თავად ნერეთელს – თუ თქვენი ნება იქნება თოფით ავუშვებო (საზრიანობა). მართლაც ორი სროლით, ტყვეებით დაწყვიტა გლახომ თასმები (მარჯვე, მოხერხებული) და მიმინო აუშვა.

ჩაუქი იყო გლახო და საჩაუქოდ თავადისაგან თოფი მიიღო.

აბდუშაჰილი შედის მელანოსთან და ეუბნება, თუ ბაშიაჩუკის თავს ხელში ჩამაგდებინებ, ოქროთი დაგასაჩუქრებ, თუ არა და ხმლით აგჩეხავო. მელანო ჯერ შეშინდა, მაგრამ მერე გონება მოიკრიბა და მეტად მოხერხებული პასუხი შეაგება. მე ბაჩუკისა არაფერი ვიცი და როგორც გენებოს ისე მოიქეციო. თავგანწირვამდე ამაღლდა მელანოს სიყვარული არა მხოლოდ ბაშიაჩუკისადმი, არამედ მამულისადმი, დედა სამშობლოსადმი, რომელიც ესოდენ უკიდურესად შენუხებული იყო ყიზილბაშთა დაუნდობელ ურდოებისაგან. ვაჟკაცი იყო აბდუშაჰილი, იგი მიიხიზლა ქართველი ქალის საქციელმა და ეუბნება:

გამოგცადე, შენ სიკვილის ღირსი არა ყოფილხარ. ბევრი რამე მსმენია ქართველ ქალებზე, მაგრამ ოდნავადაც არა მჯეროდა. ეხლა კი მივხვდი, აფერუმ შენს ქალობასო.

ჩაუქი იყო მელანო, გონიერი, უშიშარი და საჩაუქოდ მაინც მიიღო აბდუშაჰილისაგან ერთი ქისა ოქრო.

ლეგენდა ჭადრაკის დაფაზე

ჭადრაკი ინდოეთში იქნა გამოგონებული, და როდესაც ინდუსთა მეფე შერამი გაეცნო ამ მეტად გონივრულ თამაშს, იგი ალტაცებაში მოვიდა და გადანყვიტა გამომგონებელი (სეტა ერქვა) დაესაჩუქრებინა ამ გამოგონებისათვის.

– მე საკმაოდ მდიდარი ვარ და შემიძლია ყოველგვარი შენი სურვილი დავაკმაყოფილო, – უთხრა მეფემ სეტას, – მითხარი რა ჯილდო გინდა და შენ მიიღებ მას.

– მბრძანებელო, – უთხრა სეტამ, – უბრძანე მომცენ ჭადრაკის დაფის პირველ უჯრედში ხორბლის ერთი მარცვალი, მეორეში – 2, მესამეში – 4, მეოთხეში რვა და ასე დაფის ყველა უჯრედში ორჯერ მეტი, ვიდრე წონაში.

მეფე განრისხდა – შენი თხოვნა არაა ღირსი ჩემი გულუხვობისა, ასეთი უმნიშვნელო საჩუქრის თხოვნით შენ კადნიერად უარყოფ ჩემს წყალობას.

სეტამ გაიღიმა...

სასახლის მათემატიკოსების გამოანგარიშებით ეს „უმნიშვნელო“ საჩუქარი აღმოჩნდა ხორბლის მარცვლების ის რაოდენ-

ნობა, რომელიც გამოისახება გოლიათი რიცხვით. აი, ეს რიცხვიც – 18 კვინტილიონ 446 კვადრალიონ 749 ტრილლიონ 73 მილლიარდ 709 მილლიონ 556 ათას 615 მარცვალი. ასეთ ხორბლის ბელელს თუ სიმაღლე ექნებოდა 4 მ და სიგანე 10 მ., მაშინ მისი სიგრძე 300000000 კმ-ზე გადაიჭიმებოდა, ანუ ორჯერ უფრო შორს, ვიდრე მანძილი დედამიწიდან მზემდე.

ჩაუქი, საზრიანი იყო სეტა ჭადრაკის გამოგონებისათვის, მაგრამ უაზრო იყო მისი მოთხოვნა და ამიტომ ვერ მიიღო **საჩაუქე**.

„გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა დაშვებისას მომხდარა:
თავი სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო, გურამი მომკვდარა...“

ცოცხლისგან საყვედური აუგია,
ჩაუქი – მკვდარიც ჩაუქია!

ვარსკვლავი ვარსკვლავებს მომწყდარა!”

ჩაუქი იყო გურამ თიკანაძე და ვარსკვლავის დიდება დაადევნა **საჩაუქოდ** უშუალო და მამაც მთასვლელს მურმან ლეხანიძემ ლექსში „ვოი“.

დღეს ხელოვნების, ლიტერატურული ნაწარმოების, სპორტულ თუ სხვა რაიმე ღონისძიებაში გამარჯვებულებს ასაჩუქრებენ მედლებით, ორდენებით, ფულადი ჯილდოებით, მაღალი თანამდებობებით, სხვა საჩუქრებით და სწორედაც, რომ უნდა იცოდეს გამარჯვებულმა ამ სიტყვის „**საჩუქრის**“ წარმომავლობა და მნიშვნელობა.

ენა

ბოლოს განვმარტოთ, რა არის „**ენა**“ და როგორ წარმოიშვა ის. „ენა – საუბრის ასო“ – განმარტავს საბა.

ენით გამოითქმება ყველა სიტყვა როგორც ქართულში, ასევე არაქართულ ენებში. ენით გამოითქმება ასო, ბგერა, ბგერათა ერთობლიობა, აზრი და მხოლოდ ქართულში ჰქვია მას **ენა**.

33 ასო-ბგერა არსებობს ქართულში. აქედან 5 ხმოვანია და 28 თანხმოვანი. დავიწყოთ ანბანის მიხედვით რიგ-

რიგობით ასო-ბგერის წარმოთქმა და დავაკვირდეთ რა მონაწილეობას იღებს ენა ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმაში. **ა, ე, ი, ო, უ** – ხმოვანი ბგერები ტუჩების მოძრაობით გამოითქმება. ზოგი თანხმოვანი ხორხში გამოითქმება, უმეტესობა კი ენის წვერით. ესენია: **დ, ზ, თ, ლ, ნ, რ, ს, ტ, ც, ძ, წ.** თუ სარკის წინ დავდგებით და ამ ასო-ბგერებს წარმოვთქვამთ, დავინახავთ რომ ყველაზე მკაფიოდ ენა გამოჩნდა **„ელ“** და **„ენ“** ბგერების წარმოთქმისას. ამ ორიდან კი უფრო მეტად **„ენ“**-ის წარმოთქმისას. აქედან მიიღო მეტყველების ამ ორგანომ **ენის** სახელწოდება.

„ენ“, როგორც ყველაზე აქტიური ბგერა, იქიდანაც ჩანს, რომ ანბანის ასოთა უმრავლესობა ასე ჩამოითვლება: **ანი, ბანი, განი, დონი, ენი, ვინი, ზენი, თანი** და ა. შ. ისიც ხომ ცხადია, რომ მრავალი ქართული სახელი **„ნ“**-ს მონაწილეობით მიიღება, როგორც მეტად აქტიური ასო-ბგერა: **ნინა, ნინო, ნინი, ნანა, ნანი, ნანო, ნუნუ, ნონა, ნონე, ნენა, ანა, ანო, ანანო, ანუკი** და სხვა.

საოცარია და ნამდვილი სასწაულია ქართული ენა. ხმისმიერი ენაა ქართული, ხმა კი ღვთიური სიდიდეა, ღვთიური გამოვლინება. ხმა ღვთისა და ხმა ერისა. დიას!

ქართული ენა ღვთიური ენაა.

საპირისპირო „ლი“-ანი და „რი“-ანი სიტყვები

შეინიშნება, რომ ქართველ კაცს სიტყვების შედგენაში რალაც პირობები აქვს დაცული. არის სიტყვები, რომლებიც ნათესაურ კავშირში არიან ერთმანეთთან და თან საპირისპიროდ დგანან თავიანთი მდგომარეობა ხასიათის მიხედვით. ამ ორი სიტყვიდან ერთი არის შელამაზებული **„ლი“** მოსართავით, ხოლო მეორე – **„რი“**-თი.

ასეთი სიტყვებია:

- | | |
|----------------------|--------------------|
| 1. ცოლი – ქმარი | 7. ძილი – სიზმარი |
| 2. ცოცხალი – მკვდარი | 8. თაფლი – ფუტკარი |
| 3. ველი – მინდორი | 9. ნელი – ჩქარი |
| 4. ყველი – პური | 10. წყალი – ღვარი |
| 5. ყელი – კისერი | 11. ხმალი – ფარი |
| 6. ცეცხლი – ხანძარი | 12. ძალღი – ღორი |

13. ზაფხული – ზამთარი
14. თოვლი – ლანქერი
15. რბილი – მაგარი
16. მღვდელი – ბერი
17. ხელი – პირი
18. ნაკორჩხალი – ნახშირი
19. ქარი – გრიგალი
20. სტუმარი – მასპინძელი
21. ჰარი –ჰარალი
22. ნალი – ყაირი
23. ნამგალი – კვერი
24. დაღალი – ქოჩორი
25. მგელი – ცხვარი
26. ნადირი – ფრინველი
27. ძელი – ონინარი
28. უღელი – ხარი
29. წერტილი – წირი
30. ქარი – ბორბალი
31. გველი – მყვარი
32. პური – მარილი
33. ღრუბელი – ქარი
34. ხორბალი – ქერი
35. ჩხირი – კედელი
36. ობოლი – გერი
37. თვალი – ყური
38. ფშაველი – ხევსური
39. ქამარი – ხანჯალი
40. ცეცხლი – ნაცარი
41. ორი – წყვილი
42. ნარი – ეკალი
43. დილა – მწუხრი
44. მატყლი – ცხვარი
45. ბუხარი – ბოლი
46. ღვიძლი – ჯიგარი
47. ტყუილი – ქორი
48. ოქრო – ვერცხლი
49. მხარი – ილღია
50. ნიორი – ლანძილი
51. კელაპტარი – სანთელი
52. გოდორი – რთველი 53. ჰაე-რი – სული
54. ტიხარი – კანკელი
55. შარი – ხათაბალ
56. ალი – მური
57. ზარი – კამათელი
58. წილი – ზიარი
59. ქვითკირი – კედელი
60. ღერი – ცალი
61. ფინალი – ბარი
62. გეზელი – ქორი
63. გუჯარი – სიგელი
64. ზლაპარი – ტყუილი
65. ფქვილი – მტვერი
66. მუხლი – პანღური
67. ბადალი – ყადარი
68. ბელელი – ამბარი
69. შაქარი – თაფლი
70. მარგილი – სარი
71. ოფლი – ღვარი
72. სისხლი – ღვარი
73. ცვარი – თრთვილი
74. გული – ჯავრი
75. ცხვარი – თოხლი
76. ოხერი – ტიალი
77. დეკეული – მოზვერი
78. ქალი – კაც(რი) (კაცრიელი)
79. ფული – ჯამაგირი
80. სამსჭუალი – ლუსმარი
81. გომური – ბოსელი
82. სახელი – გვარი
83. **ირაკ-ლი პატაშუ-რი**

კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება „ლი“-ან და „რი“-ან სიტყვებისათვის.

აღყვავება ქართული ანბანისა – მხედრული

ა – ახალი – მთვარის ნამდვილი სახე მზის ჩასვლის შემდეგ დასავლეთის ჰორიზონტზე.

ა – არსი, აზრი ადამის პირველი ასო, მისი მოდგმის ცხოვრება მთელი თავისი შრომითა და შემოქმედებით.

ა – უმარტივესი მოხაზულობის დაუმთავრებელი, შეუკვრელი წრე, ანბანის ყველაზე მარტივად გამოსათქმელი ბგერა.

ა – სიხარულისა და მწუხარების გამომხატველი წამოძახილი.

ა – ს მიზანია ქართული ანბანის შექმნა, ქალაღის ფურცელზე ისე უნდა იმოდროს, იგოროს, იბრუნოს, ავიდ-ჩამოვიდეს ზევით, ქვევით, ისე უნდა გავიედეს ანბანის ბოლოში, რომ ყველა ასოს შექმნაში ჩაკეტილი თუ ჩაუკეტავი სახით უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ამ გადაბრუნება-გადმობრუნებაში, ზოგიერთ ასოში ცოტა შებრტყელდა კიდევც, ზოგან ცოტათი მოსტყდა წვერი, ზოგან მთლად ჩაიკეტა – პირი-პირზე მიედო და ასე ანბანის ბოლომდე ყველა ასოს თავისი ელფერი შესძინა.

პ

ქართული ანბანის დაახლოებით შუა ადგილზე გვაქვს თანხმოვანი ასო-ბგერა „პ“. ეს ასო-ბგერა ერთმანეთზე დადებული ორი ა-საგან შედგება, ყველა ბგერა, სიტყვა ენის მეშვეობით პირიდან გამოდის, მაგრამ როგორც უკვე ითქვა „პი“ ბგერა პირდაპირ და მჭიდრო კავშირშია პირთან. დიდის წვალეებით, ზოგი ხმით, ზოგი უხმოდ, ადამიანმა შექმნა სიტყვა რომელიც მისაღება და გამოსაყენებელი თავის ცხოვრებაში. სიტყვა გადამუშავდება გონებაში, ენასა და ყელში არსებული ხმის რეზონატორის მეშვეობით ხდება მისი მუსიკალური ფორმირება და პირის მეშვეობით ჰაიდა გარეთ. შევარდენი გამოჰკიდო – ველარ დაიჭერ.

ამდენად ორი დიდი მოვალეობა აკისრია პირს, ერთი ის,

რომ მოუმზადებელი სიტყვა შეაკავოს, ენას კბილი დააჭიროს და მეორე – მომზადებულ სიტყვას კარი გაუღოს ანუ ადამიანი პირით ალაპარაკდეს.

ჰ

ქართული ანბანი არა მარტო მარტივია, არამედ ლამაზი ასო-ებით არის შედგენილი. თუ **ჰ** ასო ორი **ა**-სგან არის შედგენილი, ანბანის ბოლო ასო შედგენილია სამი **ა** – სგან. აქ თითქოს ხდება ანბანის აღყვავება „**ა**“ – დან „**ჰ**“-მდე. **ჰაე** ბგერა, როგორც ვნახეთ, სიტყვა „ჰაერი“ – სთვის გამოიყენა ქართულმა ენამ.

რა ლამაზი და მოხატული ასოა „**ჰ**“.

რა ლამაზი და მრავალმნიშვნელოვანი სიტყვაა „ჰაერი“. ჰაერშია მთლიანი დედამიწა თავისი კეთილითა და ბოროტით, მდიდარითა და ღარიბით, ძლიერითა და სუსტით, გონიერითა და უგუნურით, მტყუანითა და მართლით.

ჰაერის სიკეთით არის ცოცხალი მცენარე, ცხოველი, ფრინველი და ადამიანი.

„**ჰ**“-ს შემდეგ აღარც ანბანია და ჰაერის გარეთ ადამიანი-სათვის უსიცოცხლო, უინტერესო და გონებაშიუნვდომელია.

ქართული კალმოსნები მშობლიური ენის შესახებ

ივერიელთა მადლიანი ენა ღვთიური.
უზენაესი საუნჯეა ამქვეყნიური.
იგი ფსალმუნთა კრებულია ნაქსოვი ლექსად,
სერაფიმებიც ამ ენაზე გალობენ ზეცად.

იოსებ ხოხონიშვილი „ქართული ენა“

* * *

ენავ-ხატო,
ენავ-მადლო!
შენ ხარ, მართლაც
ერთადერთი.
რასაც ამბობ,
რაზეც დაობ, –
ყველაფერი ღმერთებს ესმით.
რა სავალი
გაიარე,
რა გრძელი გზა
ბედად გერგო
მტრობა მტრისა
იიაფე,
შენ ღმერთების
ალავერდო!

უშანგი ბეღია

* * *

ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა! – იმოდენაა!

მუხრან მაჭავარიანი. „ენა ქართული“

* * *

... ანი – მინაა, ჰაე კიდევ სულ ცაში მიდის
და იმათ შუა სამყაროა უსაზღვროდ დიდი

მურმან ჯგუბურია „დედა ენა“

* * *

... ვინ შეარჩენს ბედისწერას,
რაც ჩვენს გამო ისულმცირა,
ჩვენთან არის ღმერთის ენა
დასანახი მზის უნინა!..

ოთარ შალამბერიძე „ქეზი და დიდები“

* * *

დედაენაა სიცოცხლე
სურნელი იის, გვირილის,
დედაენაა მერმისი,
ჩვილის ხმა, ირმის ყვირილი“ ...

ავთანდილ მეგრელიშვილი „დედაენა“

* * *

... ენა ხომ ჩვენი გულია,
ქუდია ჩვენი ნამუსის,
მამული მანამ მამულობს,
სანამ ენა ქუხს მამულში.
ენაც ხალხივით ომოზდა,
იყო იარაღასხმული,
იქით თურქული ებრძოდა,
აქეთ უტევდა სპარსული.

ანბანშიც გამოხატულა,
წინათ რა ბედი გვეღირსა—
ზოგ ასოს ხმალის სახე აქვს
ზოგს ნამგლისა და ცელისა...

ნოდარ შამანაძე

* * *

... საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!
ლადო ასათიანი „ქართული ენა“

* * *

... თუ დედაენით შვილებს არა ზრდი,
თავი ტყუილად მოგაქვს ქართველად.

იოსებ ნონეშვილი.

* * *

დალოცვილი გაქვს ფესვი და ძირი,
მარადიული აზრის შუქი ხარ,
შენით ვმღერით და შენითვე ვტირით...
სირცხვილი ქართველს, თუ არ უქიხარ...

მიტროპოლიტი თადეოზი.

* * *

... ო, ჩვენო ენავ,
ტკბილო ესოდენ
შენ ჩვენს
გულეებში
ლალად ბინადრობ;
შენი საამო
ჰანგი მესმოდეს,
მე ამის მეტი
რალა ვინატრო!

ირაკლი არაბული „ჩვენი ენა“

* * *

„რომს იქეთ ეძიეთ წარსული,
– ჩვენ მისი ძირი და ფესვი ვართ,
თავდებად ენა გვაქვს ქართული,
ცისა და ღმერთების მესია!
ვაითუ ვერ გასცდეს არმაზს და ბასიანს,
მე თქვენგან მექნება წყენა,
ღმერთების სახელით სავსეა
ჩვენი სასაუბრო ენა...
ქართულით აიხსნება მსოფლიოს წარსული,
ნამდვილ გზებს – ნამდვილ გეშამცდარო ყნოსვებო,
წარსულს მიხედეთ,
ენას მიხედეთ,
ქართულს მიხედეთ,
ისტორიკოსებო!“

თამარ დაუმვილი.

* * *

... ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.

ილია ჭავჭავაძე.

* * *

ენა ქართული – ღმერთების ენა! როცა მისი გეენია შუბლზე მკოცნის, მაშინ ორლესული მახვილი იელვებს ჩემს პირში და ასე მგონია: მე თვითონ ვარ ვარ გამოუთქმელის წარმომთქმელი ღმერთი, და მებადება ახალი ტემა: უნდა დავწერო მეორეჯერ ქება დიდებულისა ქართულისა ენისაჲ.

კონსტანტინე გამსახურდია. დიონისეს ლიმილი.

* * *

... არა მგონია შეედრებოდეს ერთი საგანი მეორეს ისე, როგორც მდინარე და ენა. რითი ჰგავს ენა მდინარეს? იმითი, რომ

რაც ერთხელ მდინარეს გემო და თვისება მიუღია, თუ ხელოვნურად არ მოსტაცე, არ წაართვი, იგი თავისთავად არასოდეს არ დაჰკარგავს. მიმდინარეობს იმ ჟამით ამ ჟამამდე დაუდგრომლად, მისი შეჩერება, დაგუბება, ცოტა ხნობით თუ შეიძლება ხოლო სამუდამოდ კი არასოდეს!.

ვაჟა-ფშაველა

* * *

... და თქვა იაკობმა ქართული ენის ქება. – შეხედეთ ქართულ ცას, ვარსკვლავების აღმასითაა მოჭედილი.

იმ ვარსკვლავთა შუქია ქართულ ენაში. მზერა მიაპყართ ჩვენს მთებსა და კლდეებს. მათი სიმტკიცე და გამძლეობა, სილამაზე და სიმაღლეა დედა ქართულში.

შეხედეთ ქართულ ყანას, მისი ბარაქიანობაა ქართულ ენაში, ერთ სიტყვას გადააგდებ სიბრძნის ხნულში და ათას პურის მარცვლად ამოთავთავდება ის დალოცვილი.

ნახეთ ეს ხმალი ფარნავაზ გორგასლიანი, მისი პირივითაა მჭრელი ენა ქართული.

ჩვენი ენის ბგერა და თვისება – სამყაროს ბგერათა და თვისებათა ანარეკლია.

თვალი მიაპყართ ლამაზ ქართველ ქალს, არა არის რა მასზე მშვენიერი ამ ქვეყანაზე. მისი სილამაზე და სინაზეა ქართულ ენაში.

ახედეთ ზეცას, მზესა და მთვარეს, მათი ხატია ქართულ ანბანში, მათი შუქია ქართლოსის ენაში.

ყური დაუგდეთ ბავშვს, თოთო ბავშვს, მისი ენის ადგმის სილამაზეა ქართულ ენაში.

შეხედეთ ჩანჩქერებს, მათი ხმაურია ქართულ ენაში.

მოუსმინეთ ზღვას – მათი ქუხილია არეკლილი დედაენაში.

ყური დაუგდეთ ბულბულს და თქვენ იგრძნობთ მისი გალობის ეშხს მამა-პაპის უკვდავ სიტყვებში.

გულისყურით მოუსმინეთ დედის ნანას და თქვენ იგრძნობთ მის სიტბოს ქართულ ენაში.

მიაყურადეთ ზვავების გრუხუნს და მეხთატეხას, თქვენ იგრძნობთ მათ ლანალუნს და ძალას ქართულ ენაში.

შეხედეთ არწივს, როგორ ჰკრავს ირაოს ფხოვის მათათა მწვერვალებზე. ქართულ ენაში არის იმ არწივის გაფრენის სილალე და სილამაზე, ქართულ ენაში არეკლილია იმ მწვერვალებზე.

ბის თოვლის სითეთრე და სინმინდე.
ოქროპირობდა და ამკობდა ენას იაკობ ხუცესი.

ლადო ალფენიძე „არმაზის მთვარე“.

* * *

... დამარხულ არს ენაა ქართული დღედმდე მეორედ მოს-
ვლისა მისისა სანამებელად, რაათა ყოველსა ენასა ღმერთმან
ამხილოს ამით ენითა...

**იოანე ზოსიმე, X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი, „ქება და
დიდება ქართულისა ენისა“.**

* * *

როგორც ჩანს, მარტო პოეტური ნიჭი, მოპოვებული აღიარება და მშობლიური ენის სიყვარული არ არის საკმარისი მახასიათებლები იმისათვის, რომ ქართული ენა ღვთიურ ენად ვაღიაროთ. მიუხედავად ამისა ჩვენი კალმოსნები, შეიძლება ფანატიკურად, მაგრამ მაინც გულწრფელად აღიარებენ ქართულ ენას ღვთიურ ენად, ღმერთების ენად.

* * *

დიდი გენიოსი ალბერტ აინშტაინი, რომელმაც სინათლის სხივი „ანონა“, ფიქრობდა, რომ სამყაროში ყველაზე გაუგებარი ის არის, რომ ის გასაგებიაო. ობიექტური სინამდვილის შემეცნებას, აინშტაინის მიხედვით ინტუიციური ხასიათი აქვს, „არ არსებობს ლოგიკური გზა ამ ელემენტარული კანონების აღმოჩენისა; მათი ნვდომის ერთადერთ გზას ინტუიცია წარმოადგენს“.

* * *

სამყაროს „მოცულობით“ დაინტერესებული მეცნიერები მასში სულ ცოტა 50 მილიარდზე მეტი გალაქტიკის არსებობის შესაძლებლობას გვთავაზობენ. თოთოეული თავის მილიარდობით მზის მსგავსი ვარსკვლავითურთ. ასეთი ანგარიშის დროს

შესაძლებელია დავუშვათ, რომ სამყაროში არსებობენ მსგავსი სისტემები. შესაძლებელია არსებობდეს ისეთივე მზე, როგორც ჩვენი, თავისი მოცულობით, სიმკვრივით, მის გულში და პროტუბერანცზე მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური მოვლენებით, მის სისტემაში შემავალი პლანეტების რიცხვით და მათივე ბუნებრივ თანამგზავრთა რაოდენობით, მზიდან დაშორებით, თავ-თავისი საკუთარი კოსმოსური სიხშირეებით (დედამინისათვის სკს + 365,25), და სხვა მსგავსი კოსმოსური მახასითებლებით, მაშინ ისიც შესაძლებელია, რომ მის სისტემაში არსებობდეს დედამინისნაირი პლანეტა არსებული და განადგურებული ცივილიზაციის რაოდენობით თავის გონიერი არსებებით, რომელთა სამეტყველო „ენა“, როგორც საკომუნიკაციო საშუალება, შეიცავდეს რამდენიმე ათეულ ან ასეულ ქართულისმაგვარ, ბუნებრივ ხმისმიერ სიტყვა-სახელებს.

მაშინ ჩვენი ასტროგეოგრაფიული „მისამართი“ შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ვარსკვლავთა უსასრულო გროვა, ირმის ნახტომი, ჩვენი გალაქტიკა, ჩვენი მზის სისტემა, პლანეტა დედამინა, მატერიკი ევრაზია, უფლისმიერ ენაზე მეტყველი იბერიელ-კავკასიელ ხალხთა ძველთ-უძველესი ადგილ-საბრძანისი – საქართველო.

ბოლოთქა

ამ პატარა ნაშრომში განხილულია სამასზე მეტი ძირეული სიტყვა-სახელი. თითოეული სიტყვისაგან კიდევ რამოდენიმე სიტყვა გამოდის. კიდევ მრავალი სიტყვის მოტანა შეიძლებოდა, რომლის წარმოშობა ხმასთან არის დაკავშირებული და თუ რომელიმე სიტყვა ამ ფორმით და ამ ეტაპზე არ აიხსნება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული ენა შემთხვევითი ენაა. ქართული ენა თავისი სიმარტივით, თავისი სილამაზით, თავისი მუსიკალობით, წარმოშობის ორიგინალური ფორმით არის ღვთიური ენა.

მეღვინეები ღვინოს ადარებენ ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც თავის არსებობის მანძილზე გაივლის ხუთ ძირითად სტადიას. ესენია: ღვინის წარმოშობა, დაღვინება, დამწიფება, დაძველება და დაშლა ანუ სიკვდილი. სტადიებს შორის ზუსტი საზღვრების დადგენა შეუძლებელია.

დაახლოებით ასეა ქართული ენაც. განვიხილოთ ეს სტადიები რამდენიმე სიტყვის მაგალითზე.

1. ტაბიკი

ტაბიკი – უღლის საყელური (საბა).

ურმის უღელს, ორივე მხარეს, წყვილ-წყვილად გახვრეტილი აქვს ორ-ორგან. მასში ჩაყრილია რკინის ღეროები, კამეჩის (ხარის) კისრის სიგანის მანძილზე. ურეში შებმის დროს ამ რკინეებში კამეჩს თავს შეაყოფინებდნენ და ყელთან აპეურით რკინას შეკრავდნენ, ასე ხდებოდა უღლის მეორე მხარესაც და ურეში შებმული იყო. სიარულის დროს რკინეები უღლის ნახვრეტებში მოძრაობდნენ და გამოსცემდნენ ბგერებს „ტ“ „კ“ „ბ“ ტლაკუნობდნენ. ამ ბგერების მიხედვით ქართველმა რკინებს ტაბიკები უწოდა. ასე წარმოიშვა სიტყვა – ტაბიკი. სიტყვამ დაიწყო ცხოვრება. რადგან ზუსტი შესატყვისი იყო თავისი მოქმედებისაგან გამომდინარე, – დასიტყვდა, დაღვინდა, იმოგზაურა ქართველთა სხვადასხვა მხარეში, მოწონებულ იქნა, დამწიფდა. დღეს ეს სიტყვა მოძველებულია, რადგან ურეში შეიცვალა ახალი, გაუმჯობესებული გამწევი ძალით, მანქანითა და ტრაქტორით. გაივლის კიდევ რამდენიმე წელი და აღარავის ეცოდინება აღარც აპეური (ტაბიკის თოკი), და აღარც თვითონ ტაბიკი.

2. გოდორი

ესეც ხმიანი სიტყვაა. გოდრებით ვენახიდან ყურძენს ვეზიდებოდით მარანში. ურემზე გადაგდებ-გადმოგდებისას, მინაზე გორაობისას ცარიელი გოდორი გამოსცემს ბგერებს „გ“ „ღ“. აქედან მოსართავი მარცვლის მიმატებით მიიღება **სიტყვა გოდორი**.

უკვე რამდენი ხანია სოფელში გოდორი აღარ დამინახავს. დღეს ყურძნის გადასაზიდად ძარები, პლასტმასის ქურჭელი და პოლიეთილენის პარკებია გამოყენებული.

3. თემოქცეული

კალოს გარშემო გასალენად დადგმული თავთავის ზვინებს თემოქცეულებს ეძახდნენ. სადღაა კალოობა და დაიკარგა ეს სიტყვაც.

4. ორთაყვირი

ორთაყვირი ტივის ნიჩაბია. ტივები აღარ არის. ნიჩაბი ნიჩბად დარჩა და კიდევ რამდენი ასეთი სიტყვაა დაკარგული.

* * *

როგორც ყველა ერს, ქართველებსაც ჰყავდათ მეზობლები, რომლებთანაც ჰქონდათ მტერ-მოყვრობა. ამ მტერ-მოყვრობაში ისევე, როგორც ქართულიდან გავიდა, ქართულ ენაშიც შემოვიდა უცხო სიტყვები, რომლებიც შემდეგში ქართულ სიტყვებად დამკვიდრდა და მათი კვლევა ენათმეცნიერების საქმეა.

სულხან-საბა სიტყვების ახსნის დროს გვაფრთილებს: ეს სიტყვა ქართული არ არის, არაბულიაო, ეს ბერძნულიაო, ეს სომხურიაო, ეს ფრანგულიაო. დიახ! გვაფრთხილებს და მოგვიწოდებს, რომ ჩვენი სიტყვა ვამჯობინოთ სხვისას.

ქართულ ენაში დღესაც განუწყვეტლივ შემოედინება უცხო სიტყვები. ამ პროცესს ხელს ვერაფერი შეუშლის. ნარმოუდგენელიც არის მის გარეშე ერის მრავალმხრივი განვითარება. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ლექსიკოგრაფებს შეგროვილი აქვთ 16 000-ზე მეტი უცხო სიტყვა. სხვა სიკეთეებთან ერთად უცხო სიტყვის დანიშნულება ისიც არის, რომ იგი რაციონალურია, ანუ რამდენიმე ქართულ სიტყვას თანაბარღირებულად

შეესაბამება ერთი უცხო სიტყვა.

მაგალითები:

1. კავალერისტი – ცხენოსან ჯვარში მყოფი სამხედრო მოსამსახურე.

2. მექანიზაცია – ხელით შრომის საშუალებათა შეცვლა მანქანებითა და მექანიზმებით.

3. პერსონალი – ერთი და იმავე პროფესიის ადამიანთა ერთობლიობა.

მაგრამ ეს ყოველთვის ასეა? რა თქმა უნდა არ არის ასე. ავიღოთ სიტყვა.

1. „**კონფიდენციალური**“, მისი ქართული შესატყვისია – „**საიდუმლო**“, რომელი სიტყვა უფრო მარტივი წარმოსათქმელია, შვიდმარცვლიანი და თხუთმეტასოიანი თუ ოთხმარცვლიანი და რვაასოიანი უმშვენიერესი ქართული სიტყვა „**საიდუმლო**“?

2. „**აპლოდისმენტი**“ – ქართული შესატყვისია „**ტაში**“.

3. „**იდენტური**“ – ქართული შესატყვისია „**მსგავსი**“ და კიდევ მრავალი სიტყვა.

ყოვლად მიზანშეუწონლად და გაუმართლებლად მიმაჩნია უცხო სიტყვების ხმარება ქართული შესატყვისების დაკარგვის ხარჯზე. ეს ხომ საკუთარი ენის, დედაენის უპატივცემულობაა და მეტი არაფერი. როგორც ჩანს ქართველი კაცის გონიერების მაჩვენებელი მაშინ უფრო ხარისხიანი იყო, როცა ქართულ ენას ქმნიდა ღვთის წყალობით და ბუნების მოვლენების დაკვირვებით, ვიდრე ახლა, როდესაც საუბარში ან წერის დროს ქართული სიტყვების ხმარებას ერიდება, ეთაკილება, უცხო სიტყვების ხმარებას არჩევს, მეტადრე მაშინ, როცა ეს საჭირო არც არის.

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოითქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას.

... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა“.

აკადემიკოსი ნიკო მარი.

* * *

ქართული ენა კილო-კავად არის გაბნეული საქართველოს მთასა და ბარში. ტკბილხმოვანმა ორფეოსმა – აკაკიმ ენა დაუნუნა იალალზე მობუბუნე ხარს – ვაჟას!? ვაჟამ მეტად მოკრძალებული პასუხი შეჰკადრა მხცოვან პოეტს: „ბულბულისათვის გალობა დაუნუნია რომელსა“? დიას! ქართული ენა ბულბულის გალობაც არის და კლდის ძირიდან გამოხეთქილი ანკარა წყაროს წკრიალიც, მყინვარის წვერზე დაკრული მზის სხივის ბრწყინვალეობაც არის და გააფრთებული ტალღის გრიალიც, თვეობით ურმით მარილზე წასული გლეხი კაცის ღიღინიც არის და ბრძოლის ველიდან დაბრუნებული, გამარჯვებული ლაშქრის ყიჟინაც. ქართული ენა კოსმოსში გაშვებული ჩაკრულოც არის და მამულისათვის ვაჟკაცურად დაღუპული მებრძოლის თავთან თმაგანწილი ქალის დატირებაც...

ქართული ენა მსოფლიო საოცრებაა! ის არის მუსიკა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ ზეციდან გადმოსული სულიერი მუსიკა!
იგია ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

* * *

რა ხდება სინამდვილეში დღეს ქართული ენის გარშემო? როგორ ვუვლით და ვუფრთხილდებით დღეს მშობლიურ ენას? ფარნავაზის ენა, იოანე ზოსიმეს ენა, ხალიჩასავით ფერმრავალი რუსთაველის ენა, სულხან-საბას მიერ კონად შეკრული და გულში ჩახუტებული ქართული ენა, გურამიშვილის ენა, დიდი ილიას ენა, გოგებაშვილის დედა ენა ქართული, დღეს თვალსა და ხელს შუა გვეკარგება. მისი ზეციური მუსიკალურობა აღარ იმის აღარც პრესის ფურცლებიდან, აღარც ეკრანიდან და აღარც ქუჩიდან. დიდსა და პატარაში ენის სიბილნე და უზნეობა ოფიციალურ დონეზე დამკვიდრდა. იგინებიან საკუთარ დედებს, საკუთარ კარგებს და ნატრობენ „ბოზიშვილი“ ვიყო. ქართველთა უმრავლესობაში კულტურა და განათლება პირობით მცნებადღა

შემორჩა. უზნეობა და ენის დამახინჯება იწყება ცენტრიდან და პერიფერიებში დიდი მოწონებითა და კმაყოფილებით ხვდებიან. ყველგან გაისმის ბაზრულ-ქუჩური ჟარგონები. ქართველმა დაკარგა როგორც გარეგნული იერ-სახე, ისე შინაგანი ბუნება. დიდად მავსებს და მახარებს ის ისტორიული ცნობა, სადაც მოცემულია, რომ დავით აღმაშენებელი თავის ლაშქარში ბილწსიტყვაობას კრძალავდაო. ჩვენმა მტერმა მიაღწია სანადელს? როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს ამაზრზენი გადაგვარება?

ლეგენდის მიხედვით, ქართველთა ადგილი ღმერთს თავისთვის უნდოდა, მაგრამ მოქეიფე ქართველებს დაუთმო და თვითონ ცაში ამაღლდა, რადგან მიწაზე ყველა ადგილი უკვე განაწილებული ჰქონდა. ყოველთვის თუ არა, ხანდახან ხომ მაინც ლეგენდა სინამდვილის პოეტური ტყუუბისცალია!

თავისუფლება, შრომა და ქეიფი უყვართ ჭეშმარიტ ქართველებს. თავისუფლების ძებნაში საქართველო დაგვიპატარავდა. ჩვენი სამშობლო დღემდე მტრიან ქვეყნად შემოგვრჩა ქართველებს. საქართველო ჩვენი მტრისთვის ყოველთვის იყო ლამაზი ქალი – სხვისი ცოლი, რომლის ხელში ჩაგდებისა და ახლოს მისვლის სურვილი მოსვენებას უკარგავდა მტერს საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ მას სამუდამოდ ვერასოდეს ჩაიგდებდა ხელში, რადგან სხვისი იყო და მას ჭეშმარიტად ღირსეული პატრონი ჰყავდა, და ეს ყველაფერი უფლის შემწეობით ხდებოდა.

როგორც დიდი ილია ბრძანებდა – ენა, მამული, სარწმუნოება საამაყო საუნჯედ მოგვდევს ქართველებს წინაპართაგან.

უფალო ღმერთო, უმორჩილესად გვევდრები, როგორც შენი სამწყსოს, შენი სამეფოს ერთი დაუსრულებელი შთამომავალი, შეგვინდევ უსჯულოებანი ჩვენი, დაგვიბრუნე რწმენა ერთმანეთის მოთმინებისა და სიყვარულისა, შეგვინარჩუნე ივერთ ქვეყანას ენა, რწმენა, მამული, როგორც სამყაროს ჯადოსნური მუზეუმის იშვიათი საექსპონატო ნიმუში. კურთხეულ არს სახელი შენი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ამინ.

სარჩევი

ვისაც ბუნება ელაპარაკება	3
ერეკლე საღლიანი	5
ქართული ენის წარმოშობის საიდუმლო	6
ფრინველი – ფრინ-ველი	11
ცხოველები	18
„ხ“ ბგერის ბუნებრივი წარმოქმნა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი სიტყვა-სახელი	23
ადამიანი	29
საწნახელი, ყურძენი, მაჭარი, ღვინო, ჭაჭა, ძმარი	36
შერეული სიტყვები	45
„წ“ ბგერა და მასთან დაკავშირებული სიტყვები	88
ღმერთი	100
ენა	107
საპირისპირო „ლი“-ანი და „რი“-ანი სიტყვები	108
აღყვავება ქართული ანბანისა – მხედრული	110
ქართველი კალმოსნები მშობლიური ენის შესახებ	112
ბოლოთქმა	119

ISBN 978-9941-9440-3-1



9 789941 944031